


გიგო ნინაშვილი



ესტურა



# გიგო ნინებვიძი

## ეპილოგი

თბილისი, გამოცემლობა „გეა“  
1994 წლი

გიგო ნინაშვილის ნაწარმოებები დიდი ხანია იძეჭდება ქარ-  
თულ უურნალ-გაზეთებში.

წინამდებარე წიგნში შესული მოთხრობების პერსონაჟთა კრე-  
დო უანგარო კეთილშობილება, მაღალი ზნეობა, სიყვარული და  
ერთგულებაა. მათ ცხოვრებისა და საქმიანობის უმაღლეს კანო-  
ნად სიყეთისთვის ბრძოლა დაუსახავთ.

### რედაქტორი თამაზ ანთაძე

კორექტორი — ე. კობიშვალა  
ტექნიკური — ო. კაპანაძე

ფიზიკი იგეჭდება ავტორის ხარჯით.

## მანუელა

მამკოდელი დედაქაცები ერთმანეთში წყნარად ბაასობდნენ:

— ვიშ, ქა... დავიჭერო, აქ, ამ ტრიალ მინდორზე ქალაქი აშენდება?

— ამბობენ, ორი წლის შემდეგ აქაურობას ვერ იცნობთო.

— ნათქვამია, აღდგომა და ხვალეო... ჯერ კი საამისო პირი არ უჩინს ამ ვეებერთელა სახნავ-სათეს ფართობებსა.

— ღმერთო, შეგცოდე, დიდი დანაშაული კი უნდა იყოს ამ ბარა-ქიან და ღალიან მიწაზე ქალაქის გაშენება. რაღამ უნდა გამოგვივებოს, რამ უნდა მოვცეს პური ჩვენი არსობისა და, ბოლოს და ბოლოს, სად უნდა დავიმარხოთ?

— ყველაფერს ეშველება, ახალ სახლებშიც გამრჩე და კეთილი ხალხი იცხოვრებს. ჩვენ, გლეხობა, რძეს, ხორცს და ახლად შედედებულ მაწონს, კვერცხს მივყიდით, ისინიც არ დაგვრჩებიან ვალში, ვიცხოვრებთ თანხმობით, პატიოსნად.

— რაო, რა ერქმევა ამ ტრიალ მინდორსა?

— გლდანის საცხოვრებელი მასივი, ამას წინათ მშენებელმა ინ-ჟინერმა თქვა.

— ღმერთმა ხელი მოუმართოთ!

ამინ!

ქალების საუბარს სრულიად შემთხვევით მოვკარი ყური. თუ მეხ-სიერება არ მღალატობს, ეს დაახლოებით ათას ცხრას სამოცდაცამეტ წელს იყო. თვალუწვდენელ ტრიალ გარემოს იმხანად მეცამეტე-მე-თოთხმეტე ტრესტებისა და სახლშენებელი კომბინატების მრავალრი-ცხოვანი მშენებლები დაეუფლნენ.

საცხოვრებელი მასივის სახით თბილის, სულ მოკლე ხანში, ულა-მაზესი და კეთილმოწყობილი დასახლება შეემატა. ათასობით უბი-ნაომ ახალ ჭერს შეაფარა თავი. მართალია, ბევრი უქმაყოფილო იყო მშენებელთა მიმართ, მაგრამ, მიუღწეველს რომ მიაღწიეს და ბინა მიიღეს, ამით გაიქარწყლეს წყენით გამოწვეული სეგდა.

ზოგიერთმა საკუთარი სახსრებით მთლიანად გამოცვალა იატაკი და

წარმოიდგინეთ, კარ-ფანჯრებიც კი. მეზობლებმა ერთმანეთი გამოცხვა,  
შეხმატკბილდნენ და დამეგობრდნენ.

გვიდა წელიწადი. აშენდა ქალაქი, ირგვლივ სიმშვიდე და ქეთილ-  
მეზობლური განწყობილება სუფევდა. უბრალო წყენა რა არის, ისიც  
კი არ ყოფილა.

ერთ მშვენიერ დღეს სამსახურიდან დაბრუნებულმა, ეზოში, სადარ-  
ბაზოს წინ საბარგო მანქანა შევნიშნე. ავეჯი გადმოუცლიათ, მერვე  
სართულიდანაც ჩაჰეთნდათ ავეჯი და ამავე მანქანას ტვირთავდნენ. მე-  
რე შევიტყე, თურმე მერვე სართულის სომეხმა მობინადრემ გლდანში  
ცხოვრება არ ისურვა და ბინა საბურთალოზე ქურთს სამოთახიანში  
გაუცვალა. წავიდა ექვსი სული და მოვიდა ათი, მშობლები და რვა  
შვილი. რას ვიზამთ, ამ ამბავმა დიდად როდი გამახარა, მაგრამ ვი-  
ფიქრე, ნელ-ნელა მივეჩვევი, იქნებ უკეთესი მეზობლობაც გასწიონ-  
მეთქი.

სამსახურიდან დაბრუნდა მერვე სართულის რუსი მობინადრე, და-  
ინახა, ხელი ჩამოართვა, მაგრამ რომ გაიგო ახალი მეზობლის გადმო-  
სვლის ამბავი, გულს შემოეყარა. თურმე, რა მომხდარა: ამათ საბურ-  
თალოზე უცხოვრიათ მომიჯნავედ, კერძო ორსართულიან შენობაში.  
ბინის პატრონები ქართველები ყოფილან, ხოლო ეს ქურთი და სხვა  
რომელიღაც ქართველი შეკედლებიათ დაბლა სართულებში. იმ ქარ-  
თველს სათვალო არ ჰქონია და აღმასკომიდან უფლებას მოითხოვდა  
მის გადასაკეთებლად.

იმის მიუხედავად, რომ ორივე სახლის მეპატრონე თანახმა იყო,  
მდგმურები ერთმანეთში ვერ თავსდებოდნენ, რადგან იმ მხარეზე მა-  
მედას ფანჯარის დასაპროექტებელი სათავსოს კედელი ორი მეტრით  
უახლოვდებოდა. მობინადრემ უკანასკნელად კიდევ მიაკითხა აღმას-  
კომის არქიტექტორს და სვენა-მუდარა გაუმეორა — ამაოდ, პასუ-  
ხი ასეთი მიიღო: მიღი, სთხოვე, მამედას, აუხსენი, ცოტა ფულით  
დაახარბე, თუ ნებას დაგრთვას, პროექტს მე ერთ დღეში მოგიმზა-  
დებო.

— რას მელაპარაკები, — უპასუხა მთხოვნელმა, — სადა მაქვს ფუ-  
ლი. მივცე და ვის, მამედას? თუ ფულს ჭარიმის სახით ის უნდა იხდი-  
დეს საქართველოს სასარგებლოდ. მე ისიც შემიძლია გითხრა, საქარ-  
თველოს საზღვრებში მოქცეულ მთელ ფართზე ამ მიწისათვის შეწი-  
რული ხალხი რომ მკვდარი მკვდარზე დააწყო, მკვდრების გროვა ცას  
მიებჯინება. ცოცხლები იყვნენ და თოფით და მახვილით იცავდნენ



მშობლიურ მიწას. იქ წავიდნენ და მხრებით უჭირავთ ეს მაღლენაზე სამყარო. მამედოვები და მიქაელოვები მუდრები ფეხებით ჰქილავ აბიჯებენ. არა, ძმაო, მე მამედას ვერ ვთხოვ, მე შენ გთხოვე, რადგან სახლის პატრონები თანახმა არიან. მეც ქართველი კაცი ვარ, საქართველოში ვცხოვრობ და ქართულ მიწაზე დავაბიჯებ. წავიდე და ვთხოვო, შენი ჭირიმე, ოთხი კვადრატული მეტრი სათავსო მიმაშენებინე-მეთქი? არა, მაგას ნამდვილად ვერ ვიზამ.

— რა ვქნა, ძმაო, კანონი ასეა! — დინჯად დაასკვნა არქიტექტორმა. მთხოვნელმაც ხელი ჩაიქნია და წამოსვლისას კბილებში გასცრა:

— ჰო, მისდიეთ მაგ კანონს და ბოლოს გაიგებთ თვითონ ქართველები სად გადაჩეხავთ ქართველებს!

ღრმობ თავისი გაიტანა. ბედს შევურიგდით. დათვიც რომ ყოფილიყო, უნდა გვემეზობლა. ვერ გაექცევი ღროის კანონს და წუთისოფლის მსვლელობას. ფარებში ბატქნებთან ერთად მგელიც და ტურაც შიგ უნდა იყოს და, როდესაც კარები გაიხსნება, ტურებისა და მგლების გარდა რომ არაფერი გამოვა, მერე მიხვდებიან: ქართველების სტუმართმოყვარებამ, ზენ-ჩევეულებამ და მჭლე ინტერნაციონალურმა სულისკვეთებამ რა ნაყოფიც გამოიღო.

მეცხრე სართულის სამოთახიანში მცხოვრებმა გოგიმ წინა დღეს ნათლობა გადაიხადა და მეორე დღეს ნამცეცობაზე გააგრძელა სადღე-გრძელოები. სასმისი ასწია, საქართველოს მთა-ბარში მცხოვრებთა სადღეგრძელო შესვა. ახალმოსახლე მამედამაც გაიმეორა სადღეგრძელო. მა სუფრაზე თორმეტი კაცი ვჭამთ პურს და სულ სხვადასხვა ეროვნებისანი ვართო, თქვა: ქართველი, რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ბერძენი, ოსი, აისორი და სხვა, ეს ვინ გააკეთა? სტალინმა. ვაკ, იმ დალოცვილმა, რა გააკეთა, კაცო. თხა და მგელი ერთად არ დააბა? ამას ქართველი თუ იზამდა, თუ არა სხვა აბა ვინ მოიმოქმედებდა?

მორიგი სადღეგრძელო შვილებისა ითქვა.

— ოო, კარგია, შენ გენაცვალე, იი, კაცი, — თან ფეხზე წამოდგა მამედა, — ეს რა არის, ერთი ჭიქით? ორით თუ არა, ყანწით დავლიოთ!

— არა, მამედ, დაჯექი, მე როგორც ვიტყვი, შეგიძლია მხოლოდ ისე მიირთვა, — მოკრძალებულად შენიშნეს.

— არა, კაცო, კი არ ვდაობ, ღვინო მინდა და იმიტომ კი არ ვამბობ. იი, მე ვამბობ სიმართლეს. მაგ სადღეგრძელოს სულ ჩემი შვილები წაიღებენ, თქვენ შვილებს კი არაფერი დარჩებათ. ყველაზე მდი-



დარი მე ვარ, შვილებით და ბედნიერ კაცად ვითვლები. მაშ, შესაბუთო  
ლებს და რუსებს თოთო-ოროლა გყავთ, ძალიან ზარმაცობთ. ოქვენ  
გეშინიათ ცხოვრებისა. შენ, ჩემი ძმა ხარ, აი, არ გეწყინოს, მე სიმარ-  
თლეს ვამბობ: ოქვენ არ აზროვნებთ. აზრზე არა ხართ, წუთისოფელს  
არ უწევთ ანგარიშს. წინ სიკვდილის, ბედნიერად გამყოფოთ ყველა,  
მაგრამ, რომ არ იცი კაცმა, რა ბედი გარგუნა ღმერთმა? არა, დეიდა,  
ეგრე არ არის?

— ჭირს, მამედ ცხოვრება, ჭირს, — ენის ბორძიკით უპასუხა დია-  
სახლისმა.

— ეე, რა ჭირს, ოქვე დალოცვილო, მე რვა შვილი მყავს და ცო-  
ცხით ვინახავ, მეცხრეს ველოდები. თუ კალამი არ გიჭრის, ცოცხი  
აიღე, ესეც საქმეა.

ქართველებმა მხრები ავიჩეჩეთ, ცოტა უხერხულად ვიგრძენით  
თავი. სათქმელი ისევ გოგიამ ამოღერდა და საქმაოდ თამამად შეუ-  
ტია:

— შენ, მამედ ხომ არ დაითვერი?

— ეე, ღვინო იმისაა, უნდა დაითრო, აბა რა, — უპასუხა სასმელით  
გათამამებულმა მამედამ.

— ათს ვიყოლიებდი, ბავშვის ასეთნაირი გაზრდა რომ მინდოდეს,  
როგორც შენ ზრდი, სადარბაზოებში ტირიან და ლიფტით აღი-ჩადი-  
ან. ხან შიგაც აბინძურებენ, — ოქვა ვიღაცამ.

— მერე რა მოხდა, ბავშვმა ტირილი და გაჭირვება თავიდანვე უნ-  
და იგრძნოს. მერე რა არის, რომ შესცივა? მთავარია არ შიოდეს,  
გინდაც შეგეძლოს, შვილი ფუფუნებას არ უნდა მიაჩიო, თორემ ფუ-  
ფუნებით გაზრდილი ბიჭი შენ არ გამოგადგება და გოგო კიდევ საქუ-  
თარი ოჯახის გაჭირვებას ვერ აიტანს. ამიტომ არის, ქართველები ხში-  
რად ერთმანეთს შორდებიან, ეს ერთი. მეორე კი, ეგოიზმია. ოქვენ  
ხარობთ ამ ბუნების სილამაზით, წუთისოფლით და ღმერთისაგან მო-  
ცემულ შვილებს მუცელში ჰყლავთ. არ გინდათ, რომ უხილავი ძალით  
შექმნილი ქვეყანა დაანახოთ. მე ეს ერთმა ქართველმა ამიხსნა და  
სულ ვიცი, ნაყოფი ცოცხალია და იმიტომ ყალიბდება ჯანმრთელ ორ-  
განიზმში. დედა კი, აკვლევინებს. ეგ დიდი მტრობაა დედისა შვილი-  
სადმი. მით უმეტეს, შვილს დედა ღმერთად მიაჩინა. მაშ, მე ყველა-  
ფერი ვიცი. მე ასეთი ოპერაციები არ მწამს. დედას მშობიარობა აჯან-  
მრთელებს და აკეთილშობილებს. აბა, მე ყველაფერი ვიცი.

— შეხედე, მამედამ ახლა მშვენივრად არ დაგვმოძღვრა?



— აბა, როგორ, მე ყველაფერი ვიცი. მოიცა, მოიცა, ერთსა და მეორესა და გეტიკი: ერთ და ორ ბავშვს რომ გააჩენთ, სიკვდილის მიზეზებიდან დაზღვეულები უნდა იყოთ. ეს შეუძლებელია. ამას ექიმებმა კი არა, თვით ქრისტე-ღმერთმაც ვერ მიაღწია. ეკლესიაში სანთლებს ანთებთ და ღმერთს ევედრებით, ჯანმრთელად გვამყოფე, დიდხანს გვაცოცხლეო. აცადეთ, რომ ის ბავშვიც დაიბადოს. ღმერთს თუ არ უნდა, რომ დაიბადოს, თავად ჩაკლავს მუცელში. ისიც იცით, ღმერთი არც დიდებს ერიდება, მაგრამ ზოგი ხომ გაიზრდება. იქნებ ის თქვენზე უკეთეს სანთელს აანთებს. როცა ლოცულობთ, ღმერთთან მართლები უნდა იყოთ, უნდა გჯეროდეთ მისი ათი მცნებისა. მორწმუნები კი ასეთ საქმეს არ ჩადიან. ეს, მესამე, მაში, ყველაფერი ვიცი.

ქეიფი დასრულდა. წლები გავიდა და ის ერთი შთამბეჭდავი საღამო ყველამ დაიმახსოვრა. დაიზარდნენ ბავშვები. ზოგი გათხოვდა, ზოგიც დაქორწინდა. მეცხრე სართულზე მცხოვრები ნოდარის შვილებიც დამშვენდნენ. გია პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე მოეწყო, ცირა, უნივერსიტეტში — უურნალისტიკაზე. ორივე ულამაზესი და უნიჭიერესი... ავ თვალს არ ენახვებოდა. ცირას სიკეთით სავსე სახეზე წამწამებშუა ანთებული სანთლები ვარსკვლავებივით უციმციმებდა. ისეთი შუქმფენი ანგელოზივით დაიარებოდა, იტყოდით, ქვეყნის წილხვედრი ვარდ-ყვავილები გულ-მკერდზე დაეფრქვიაო. გრძნობა-გონების სილრმიდან წამოსული მისი საზრიანი, მომხიბლავი განსჯა მძიმე დარღს შეგიმსუბუქებდათ და ცხოვრების სიამტკბილობასთან მიგაახლოვებდათ. ატმის ნაყოფივით თეთრ-წითელ ლოყებს ბაგიდან მოფენილი ღიმილი ერთვოდა. ქანდაკებასავით ჩამოქნილ სხეულს და მის სულიერ სიმდიდრეს ბოროტი კაციც ვერ მოუძებნიდა საქილიკოს. ქუჩაში ისე მსუბუქად და ჰაეროვნად დააბიჭებდა, უყურადღებოდ არავინ სტოვებდა.

გიაც დას წააგავდა, სულით და ხორცით მშვენიერების განსახიერება იყო.

მამედამ ცხრა შვილიდან ორი გოგო გაათხოვა: ზიზო და ვაქილა.

უფროს გოგონას მანუელა ერქვა. სულ პატარას, რომელიც აქ, ამ სახლში დაიბადა, ანგელა. ბიჭებიდან, უფროსს — ნოდარი, მეორეს ვასილა, მესამეს სიკა, მეოთხეს ვანო, მეხუთეს ბექა.

ერთ კვირა დღეს გოგის ოჯახში ვქეიფობდით. სამ-სამი ჭიქა დავლიეთ, რომ ვიღაცამ ზარი დარეკა. გოგის მეუღლემ, ნატომ, კარი გააღო და მამედას შემოუძლვა, რომელსაც სამი ბოთლი ღვინო ეჭირა



ხელში. მამედა სმაში დაგვემგზავრა. შექეიფიანებულმა რაც შეკვეთი ში დაბმული ფრთოსნები ჰყავდა, ყველა ერთად აუშვა:

— თქვენ, აი კაი კაცები ხართ და ახლა კი მაწყენინეთ. მე ცოლმა მითხრა, მაღლა გოგიასთან ბიჭები ქეიფობენ, იყიდე ღვინო და ადი, შენ რად უნდა ჩამორჩე მეზობლებსი. პო და აი, თუ ვართ მეზობლები, უნდა ვიყოთ. დღეს თუ მეზობლები ვართ, ხვალ იქნებ დავნათესავდეთ კიდეც!

— მერე, მამედ, თქვენ რომ გოგოებს ჰყიდით, ჩვენ სადა გვაქვს ამდენი ფული, რო დავნათესავდეთ? — იხუმრა ნატომ.

— მერე, რა არის, გოგოები თუ არა, ბიჭები ხომ მყვანან, ქართულ სკოლაში სწავლობენ, უფროსმა ჯარიც მოიარა.

— არა, შენ ის მანუელა კარგი გყავს, სუფთა, ცქრიალა. ქართველზე ხომ არ გაათხოვებ? — სიტყვა მოუჭრა თემურმა.

— როგორ არა, მორიგების საქმე არ არის?

— ესეიგი, შენ გოგოების ყოლა უფრო გიხარია, — ჩაილიმილა გოგიძ.

— რათა, კაცო, მე თუ უნდა გავყიდო, ბიჭებისათვის ხომ უნდა ვიყიდო? ერთ გოგოს ქართველს გავატან, ერთ გოგოს კი ქართველიდან წავიყვან.

— მითხარ, ვისი გოგო უფრო მოგწონს? — არ ეშვებოდა გოგი.

— დეიდა, თქვენ გოგოს წავიყვანთ, ბიჭს კიდევ ჩემს გოგოს მივცემ, ბარი-ბარს ვიქნებით, თუ ასე არ გინდათ, თქვენ ნათესავ ბიჭს გავაყილოთ. აქ დავიბადე, ამ პარიო ვსუნთქავ, ამ მიწის ღალით ვიკვებები და ეს მიწა უნდა დამეყაროს გულზე. მე სხვა სამშობლო არა მაქვს, ცოცხალიც თქვენი სტუმარი ვარ და მკვდარიც თქვენი უნდა ვიყო, — უკანასკნელი სიტყვები ძლივს ამოილუდლულა და თვალებიდან ცრემლები ჩამოსცვივდა.

ვახიდამ და ინიჩამ უცებ ჩაუყარეს საფუძველი თავიანთ მომავალ ოჯახს.

ქორწილიდან ექვსი თვის შემდეგ შვილი შეეძინათ. ქორწილამდე სიყვარულს საიღუმლოდ გულში მარხავდნენ. ისე მოხდა, რომ იმ სა-დარბაზოს მერვე სართულს მთლიანად მამედას ბიჭი დაეპატრონა. ჯერ წელიწადიც არ იყო გასული, ამ გოგოს დედა გარდაეცვალა. მანუელა კარგი გოგო დადგა. სავაჭრო ტექნიკუმი დაამთავრა და შეუდგა კი-დეც მუშაობას.

ნოდარმა და ცირამ, ორივემ ფრიადზე დაამთავრეს თბილისის სა-



ხელმწიფო უნივერსიტეტი და მშობლებს კატეგორიულად დაუპირვეს საკითხი, სწავლის გასაგრძელებლად „დიდ რუსეთში“ უნდა წარმოდგენ თქვენ კი ხელი შეგვიწყვეთო. მშობლებმა ურჩიეს, აქ შესულიყვნენ ასპირანტურაში. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების რჩევა და სურვილიც ეს იყო, მაგრამ და-ძმის გადაწყვეტილება ურყევი გა-მოდგა და მშობლებიც დათმობაზე წავიდნენ. ასე ამრიგად, ცირა და ნოდარი მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ასპი-რანტები გხდნენ. დედ-მამა მარტო დარჩა, ნახევრად სიტქბო და სით-ბო გამოცლილ, ბარტყებდაფრენილ ჩიტებს დაემსგავსნენ.

წუთისოფელი ბრუნავს, საუკეთესო წლები თან მიაქვს, წლები რომელიც განუმეორებლად აღიბეჭდება ყველა ჩვენთაგანის ცნობი-ერებაში.

დეიდა ნატო მღვდლის შვილი იყო და ქრისტეს რწმენაზე ააგო პი-რადი ცხოვრება. ყოველ შაბათს ქაშუეთში სანთლებს ანთებდა. მშობ-ლიურ კერას მოცილებული შვილები კი იქ, არ ვიცი როგორ გრძნობ-დნენ თავს, იმას კი ვიტყვი, სითბო აყლდათ, მიუხედავად იმისა, მშო-ბლები წელიწადში სამჯერ მაინც ჩადიოდნენ მათ სანახავად, ხშირად ამანათს უგზავნიდნენ.

ნოდარმა მოსკოვის ერთ-ერთ კვლევით ინსტიტუტში დაიწყო მუ-შაობა, ცირა საზღვარგარეთთან კულტურულ ურთიერთობის სამინისტ-როში მოეწყო და იქვე, თანამშრომელზე გათხოვდა.

თბილისში კი, მათი მშობლიური კერა თანდათან მინავლდა. ნელ-ნელა იწყო გაციება.

ერთ დღეს გოგი და ნატო საკუთარი მანქანით ახლო ნათესავის დაკრძალვაზე წავიდნენ. უკან დაბრუნებულთ შემხვედრი მანქანა და-ეჭახათ და ორივე ადგილზე გარდაიცვალა.

დასაფლავებიდან ჩამდენიმე დღის შემდეგ მათი ბინის ეს ერთი ვარიანტიც ხელიდან არ გაუშვა მამედამ.

მეცრე სართულის დედისერთა ბიჭის ბონდოსა და მანუელას თურ-მე ერთმანეთი ჰყავარებიათ. ბონდომ ეკონომიური ფაკულტეტი დაამ-თავრა და მშობლებს საკითხი დაუსვა, დათანხმებოდნენ ცოლის შერ-თვაზე, მაგრამ მანუელს სახელი რომ ახსენა, დედაც და მამაც ორივე საგონებელში ჩაცვიდნენ. მშობლებზე განაწყენებული ბონდო კი მანუელასადმი სიყვარულით აღვსილი გული რომ განეტვირთა, ასპი-რანტურაში სწავლის გასაგრძელებლად მოსკოვს გაემგზავრა.

ერთ დღეს მანუელამ მარტოდ დაიგულა ბონდოს დედა და მის



წინაშე მოწიწებით წარდგა. მანუელის ცხვენოდა. არ იცოდეთ მანუელის ეთქვა, როგორ და რანაირად დაეწყო. იცოდა, რომ ქალი შესანიშნავი მოსაუბრე და ყველას შემწყნარებელი, ღამრიგებელი, რკინისებური ნებისყოფისა იყო, საკუთარი პოზიციიდან ისე აღვილად ვერ გადმო-იბირებდა.

მასპინძელმა შესვლისთანავე სკამი მიართვა, მშვიდად, ალერსია-ნად, მაგრამ საქმაოდ ხაზგასმული ტონით ჰქითხა:

— რა არის, შვილო, საქმე ხომ არა გაქვს?

მოულოდნელ, მტკიცე, მაგრამ დამაფიქრებელ კითხვაში ბევრი რამ ავისმაუწყებელი იგრძნობოდა. მანუელა დიდხანს იშმუშნებოდა, უსიამოვნო განცდებში იყო და სახეზე ალმური ასდიოდა. ცდილობდა ისე დაეწყო, სასწორი, რომლის ერთ პინაზე სადედამთილო იდგა, ხოლო მეორე მხარეს თვითონ, როგორმე თავისკენ გადმოეძალა. პირ-ველ რიგში ნებართვა ითხოვა — თუ შეიძლება დედობით მოგმარ-თოთო.

— კი, შვილო, როგორც გენებოს! — მიიღო დასტური.

— დედა, თქვენ იცით თუ არა, ვერ გეტყვით, იქნებ ბონდომ გი-თხრათ, ჩემიანებმა კი ჯერჯერობით არ იციან. ორი წელიწადია მე და ბონდოს ერთმანეთი გვიყვარს. სხვა ეროვნებისა ვარ, თუმცა ის სხვა, სიყვარულმა არ იცის. თქვენ სხვა მითხარით, თუ რაიმეს მიწუნებთ.

— არა, შვილო, მე არ გიწუნებ, შენ დასაწუნი გოგო არა ხარ, მაგრამ ქურთი ხარ, ჩემი ბონდო ქართველია, თქვენ სხვა ზნე-ჩვეუ-ლებისა ხართ, ჩვენ სულ სხვა. თქვენი რჯული კრძალავს სხვა რჯუ-ლის ადამიანთან გამიჯნურებას.

— დედა, ეს ვიცი, მე სულ სხვას მოგახსენებთ, — თან გული ამო-უჯდა, აქვითინდა, ატირდა, — თქვენ ოლონდ დაგვეთანებეთ და რო-გორც გსურთ, ისე მოვიქცევი. ქართული თვისების მიხედვით წარ-ვმართავ ცხოვრებას. ამ საკითხზე მე და ბონდო უკვე შევთანხმდით.

— არა, შვილო, არ შეიძლება!

თქვა თუ არა ეს სიტყვები მზიამ, მანუელა საოცრად დაიფერფლა და სახეზე მკვდრისფერმა გადაპერა.

— დედა, გამიგეთ, — წარმოთქვა მღელვარედ, — მამაჩემი მყი-დის და არ მინდა ქურთზე გათხოვება. იმიტომ კი არა, რომ ის ქურ-თია, არა! არ მიყვარს, მე და ბონდოს კი თქვენს გარდა, სიკვდილიც ვერ დაგვაცილებს.

— ამიტომ, შვილო, შენი რჯულისა უნდა მოძებნო, უფრო აღვი-

ლად შეეთვისებით, იოლად გაუგებთ ერთმანეთს, უფრო თავისუფლად იგრძნობ თავს, რადგან იმას განიმტკიცებ, რაც ტრადიციულად მოგვევბა და აღზრდილიც იმ ატმოსფეროში ხარ. ჩვენთან კი, ყველა-ფერი სულ თავიდან უნდა დაიწყო, ყურადღება დაძაბო, რომ არა-ფერი შეგეშალოს.

— გზას ნუ გვიღობავ, დედა, ეგ არაა ჩემთვის პრობლემა. მე მინდა, რომ თქვენებურად, ქართულად ვიცხოვრო. თქვენ არ იცით, ჩვენ ორთავეს რა წმინდა გრძნობით ვეიძებრს გული. სხვა გამოსავალი არა გვაქვს, ან სიკვდილი, ან ორივეს ბეღნიერება...

სათქმელი დასრულა თუ არა, საცოდავად ჩაიქვითინა. სიყვარულის ცრემლებმა საოცნებო იღუმალ ფერებს ნათელი მოჰვინა.

— არა და არა, ეს არ მოხდება, ღვთის წინაშე ცოდვის ჩადენა დანაშაულია! — დაასკვნა მზიამ.

— მაშასადამე, თავი უნდა მოვიქლა, — თქვა მანუელამ და მის ლამაზ ღაწვებზე ცრემლები ბრილიანტის მძივებად დაეკიდა, ის დალოცილი ისე მოხდენილად ქვითინებდა, რომ ქვა გული უნდა პქონოდა აღამიანს, მისოთვის გაეძლო.

— არა, შვილო, თავი რატომ უნდა მოიქლა? სული ეშმაქს რად უნდა მისცე? — ამის თქმაზე თითქოს ცეცხლზე ნავთი დაასხესო, მანუელამ ქვითინს უმატა და უფრო აპილპილდა:

— მერე, რომ ქურთი ვარ, განა არა მაქვს უფლება ჩემი ერის ტრადიციები უარვყო და სხვისას ვეზიარო? მაშინ წუთისოფელს სამართალი არ ჰქონია, თვალთა ხედვა გაუფასურებული, განა ცოტაა სიყვარულს შეწირული? დაე, მეც მოვკვდე ამ სიყვარულით.

მზიამ თავი ვეღარ შეიკავა, ქალიშვილის ცეცხლოვანმა სიტყვებმა ნათლად დაანახვა გულიდან ამოფრქვეული გრძნობის ჭეშმარიტება. გატყდა ეროვნულ ტრადიციაზე მდგარი დედაკაცი, მიუახლოვდა მანუელას და სავარძლიდან წამოაყენა, აკოცა, ნაზად მიუალერსა.

— არა ვარ წინააღმდეგი, თუ ნამდვილად ჩემ შვილსაც ასეთივე დიდი გრძნობით უყვარხარ.

ნათქვამით გახარებულმა მანუელამ აღარ იცოდა რა ექნა, რა ემოქმედა:

— მაღლობთ, დედა, — თქვა და უფრო მაგრად ჩაიქრა მზია გულში, ახლა როგორც დედამთილს ისე აკოცა და ალერსით ამოუშრო თვალებში ცრემლები.

მზიამ შესთავაზა, დაიწყნარე ნერვები და ისე წადიო.

— დედა, მართალი ბრძანდებით, ახლა უფრო გაბედულად ძირავ-  
ლო თვალი ნივთებს, მერე მზერა ფანჯრისაკენ გადაიტანა. სჩანდა-  
გულში რაღაც უთქმელი დარჩა და ის არ ასვენებდა.

— ამიერიდან როგორც გსურთ მიმსახურეთ, თქვენ დედამთილი,  
მე რძალი.

— ჰო, შვილო, რას ამბობ, — თუმცა გულში გაივლო, ჩემგან სრუ-  
ლი თანხმობა ჯერ კიდევ ნააღრევიაო, მაგრამ ისედაც გალიზიანებუ-  
ლი ქალიშვილი აღარ გაანერვიულა. გაიხსენა თავისი წარსული, სიყ-  
ვარულით გათხოვება, მოაგონდა უადგილოდ რამდენი დაფარული  
გრძნობა გაუმხელია და გვიან მიხვედრილა, რომ გულუბრყვილოდ  
მოუვიდა. მანუელასაც ეს ნათქვამი გულუბრყვილოდ ჩაუთვალა:

— მანუელა, შვილო, დაბრძანდი, ერთი რამ უნდა გვითხო: მე  
რომ დასტური გითხარი, იმ სიტყვის ქალი ვარ, არ გადაუვალ, მხო-  
ლოდ ის მაინტერესებს, საქუთარი ერის ტრადიციებს რატომ უარ-  
ყოფ, ეს ხომ ღალატია, უპირველეს ყოვლისა, საქუთარი თავის წი-  
ნაშე?

— არ უარვყოფ, დედა, განა არ ვიცი, ეს მიწა ქურთისტანის არ  
არის? მაგრამ მე რა დავაშავე. აქ დავფუძნდით, ამ მიწის მადლით  
ვარსებობთ, ან უნდა ჩვენი სამშობლო მოვქებნოთ, ან, არა და, ამ  
მიწის მადლით ვიარსებოთ. ისიც შეგვიძლია, საკუთარ სამშობლოდ  
გავითავისოთ, ქართველ ერს ჭირსა და ლხინში ამიერიდანაც მხარში  
ამოვუდგეთ, ვუერთგულოთ, მის ენას და ისტორიას ორმად ჩავწვ-  
დეთ, გავითავისოთ. წუთისოფელი იცვლება, დედა, თქვენ ჩემზე  
უკეთ იცით ქართველი ერის განვლილი მძიმე გზა. ისიც მოგეხსენე-  
ბათ, ახლა რა ხდება ქვეყანაზე, განსაკუთრებით ერაყში, ირანში.  
ქურთები დაარბიეს, ცხოვრება კი წინ მიდის. რა ვიცი, თქვენ განა-  
ოსებს და აფხაზებს ცუდი გაუკეთეთ, რომ მადლობის მაგიერ ბორო-  
ტება მოიქცეთ? შედარებისთვის ასეთ მაგალითს მოვიყვან: ვთქვათ,  
ჩრდილო ისეთი თანამედროვე ცივილიზაციას იყო მოქლებული და  
სამაჩაბლო, რომ კომუნისტებმა სამხრეთ ისეთად გამოაცხადეს,  
ჩრდილოეთიდან აიყარნენ, ჩამოვიდნენ, ჩამოსახლდნენ ისები, ქარ-  
თველებს თავხედურად გადაუარეს და იმათსავე სახლებში ჩასახლდ-  
ნენ, ასე უნდა მომხდარიყო, ცხადია, რადგან ზემოდან დიდი მხარდა-  
ჭერა ჰქონდათ, განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობ-  
დნენ, თქვენც ყოველნაირად ხელი შეუწყეთ მათ, სკოლები და ინს-

ტიტუტები გაუხსენით, იქ ჩრდილოეთში კი, თითქმის გადაშენდნენ  
ოსები, თავადაც არ იციან რას წარმოადგენენ, რა გზას აღვაწენენ.

ქართული ტრადიციები და ჩვეულებები უფრო ღრმადაა მშობლი-  
ურ მიწაში ფესვგამდგარი, უფრო წმინდაა, უფრო ჟუმანურია. მცირე  
ერებს არც ერთი სხვა დიდი ერი არ მოეპყრობა ასე ღირსეულად,  
როგორც ქართველები ექცევიან. განა ეს პატარა საქმეა? მე ქართვე-  
ლიდან მრავალი კარგი თვისება ვისწავლე და კვლავ შევითვისებ, ჩე-  
მი სიცოცხლე, ცხოვრება მინდა ქართულ ტრადიციებს დაეფუძნოს,  
ქართველი შვილები შემეძინოს და საალერსოდ და სასიყვარულოდ  
დაუყვედრებელი სამშობლო ჰქონდეთ, იამაყონ მისი წარსულითა და  
აწყოთი, აი ეს არის, დედა, ჩემი დიდი ოცნება, რომელსაც მთელი  
ჩემი სიცოცხლე უნდა მიეძღვნას.

მანუელა წამოდგა, წასასვლელად მოემზადა. მივიდა, აკოცა მზიას,  
დაემშვიდობა.

— კარგად ბრძანდებოდე, შვილო, ღმერთმა კეთილად დააგვირ-  
გვინოს შენი ჩანაფიქრი, — თქვა მზიამ და თან პირჯვარი გადაიწერა.

— რა არის, დედა?

— არ ვიცი, შვილო, რაღაც შიში შემომეპარა, ვისზედაც გყიდის  
მამაშენი, იმას უყვარხარ კი?

— არაფერია, დედა, სამართლიანი სიყვარული ყოველთვის იმარ-  
ჯვებს.

— რა გაეწყობა, უარი ვერ გითხარი, რაღგან შენმა ცრემლებმა  
ისე შემბოჭა, შვილო, რომ ჯერაც ვერ დამიხსნია თავი.

კარისაკენ მიმავალი მანუელას მოხდენილი მოძრაობა და ტან-ფე-  
ხი დედამთილმა უფრო კარგად შეათვალიერა და გულში გაივლო,  
ქურთია, მაგრამ ანგელოზს წააგავს. რა ვქნა, ალბათ, ჩემი შვილის  
ბედი ეგ არის. დედისერთა ბიჭი მყავს და რძალი მონაგარს გამიმრავ-  
ლებს. ნეტა მეუღლე რას იტყვის, ჩემი ჩანაფიქრი ვაი თუ ჩაიშალოს.

ამის გაფიქრება და ზარის ხმაც გაისმა. კარი გაიხსნა, მეუღლე შე-  
მოვიდა თუ არა, მზიამ ხელების დაბანაც არ აცალა:

— თენგიზ, ახალი ამბავი უნდა გახარო. ერთის მხრივ საწყენიცაა  
და სასიხარულოც. ჩენ ბიჭს, ბონდოს, ქურთის გოგო მანუელა რომ  
უყვარს, შენ კარგად იცი.

— ვიცი რომ უყვარს, მაგრამ ამაზე ჩემთვის არავის არაფერი  
უთქვამს.

— წელიწადია ბონდომ განმიცხადა, მაგრამ მე ნებას არ ვრთავ-

დი. აი, ახლა, თავად მანუელა მოვიდა ჩემთან და მითხრა, ერთმანეთი თი გვიყვარს, ისიც ვიცი, ქურთი რომ ვარ, ბონდოს ჩემი შემოსის უფლებას ამიტომ არ აძლევთო. ტიროდა, მეხვეწებოდა, მემუღარებოდა.

— უყურე, მაგ მაძალლს, ჩემ შვილს ჭკუა კი ჰქონია, მაგრამ რად უნდა, თუ ვერ გამოიყენებს? ვიდრე შეიყვარებდა, არ იცოდა, რომ ქურთი იყო? მით უმეტეს, აქვე სადარბაზოში ცხოვრობს.

მზია შეიშმუშნა, შეწუხდა, არ მითხრას ასეთი რთული საკითხი უჩემოდ რატომ გადაწყვიტეო, მაგრამ გული გაიმაგრა.

— რა ვუყოთ ახლა? — იკითხა მშვიდად.

— რა უნდა ვუყოთ, სიყვარულს წინ ხომ ვერ აღვუდგებით? გაისხენე შენი ამბავი და ყველაფერი განათდება, გონებაში გაცისკროვნდება.

ამის შემდეგ დაწვრილებით გაიხსენა იმ დღისით რძალ-დედამთილს შორის მომხდარი კომიჯური სიტუაცია. ღამის პირველის ნახევარი იქნებოდა, ცოლ-ქმარს სარძლოს დანიშვნის თაობაზე ჰქონდათ საუბარი. რა ეყიდათ, რა დაჯდებოდა ოქროს ნივთები, ან სად ევაჭრათ. ამასობაში ფანჯარასთან მომდგარი მთვარე მშვიდად იმზირებოდა ოთახში. მისი თეთრი, ქათქათა სხივები საბნის გულზე ოქროსფრად იბნეოდა.

მზიამ თენგიზს ანიშნა:

— ალბათ, ეს ბედნიერების ნიშანია, თენგიზ, მთვარე რომ საბნის გულზე დაბრძანდა.

— ეჭ, ერთი შვილი მყავს და ჩემი მომავალი მაგაზეა დამყარებული, უბედურები რატომ უნდა ვიყოთ.

— რა ვიცი, მე კი მეშინია.

— რა გაშინებს, ქალო, ღმერთი ქვეყნიერებას სიკეთეს ურიგებს და ბოროტებას რაღა ჩვენთვის გამოიმეტებს. წუთისოფლის წინაშე წვენი გულისათვის თავს ხომ არ შეირცხვენს. შენ, ალბათ, ფიქრმა გაგიტაცა და შიშმა შეგიძყრო. დაიძინე, დამშვიდდები და ავი ფიქრები გაგეფანტება. დაგვიანებულ მგზავრებს მთვარე შემწედ მოევლინება ხოლმე. ნატრობენ როდის ამოვაო, შენ კი, მტრად მიგაჩნია იგი. მთვარე თავის გზაზე მიღის და ღამეს აცილებს წარსულისაკენ. დაიძინე, მზია, ძილი ნებისა.

ახალი ამბავი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მეზობელ ქალებს.

— თავადის ქალო, ნინო!

- მობრძანდი, უანეტა.
- დილა შშეიღობისა, შენ ანგელოზ გოგოს ჭერ კიდევ ძირითადი მისამართისაა.
- ჰო, მამიღასა ჰგავს.
- ახალი ამბავი გაიგე?
- არა, რა მოხდა?
- შეხედე, იმ კახპამ, რა ბიჭი მოჩანგლა?
- ვინ კახპამ, არ მესმის?
- ქურთის დაჭყეტილმა გოგომ, მანუელამ.
- ამ დროს მესამე ჭორიკანაც შეემატა ჭორბიუროს და ადრე მოსულ სტუმარს მიახალა:
- შენ უკვე აქა ხარ? მოსვლა დამასწარი?
- მერე, მერე, უანეტა, დაიკო, განაგრძე, ვინ ბიჭი?
- ვინა და, იქვე სადარბაზოში მეცხრე სართულზე რომ ცხოვრობს.
- უი, მზიას ბიჭი, ის ხომ მოსკოვში, ასპირანტურაში სწავლობს?
- ჰოო და ის მოუჩანგლავს.
- ტყუილია, ის ექვს თვეზე მეტია წასულია და ჭერაც არ ჩამოსულა.
- როგორ არა, ჩამოსულია, ის კახპაც გუშინ მთელი დღე იქ ყოფილა.
- მაგ საქმეს მე დღეს უდეთ დაგაზუსტებ, — ხმა აიმაღლა მასპინძელმა, რომელიც ახლობლებმა ზედმეტი განსაკუთრებული ჭორიკანობის გამო ცოცხალ გაზეთად მონათლეს.
- იცი, რა გითხრა? — მიმართა ნავვიანევად შემოსულმა ქეთის მეზობელმა, — ბონდო შენ გოგოს გავურივოთ, ზაირა იმ კახპა ქურთის თუ არ სჯობს, არ ჩამოუვარდება მაინც. მისი დასაწუნი არაფერი აქვს, ფერ-ხორციანი, ჯანმრთელი გოგოა და, რაც მთავარია, ქართველია — დავითულიანი. შენ ეს საქმე მე მომანდე, კოვზი ნაცარში უნდა ჩავუგდო.
- ჭორების მოყვარულთ შური და ბოლმა იმდენად ამოქმედებდათ, რომ ლაპარაკი ერთობ ხმამაღლა და ემოციური გამოდიოდათ. ზაირას ეღვიძა და არ გამოპარვია თითოეულის ნათქვამი. განრისხდა, ღამის პერანგისამარა გამოვარდა:
- მე ასეთი რამ არ მსიამოვნებს, — თქვა და კარები მოიჯახუნა, — შეგიძლიათ სხვა თემაზე ილაპარაკოთ.

— რატომ, გოგო, რატომ, ბონდო ცუდი ბიჭია?

— მე არ ვამბობ, რომ ცუდია, ან რატომ უნდა იყოს ცუდი ქართველები არიან და ლირსეული ოჯახიც აქვთ.

ცოცხალმა გაზეთმა თავი ვერ შეიკავა და მგზნებარედ დაამატა:

— თანაც დედისერთა ბიჭის პატრონები არიან!

ჭორბიუროს წევრებმა ერთმანეთს თვალი ღიმილით ჩაუქრეს, რაც იმას ნიშნავდა, ქალიშვილი ჩვენ ხელთააო.

— ჭირიმე შენი, ზაირა, ერთი ყავა მოგვიდულე, ისეთ ბიჭს უნდა ჩაგახუტოთ, თავს დანატროდე.

— დეიდა, გთხოვთ, მასეთ რამეს ნუ მეუბნებით, თუ არა, ყავას არ მოგიღულებთ.

— რატომ, შვილო, მე შენსკენ ვარ, შენ ეშმაკებისაკენ? ქვეყანა სიყვარულითაა აშენებული და შენ ამას უარყოფ. სიყვარული, რომ არ იყოს, წუთისოფელიც არ იქნებოდა. ნათქვამია, ვინც სიყვარულსა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.

ამასობაში ზაირამ ყავაც შემოუტანათ და წუთისოფლის მსაჯულებს თითო-თითო ჭიქა ჩამოურიგა. მოთაფლული ენის პატრონებიც სულის შებერვით შეექცნენ.

გარეშე ბიძაშვილები უცხო კაცის სუფრაზე გვერდიგვერდ ისხდნენ. ღვინით შეზარხოშებულებმა აბასამ მამედას შეახსენა:

— ბაყას, ხომ არ დაგვიწყდა ჩემი ბიჭის დაბადების დღეზე ხელი მომეცი, თუ გოგო მეყოლა, შენ ვაჟს ცოლად მივათხოვებო. ხომ გამართლდა და გოგო შეეგძინა, ახლა რას იტყყო?

— აუქ, იცი რა გოგო დადგა, მამა ენაცვალოს, ანგელოზია. სიტყვა-პასუხი გადასარევი, კულტურული, ნასწავლი, ლამაზი, მოხდენილი, უწყინარი.

— ოო, ჩემი ბიჭი უნდა ნახო. რამდენი ხანია აღარ გინახავს?

— იქნება ასე ოთხი-ხუთი წელიწადი.

— ჰო, და, შე დალოცვილო, ხუთ წელიწადში ხუთი იმხელა დაემატა. კლდეს რომ დაეჭიდოს, მოანგრევს. მაგრამ, ჩვენ ეს რად გვინდა, სიტყვა სიტყვაა, ხელი-ხელს გვაძვს მიცემული და საქმეც მოთავებულია.

— ჰო, მეთქი, კაცო, უარს ხომ არ ვამბობ!

მანუელა სამსახურიდან დაბრუნდა თუ არა, შინ მიუსვლელად



პირდაპირ სადედამთილოსთან ავიდა. იმ დღეს ხელფასი აიღო და  
საჩუქრად ნამცხვარი მიაჩოვა, თუმცა მათ ოჯახს ჩიტის რეგიონში  
აკლდა. მზიამ ჯერ კი იუარა, რატომ შეწუხდიო და გამორთმევისას  
გულთბილი თავაზიანი მადლობა გადაუხადა. მანუელას შეუმნევე-  
ლი არ დარჩენია, იმ მადლიან თავაზიანობაში იმხელა სიამაყე იყო  
ჩაქსოვილი, რომ მსგავსი რამ ჯერ არავისგან უგრძვნია. არ წყენია,  
პირიქით, შემდეგ უფრო ეამაყებოდა, ასეთი გულზვიადი სადედა-  
მთილო მყავსო. ისიც ახარა, ბონდოს წერილი გავუგზავნე, თქვენი  
თანხმობის ამბავი დიდი ღირსებით შევამქეო.

— შვილო, მეც გავუგზავნე ბონდოს წერილი.

— დედა, მითხარი რა ჩაუწერე ჩემზე?

— მართალია უარზე ვიყავი მეთქი, მაგრამ მისი ცრემლები იმდე-  
ნად მხურვალე აღმოჩნდა, რომ ეს ქვა გული დაალბო-მეთქი.

— ბონდო, რომ მიიღებს და წაიკითხავს, ოჰ, როგორ გაუხარ-  
დება.

— ნეტამც ღმერთმა ისმინოს, შვილო და მიუვიდეს ჩვენი წერი-  
ლები.

მანუელა მიუახლოვდა სადედამთილოს, აკოცა ყელზე შემორ-  
ტყმულ მძივს ხელი შეახო და კითხა:

— დედა, ეს რა მძივია? როგორ გიხდებათ.

— გიშერია, ძველებური.

— ბატონმა თენგიზმა მოგიტანათ?

— არა, დედისეულია.

ბონდოსგან ალერსს მოკლებული მანუელა დედამთილს მოეფე-  
რა. ჯერ წარბები გაუსწორა და მერე თმები გაუჩეჩა.

— დედა, მე როგორც მინდა, თმები ისე უნდა დაგვარცხნოთ,  
სარკეში ნახეთ, როგორ მოგიხდებათ.

— შენ იცი, შვილო, თმების ვარცხნილობას განსაკუთრებული  
მნიშვნელობა აქვს, ქალისთვის, თუმცა მე ჩემი გარევნობით უიმი-  
სოდაც ქმაყოფილი ვარ.

ამას რომ ამბობდა, გულში ისიც კი გაიფიქრა, ამ გოგომ თავისი  
ნებისყოფის წყალობით ხელში ამიყვანა, არა და ერთი ხმამაღალი  
სიტყვაც რომ ვუთხრა, ცრემლები წვიმასავით წამოუვა თვალთაგან.  
ნებას დაჰყევა, მანუელამ სარკე მიაწოდა.

— ჩაიხედე, დედა, — თქვა და აკისქისდა, ბროლივით თეთრი კბი-  
ლები გამოაჩინა.

მზია სარკეში თავის თავს ათვალიერებდა, მანუელიმ იმუშავდა ლები მხრებზე დაწყო და ორთავე ლოყაზე იყოცა.

— მაშ, ასე, დღეს საქმაოდ გაგალამაზე. ახლა კი, დედა, ნახვაძლის.

მანუელას ორიოდე ნაბიჯიც არ ჰქონდა გადაღგმული, თენიზმა რომ კარი გააღო და შემოვიდა. დაინახა თუ არა მანუელა, შესძახა:

— ამას ვის ვხედავ, ჩემს სახლში მტრედი შემოფრენილა, — თენიზმა ხელი გაუწოდა, მანუელა მისკენ თითქმის გაიქცა და მკლავებში ჩაუვარდა. თენიზმა ცოლს შეხედა და გაოცდა, ეს რა გასხვაფერებული ხარო.

მანუელამ თავმომწონედ გაილიმა:

— ჰო, უხდება არა, თენიზ ძია? მე დავუყენე ასე თმები.

— კი, უხდება, მაგრამ ეს ქალი არ გამიგიუ.

ატყდა სიცილი, ასე მხიარულად დასცილდნენ ერთმანეთს.

მამედა ცოტა შექეიფიანებული ჩანდა და მეუღლეს ფარულად რაღაცას უყვებოდა. ისიც მეტისმეტად განცხრომით უსმენდა. მანუელას შინ მოგვიანებით მოსვლაზე ცოტა შეცბუნდნენ, მამედამ საუბარი შეაჩერა და ქალიშვილს მიუბრუნდა:

— სად იყავი, ასე უვიან რომ მოხვედი?

— ამხანაგებთან ერთად კინოში შევედი.

— ახლა პური ჭამე და დაიძინე.

მანუელა მშობლების უცწაურმა ჩურჩულმა უსიამოვნო გუნებაზე დააყენა. ვახშმობდა, მაგრამ გულისყური მათკენ ჰქონდა მიპყრობილი. ზოგიერთ სიტყვას კანტიკუნტად იჭერდა. მიხვდა, რომ მასზე ლაპარაკობდნენ, ძმები მოიკითხა, დედამ უთხრა, ყველა შინ არის და სძინავთო.

მეორე დღეს მარიამობა თენდებოდა და მანუელას გადაწყვეტილი ჰქონდა ქრისტიანად მონათლულიყო. ქართველი ამხანაგი ქალიშვილები ჰყავდა ნათლიად შერჩეული. ამ საქმისათვის გადანახული ფული მოიძია და ხელჩანთაში ჩადო. ჩაწვა საწოლში, მაგრამ ღამის ლანდებმა ძილი გაუფრთხო, შეაშფოთა და უსასრულო ფიქრებში გააქანა.

დილით გვიან გაიღვიძა. ღამენათევს მზემ დაასწრო ამოსვლა, ღვთისმშობელივით წმინდას ოქროსფერი ჩუქურთმები თმებში ჩააწნა. ცა ზამბახის ლურჯი ფერივით ხასხასებდა, ზედ მზე ხალისიანად

დაცურავდა და წუთისოფლის მიმავალ იმ დღეს საუკუნისაკენზე მართვა  
ლებდა.

მანუელამ ნათლობის საიდუმლო მის ერთგულ ძმას გაანდო. მის-  
ვლის დრო დაუნიშნა სიონის ტაძარში, თანხმობის შემდეგ ქალიშვი-  
ლი სამსახურში წავიდა.

ახლა უანეტისთან შეიკრიბნენ ჭორიკანები და დიდი ბჭობა გა-  
მართეს:

— ნინო, ანგელოზო, არ იტყვი რა გავიგე? ჩალიჩა გოგო ვარ,  
აბა, ჩემი გაუგებარი დარჩება რამე? ბონდოს დედა მანუელას  
რძლობაზე თურმე თანახმაა, ადრე ხომ გახსოვს უარზე იყო.

— საინტერესოა, რა აჭამა იმ კახპამ მზიას, რომ სიტყვას ასე მა-  
ლე გადაუხვია?

— მართალი გითხრათ, მე არ მეგონა, — წყენით ჩაილაპარაკა უა-  
ნეტამ.

— დაუშვებელია, ეს არ უნდა მოხდეს, ახლა როგორ მოვიქცეთ?

— გეტყვით, მისმინეთ, დისტული მყავს, ვაჟი. სილამაზით შესა-  
ფერისნი არიან. მანუელას გავაცნობ ჩემს დას და ვეტყვი, კარგი  
სარძლოა და არ დაჰკარგო მეთქი.

— მერე დისშვილი უნდა გააუბედურო?

— რა ვქნა, თქვენი ერთგულებისათვის სულს არ დავზოგავ, ჩემი  
სისხლისას გავწირავ, ოლონდაც მანუელა ბონდოს დავაშორო და ნი-  
ნოს გოგო ზაირა გავაყოლო.

— რას ამბობ, ნინო, განა ჩვენ ურთიერთის ერთგულებაზე კიდევ  
ეჭვი უნდა გეპარებოდეს?

— რად მეუბნები, ქეთი, ასეთ რამეს, უკმაყოფილო ვყოფილვარ  
ოდესმე?

— არა, ისე გითხარი, ჩვენ შორის სიყვარული უფრო რომ განმ-  
ტკიცდეს, ახლა შევალ ზაირასთან და მოველაპარაკები. მჯერა, ჩემი  
მოქნილი ენა გაჭრის.

ქეთიმ კარი შეაღო და ზაირას საწოლ ოთახში შევიდა.

— დილა მშვიდობისა, შვილო, რატომ არ დგები, შეუძლოდ ხომ  
არა ხარ? იქნებ ვინმეს სიყვარულმა აგაფორიაქა?

— არა, ქეთინო დეიდა, მე ჯერ ამაზე არ მიფიქრია.

— შვილო ჩემო, უნდა იფიქრო, წუთისოფელი სიყვარულისაა და  
მისი უარყოფა ჯოჯოხეთის ცეცხლში გაგხვევს. თუ გიყვარს ვინმე,



ნუ დამიმალავ, მითხარი, ვის აქვს უფლება ასეთი თვალწატებული, განათლებული ქალიშვილი დაგიშუნოს?

— როგორ არა, დამწუნებელიც ბევრია ქვეყნად და მომწონებელიც.

— ზაირა, შვილო, ხომ იცი, რომ მე თქვენი ოჯახის უსაზღვრო ერთგული ვარ. დედაშენი ისე მიყვარს, როგორც ჩემი ღვიძლი და, უიმისოდ პურის გატეხა არ შემიძლია. მინდა კარგი ვაჟი შეგახვედრო, უარს ნუ მეტყვი, შენ ამ საქმეში თავადაც უნდა მომეხმარო.

— ვინ არის, თქვი, ქეთი დეიდა, ან მე რა შემიძლია, რით მოგეხმარო?

— ბონდო, მეოთხე სადარბაზოს მეცხრე სართულზე რომ ცხოვ-რობს, გახსოვს?

— მოსკოვში ასპირანტურაში რომ სწავლობს?

— ჰო, რა, ცუდი ბიჭია?

— კარგია, მაგრამ ის მე არ მითხოვს, იმას სხვა უყვარს.

— ქურთს აღარ ჭობიხარ? იმას დავატოვებინებო, მგონი ახლა აქ არის, ხომ კარგად იცნობ?

— მეზობელია, როგორ არ ვიცნობ.

— თუ იცნობ, გოგო ხარ და თავი უნდა მოაწონო, გაუცინო, გა-ეხუმრო, გულის სითბო აგრძნობინო. რაც არ უნდა იყოს, მამაკაცია, გულში ვნება უდუღს, შენს მიმზიდველობას შენიშნავს და მეტი კი არაფერი უნდა.

— ქეთო დეიდა, ეგ ხო შეყვარებულის წართმევას ნიშნავს, ასე-თი რამე მე არ მეხერხება.

— შვილო, საშენოდ ყველაფერი უნდა გეხერხებოდეს, წუთი-სოფელი ასეა, ვინც სიყვარულსა არ ეძებს, იგი თავისა მტერია. ეს აღრეც მითქვამს.

— ეგ, ქეთო დეიდა, ბრძენმა თქვა, სხვათა შორის, ისიც ხომ უთქვამს, სიყვარულსა მალვა უნდა, ვითა ცხენსა ნაქებარსა.

— ესეც არის, შვილო, მაგრამ იყავ გულწრფელი, ხომ არავინ გიყვარს!

— ჯერ აღრეა, მომავალში კი ვნახოთ. ალხანას ჩალხანა არ დაე-ლევა.

— ჩალხანა რაღა შენ უნდა გაასალო, ანგელოზივით გოგო ნამდ-ვილად ბონდოსათვის ხარ დაბადებული, დედამთილ-მამამთილიც კარგი გეყოლება, მთელი ოჯახი ხომ ნამდვილი მუზეუმია.

ამ ღროს კარი ნინომ შემოაღო:

— დაუჭერე, შვილო, ქეთი დეიდას, შენთვის კარგი უნდა ჩატაროს, ჩატაროს, საუზმე უკვე მზად არის.

— ბონდოს ცოლობაზე თანახმა ვარ, მაგრამ მე რა შემიძლია, მთავარია ის იყოს თანახმა. „დაჩალიჩდით“, ეცადეთ სიყვარულის გზა მოკლე არ გამოდგეს.

მარიამბის დღე გათენდა, მარიამივით წმინდა, ხალასი. ღვთის წყალობით მოკრიალებული ცა პატარძალივით იმზირებოდა, გულუ-ხვიანი მაღლით დახუნდლული დედამიწა საახალწლოდ გაწყობილი სუფრა გეგონებოდათ. ზარები მრევლს ეკლესიებში მოუხმობდა.

სრულიად საქართველოს მღვდელმთავარი, უწმინდესი და უნეტარესი, სულისა და გულის განმწმენდი, ცოდვებისა და ბოროტების განმქარწყლებელი, საზეიმო სამოსში გამოწყობილი ილია II, საზიარებლად გამზადებულ მლოცველთ ბრდღვიალა შანდლებით წინ მიუძღვდა. მზიას ღვთისმშობლის ხატთან სანთლები დაენთო და ღმერთს ქმარს და შვილს ავედრებდა. ზიარების შემდეგ კარში რომ გამოვიდა, ხალხში მანუელა გამოჩნდა, სადედამთილოს მოკრძალებით მიესალმა, განსაკუთრებული სიყვარულის ნიშნად ეამბორა. სიხარულმა ისიც ათქმევინა, თუ რისთვის იყო მოსული და სთხოვა ნათლობას დასწრებოდა. მზიას ესიამოვნა, თუმცა გარეგნულად არაფერი აგრძნობინა. მხოლოდ სხვათა შორის კითხა:

— მარტო ხარ?

— არა, ამხანაგები მყავს ნათლიად და ჩემი ძმაც აქ არის.

— მერე იციან მშობლებმა?

— არა, რომ გავინათლები, მერე გაიგებენ.

— ვაითუ ეწყინოთ?

— ეგ არაფერი, წყალს დალევენ და გული გაუგრილდებათ. რაც მთავარია, ძმა ჩემი ერთგულია და ისიც ამ რწმენისაა. ნათლობა რომ დამთავრდება, ქრისტეს რჯულზე ჩემი მოქცევა აღვნიშნოთ, ერთმანეთი დავლოცოთ, სიცოცხლე და ბედნიერება ვისუროთ, ღმერთს მაღლობა შევუთვალოთ და, ასე ამრიგად, შინ ერთად წავიდეთ.

მანუელამ თავმომწონებით გააცნო ამხანაგებს მზია, როგორც კარგი სადედამთილო. განათვლის შემდეგ გარეთ გავიდნენ და მანუელას ძმამ თქვა:

— წესისამებრ ჩემ დას ნათლობა რესტორანში უნდა გადავუხადო.

ყველას მოეწონა ეს მშვენიერი სიურპრიზი. მთელი დღე მეტად იყვნენ, მრავალი სადღეგრძელო შესვეს და გახალისდნენ.

შინ მისვლისთანავე მზიამ ფოსტის ყუთი გახსნა და უურნალ-გაზეთები ამოალაგა. იქ წერილიც იყო და მანუელასათვის არ გაუმხელია. თავის მხრივ მასაც ყურადღება არ მიუქცევია, რადგან სადარბაზოში შემოსულმა სხვასთან გააბა საუბარი. მზიას აღარ მოუცდია, ლიფტის ღილაკს თითო დააჭირა, კარი გაიღო, შევიდა და ეჭვნარევი ფიქრებით ავიდა სახლში. შესვლისთანავე კარი გახსნა და წერილის კითხვა დაიწყო:

— სალმი დედას და მამას, — წერდა ბონდო, — როგორ ხართ, მე სულ თქვენსკენ ვიყურები იმედის თვალით. კარგად უნდა იყოთ, ჩემდა საიმედოდ. მივიღე, დედა, შენგან გამოგზავნილი წერილი, რამაც ძლიერ გამახარა. გულში სასიამოვნო ფიქრი გამიჩნდა და დარღი შავი კლდის ლოდივით მომეხსნა. არ ვიცი, რა მოხდა შენსა და მანუელას შორის. შესამჩნევი ძრავა რომ არის, აშკარაა. არ იფიქრო, თითქოს რაიმე საყვედურს გეუბნები. არა, ამით ახლა უფრო რთულ ვითარებაში აღმოვჩნდი. ჯერ თქვენი უარი, ახლა კი თანხმობა... ღმერთმანი, გამოსავლის ძებნა არც თუ აღვილ საქმედ მესახება, მაგრამ თავს მაინც ბედნიერად ვთვლი.

მზიამ მოელვარებით ბოლომდე ჩაათვა საყვედურის მაგვარი სიტყვები და ჩაფიქრდა. ზოგიერთი ფრაზა ბოლომდე ვერ გაიაზრა. ღელავდა. არ იცოდა რა ეწნა, კავშირგაბმულობის თანამშრომელთა გულისხმიერებითა და დახმარებით ნახევარ საათში შესძლო შვილთან დალაპარაკება.

— დედა, მაგ საკითხზე აქედან ვერაფერს გეტყვი. დამელოდეთ, ორ დღეში მე თვითონ ჩამოვალ. მანუელას რაკი მოუხიბლავხარ, მოკითხვა გადაეცი. მე კარგად ვარ, თავს მიხედეთ, ჯანმრთელობაზე, სიცოცხლეზე იფიქრეთ. ყველაფერი კეთილად ჩაივლის.

მზია მოელვარებას ვერ მალავდა და ახლად მოსულ თენგიზს დასვენების საშუალებას არ აძლევდა. ყველაფერი დაწვრილებით უამბო, გულის დარღი გადაუშალა და ამასობაში შვება იგრძნო.

იმ სალამოს სიონიდან დაბრუნებული მანუელა თავის ოთახში საწოლზე გულალმა მწოლიარე წიგნს კითხულობდა და დროდადრო თავისიდაუნებურად სახეზე ღიმმომდგარი კითხვას მიატოვებდა ხოლმე, რადგან ქრისტიანად მონათვლას პირად გამარჯვებად თვლიდა.

ამ ბედნიერებით ნერვებდამშვიდებულმა თავი ძილს მიაბარა.



მშვიდად ეძინა. მთვარის შუქზე გულისპირგახსნილს ბონდორი უკარის სიზმრა. უსაზღვროდ ლურჯ სივრცეში მიექანებოდნენ. ირგვლივ ყვავილები ყელყელაობდნენ და ჩიტები ჭიჭიკებდნენ. ულამაზესი მთებიდან ცივი, ანკარა წყაროები მოჩუხებდნენ: ბეღნიერი ხარ, ბეღნიერი, მას შეჰქაროდა ცა და ჭვეყანა.

სინათლე ჩაუქრობელი რომ დარჩა, დედას დააინტერესა, კარი შეაღო და გააღვიძა ნეტარ სიზმარში მოფარფატე მანუელა. რადგან ძილი გაუტყდა, მერე თვალზე რული აღარ მიჰყარებია. ცისკრის ვარსკვლავის ამოსვლამდე ფხიზლობდა.

კვირა გათენდა, მზე კარგახნის ამოსული იყო, როდესაც საუზმე მირთმეული ხალხი ეზოში შეიკრიბა. ზოგი დომინოს თამაშობდა, ზოგი ორმოში ხურდა ფულის ჩაგდებით ირთობდა თავის, ზოგიერთიც საკუთარ მანქანას უვლიდა. მხოლოდ ერთი ღმის მონატრებული სტუმრები ნინოს კვლავ ეწვივნენ და ყოველ მიმართვაში თავაღის ქალობით მოიხსენიებდნენ.

ქეთი იმდენს ელაპარაკებოდა ზაირას, რომ ქალიშვილი გადარია. ადრე თუ ამბობდა, ბონდო მე არ შემირთავს, იმას მანუელა უვყარსო, ახლა პირიქით, გული შურითა და ღვარძლით აღევსო, სხვებზე მომხიბლავად და წარმტაცად წარმოიდგინა თავი.

— ზაირას მანუელას ვერ შევადარებთ, — მოულოდნელად თქვა ქეთიმ, — მართალია მისებრ ჩამოქნილი არც ტანი აქვს და არც სახე. მე ეს ადრეც მითქვამს, მაგრამ ჯანმრთელია და გაფუშფუშებულ ლოგინში მწოლიარეს საბანს რომ გადახდი, სანდომიანი სხეული ვარდისფრად უელავს. მეტისმეტად ნაზი და მიმზიდველი კანი აქვს.

ქეთის ეს აზრი არაერთხელ გამოუთქვამს. ყოველთვის მიკიბულ-მოკიბულად ლაპარაკობდა. ვერ გაიგებდით, მტერი იყო თუ მოკეთე.

— ახლა რომ ბონდო საწოლში გეწვინოს, ხომ აღარ მოცილდებოდი? — ამბობდა იგი შემპარავად და ქალიშვილს ვნების ცეცხლს უკიდებდა.

— მართლაც, ქეთი დეიდა, რანაირი ხარ, — ეს თქვა და ღონივრად ჩაებლაუჭა რბილ ბალიშს.

- ნეტა ბონდოს რა აქვს საპატარძლოსათვის ნაყიდი?
- შენ რომ მოგიხდება, ყველაფერი აქვს ესეც და ისიც.
- გამაგიუებ, რა სხვანაირი ლაპარაკი იცი, დეიდა ქეთო?



— როგორ, მე სიმართლეს გეუბნები, შვილო, გარემოებული და მუსიკის  
არაფერი უდგას.

— დეიდა ქეთი, რამდენს ვჭორაობთ ბონდოზე, ვინ იცის, სლო-  
კინით გული ამოუგარდა.

ნინო გახარებული შემოვარდა ოთახში და ქალებს იდუმალი აზ-  
რი გაანდო:

— ადექი, ზაირა, ბონდო ჩამოვიდა. შენ იცი, ქეთი, უანეტა, წინ  
დახვდით, იქნება დაიყოლიოთ და ჩვენთან შემოიყვანოთ. კიდევ კარ-  
გი, ეს გზა გადათხრილია, ხედავთ, ჩვენ შემოსასვლელთან ჩამოვიდა.

ქეთიც და უანეტაც მაშინვე გავიდნენ, მხოლოდ დედა-შვილი დარ-  
ჩნენ შუშაბანდში და ფარდას ამოფარებულებმა დაუწყეს ცერა.  
უანეტა ბონდოს მიუახლოვდა, დედა-შვილურად მიუაღერსა, გულში  
ჩაიკრა. თავის მხრივ ქეთიმაც არ დააყოვნა, ვაუი დაკოცნა და საყ-  
ვედურებით აავსო.

— არ გრცხვენია, ბონდო, განა ასე შეიძლება ჩვენისთანა კეთი-  
ლი მეზობლების დაუფასებლობა? ჩემ კალთაში გაიზარდე და და-  
ვაჟკაცდი, სირცხვილი შენ, რომ დედასავით საყვარელი დეიდები და-  
ივიწყე. თბილისი დიდი ქალაქია, ნათესავებს მოცილებული ვართ და  
ჩვენ თუ არ ვუთანაგრძნეთ ერთი-მეორეს, მაშინ მტერი ადვილად  
მოგვერევა. მოდი ახლა ნინოსთან შევიდეთ, გინდაც ჩემთან ავიდეთ.  
გუშინ გაგიხსენეთ მე და უანეტამ, ერთმანეთს ჭიქა ღვინო შევაწიოთ  
და გზა-კვალი დაგულოცოთ, ასე არა სჯობს?

— გუშინ კი არა, ყოველდღე ამ ბიჭებე არ გვაქვს ლაპარაკი? მო-  
მეცი, შვილო, ეგ ჩემოდანი, სო დაკეტილია, მე თვითონ ავიტან და  
დედაშენსაც გაგიხარებ.

— არა, დეიდა უანეტა, მოდით ჭერ დედას ვნახავ და მერე მე-  
ზობლებს ჩამოუვლი.

— არ გრცხვენია, დედის ტოლი ორი ქალი გთხოვთ და არ გვი-  
ჭერებ?

ასე ჭახირით შეიყვანეს ბონდო სადარბაზოში, იქ ნინო დაუხვდათ,  
ამასბაში ზაირამ მოასწრო თავისი ოთახის დალაგება და საწერ მაგი-  
დას მიუჯდა, ვითომ ბონდოს მოსვლა ვერ გაიგო. ქეთიმ დრო იხილ-  
თა და ზაირასთან შევიდა, სხვადასხვა კაბა გადააცვა, მოსინჭა და რო-  
მელშიც უფრო მოხდენილად გამოიყურებოდა, იმ სამოსელში დატო-  
ვა, სახეც შეულამაზა და სტუმართან დაბრუნდა.

— დედა, წელან კარგად ვერ შევხედე, როგორ დამშვენებულა,

რა ვაჟკაცი დამდგარა, ნამდვილი რაინდია, — თქვა ქეთიმ დაუკორდება  
აკოცა.

ახლა ნინოს მიუტრიალდა, ვითომ არ იცის, ზაირა მოიკითხა,  
თუ შინ არის, ყავა მოადუღოს, ნამგზავრ კაცს ესიამოვნებაო. ნინომ  
კონიაქს საცობი მოხსნა და იქვე ოთახში მყოფ ზაირას გასძახა:

— გამოდი, შვილო, გეყოფა მეცადინეობა. ახლობელი სტუმარი  
გვყავს, მოდი, მიესალმე.

— არ გინდა, ნინო დეიდა, მე თვითონ ვეახლები, ის ქალიშვილია  
და ნუ შევაწუხებთ.

ბონდომ დაამტკიცა კარგი აღზრდილობა და მართლაც თავად  
ეახლა. მისვლისთანავე ზაირამ მარჯვენა გაუწიდა და კისერზე მარ-  
ცხენა ხელი მოხვია, მთრთოლვარე მკერდი მკერდზე მიაჭდო, ტუჩებ-  
ში უინიანად აკოცა. ვნებათაღელვამ თავით ფეხებამდე გაურბინა  
ბონდოს. ზაირას სახე ისე აენთო, ცეცხლმოკიდებული გეგონებო-  
დათ, ვიდრე ნერვებს დაიწყნარებდნენ ორივეს თავი სულ სხვა სამ-  
ყაროში ეგონა.

ბონდომ უმალ სძლია ვნებათაღელვას და საღ გონებას დაუბრუნ-  
და. ზაირას პირიქით, ვნებით ცეცხლმოკიდებული გულიდან რაღაც  
დამწვარი ალის მსგავსი რამ ამოსდიოდა, ქალიშვილურ თავდაჭერი-  
ლობას არავითარი აღგილი არ რჩებოდა. უფრო და უფრო გაღიზია-  
ნებული, თავს ვერ იკავებდა. კოცნა-ალერსისაკენ ისწრაფვოდა. ამა-  
სობაში ხალათის ღილები შესხნოდა და ოთრი ქათქათა მკერდი მა-  
მაკაცის აღვირასნილ გრძნობას დაუფარავად იწვევდა.

ბონდომ მიაყურადა. გვერდით ოთახიდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა.  
ალბათ სამზარეულოში არიანო, გაიფიქრა და ზაირას მთრთოლვარე  
მკერდის ჩაებლაუჭი.

ქალს ლამის გული წაუვიდა, ვაჟკაცის მქლავებს მიეყრდნო თვალ-  
დახუჭული, მთელი სხეული უთრთოდა, კვნესა აღმოხდა, ყელში,  
ულვაშებში კოცნიდა ბონდოს.

რატომდაც სიცილი წასკდა, ნეტარების, ბედნიერების სიცილი.  
ბონდო კი გონს მოეგო. დატუქსა საკუთარი პიროვნება, აუგად მიიჩ-  
ნია თავისი საქციელი, არც ზაირას ამართლებდა მაინცდამაინც. თუმ-  
ცა, რაღაც ღირსეულსა და ამაღლებულს ასეთ საქციელშიც ხედავდა.  
ვნებათა მოძალება ქალწულის თვისებაა, ფიქრობდა იგი. ერთხელ  
ხომ მაინც უნდა გადმოხეთქოს უნაპირო ზღვამ. ვნების ტალღები  
ძლიერია, სწორუბოვარი. ზოგჯერ ამ გრძნობას ფაშატი ცხენის გაჭი-

რითებად მიიჩნევდა. ამ დროს თვალებში ჩასცეროდა ზაირა ქადაგიშვილი ტერესებდა, ის რას ფიქრობდა. საოცარი ის იყო, რომ ქალიშვილი სირცხვილისა და მოკრძალების გრძნობას მოქლებული აღმოჩნდა.

ბონდოს ზაირასთან შესვლის წუთიდან, კარს ამოფარებული ქეთის განსაკუთრებით გაემახვილებინა ყურადღება და დროდადრო ნინოსთან და უანეტასთან ცოცხალი დეპეშები მიქონდა. თითოეულ ამ ცნობაში ბევრი ტყუილ-მართალი იყო, ქეთი კი გამალებით თავს იქებდა.

— ხომ ვარ კარგი მაჭანქალი, გოგოებო? თქვით, აღიარეთ. დაგვიანებულ საქმეს ხედავთ როგორ ვაკვარახვინებ? — არ ცხრებოდა უანეტა.

— შენ ისეთი ენა გაქვს, ჩემო კარგო, გველს ხვრელიდან გამოიყვნო, ეუბნებოდნენ. ბონდომ დრო იხელთა და სკამიდან წამოდგა, გამომშვიდობება დააპირა. ქეთი მაშინვე შევიდა და სადილზე დარჩენა სთხოვა. სუფრა სახელდახელოდ გააწყეს. კონიაკთან ერთად მშვენიერი ქართული ღვინოები, წარაფი და მანავის მწვანე მიართვეს. პირველ რიგში ბონდო აღლეგრძელეს, ყოველივე სიკეთე უსურვეს, სწავლაში, შრომაში, ჩანაფიქრის განხორციელებაში ღვთის წილი დაუდეს, ქორწილი, ნიშნობა, სიყვარულიც არ გამორჩენიათ მხედველობიდან. მე ისეთი ძლიერი სიყვარულით სავსე გული მაქვს, რომ სხვისი ურჩი გულის დამონებაც შემიძლიაო, შენიშნა ქეთიმ.

— ეს ალბათ, მეც მეხება, ქალბატონო ქეთი? — იკითხა შეწუხებულმა ბონდომ.

— როგორ გეკადრებათ, თქვენ განათლებული, ერუდიორებული ახალგაზრდა ბრძანდებით, შესანიშნავი ოჯახისშვილი ხართ. მე მგონი გამიგებთ, ეს ოჯახიც ვადლეგრძელოთ, სიყვარული და სიამტკბილობა ვუსურვოთ.

მანავის მწვანით ჭიქა გაალიცლიცა და დინჯად განაგრძო:

— თქვენ კარგად იცით, რომ ეს ოჯახი ეკუთვნის ნინოს და გერმანეს, ჩვენი სამეგობროს გულკეთილ, უმწიველო აღამიანებს, მათ სულში ბოროტების უმცირეს ნასახსაც ვერ აღმოაჩენთ, მათი გულებიდან სიკეთეს ვერავინ ამოგლეჭს. სიყვარული კი უძლეველია. ბელნიერების სათავეა. მე მტკიცედ მჩერა, რომ ეს ოჯახი მომავალშიც შეინარჩუნებს აღამიანურ ტრადიციებს. მხოლოდ ერთი რამ არის მეტად საყურადღებო და ხაზგასასმელი. ვიცი თქვენც ამას იტყვით, თქვენც ეს გაინტერესებთ. მომავალი თაობა, მათი ბედი და იღბალი.



ასეთად ჩვენი შვილები უნდა ვიგულოთ, ჩვენი ბეღნიერების სამართლებულების პრინციპების მიხედვით, ასეთ ტექნიკურ აქასს ეს ერთი გოგო ყავს ზაირას სახით, ერთია, მაგრამ ათი და ათასი შემოევლოს მას, ქეთი დეიდა ენაცვალოს მის სათნა ბუნებას.

ქალიშვილს ნიკაპს დაბლა ხელი მიუთათუნა, მოეფერა, ეს სიცოცხლეა ჩვენი, ამას არავის დავაჩაგვრინებთო, თქვა.

— მერე ვინ ჩაგრავს, ეს ისეთი გოგო არ არის, სხვას რომ თავი დააჩაგვრინოს, — ხაზეგასმით წარმოთქვა უანეტა.

ბონდო ყველაფერს მიხვდა და არც ეს პირდაპირ ნასროლი სიტყვა გამოპარვია.

— არა, მიზეზი ხომ უნდა იყოს დაწუნებისა, გვარი არ უვარგა თუ წრე. გოგო შესანიშნავია, თუმცა არიან ზოგ-ზოგები, რომ შავს თეთრისაგან ვერ ანსხვავებენ, — ჩაურთო ქეთიმ.

— არიან!

— არიან ისეთებიც, თვალიდან ვერ იხედებიან!

— მაღლობას მოგახსენებთ, ქალბატონო ქეთი. კარგად ბრძანდებოდეთ, წამოდგა ბონდო.

თავად რომ ვერაფერს გახდნენ, ნინოსა და უანეტას მოუხმეს. იმათაც არ დააყოვნეს, იმ წამსვე იქ გაჩნდნენ.

— დაბრძანდით, ბონდო, შენი ჭირიმე. მე ხომ ჯერ პური არ მიჰიმა. მაშ, იმის ღირსაღ არა მთვლი, რომ შენთან ერთად პური გავტეხო?

— მაპატიეთ, არ მოგვეცა საშუალება გულუხვად გაგმასპინძლებოდით. იქნებ არც იცი ხვალ ზაირას დაბადების დღეა. სტუმრები დაპატიჟებულები არიან, ზოგი რამ აუცილებელი სასყიდელიც გვაქვს.

— გთხოვთ, ჩემი გულისთვის ნუ მოცდებით, — კვლავ გაიბრძოლა ბონდომ.

— ჩვენ ახლა ვიწყებთ პურის ჭამას, სულ ერთია მშივრები ვერაფერს გავაქეთებთ. ქეთი, შენ მოგვემსახურე, ჩვენ ღვინო დავლიოთ, ბონდო ისე უნდა დაგათრო, წასვლის თავი არ გქონდეს. დედა და მამა თუ გენატრება, აქ მოგიყვანთ.

ეს იმას ნიშნავდა, რომ ბონდოს საკუთარი თავი აღარ ეკუთვნოდა. მე ამ თემის ავტორმა ვერ ავიტანე გადაჭარბებული სტუმართმოყვარეობა და ის ოჯახი დაუყოვნებლივ დაგტოვე. თუ რაიმე მნიშვნელოვანი მოხდა, ამის თაობაზე სხვა ღროს უფრო დაწვრილებით გიამბობთ.



მანუელს განვლილი ლამის სიზმრით გამოწვეული წინათარების დასჩემებია და სამსახურში ყოფნის საათები მშფოთვარედ გაუტარებია. რატომდაც სწამდა, რომ იმ დღეს ბონდო აუცილებლად ჩამოვიდოდა, ალბათ ეს უბედობის ამბავია, რომ მაინცდამაინც ჩემი მორიგეობა ბონდოს ჩამოსვლის დღეს დაემთხვა. დაბრუნდა თუ არა, პირდაპირ მზიასთან ავიდა, ავიდა და როგორ? ლიფტი გამორთული იყო, კიბეზე ლანდივით იქროლა, უხმაუროდ, გეგონებოდათ საფეხურებს ფეხს არ აკარებსო. დააკაჯუნა თუ არა, შვილის მომლოდინე მზიამ კარი მაშინვე გაუღო. მანუელამ სადედამთილოს აკოცა.

— დედა, ბონდო ხომ არ ჩამოსულა? — იკითხა სულმოუთქმელად.

— კი, შვილო, ჩემოდანი მეზობლის ბიჭმა შემოიტანა, ხოლო ბონდო თვალით არ მინახავს. თქვეს დავითულიანებთან არისო. ბავშვი გავგზავნე, მან ამბავი მომიტანა, ბონდომ თქვა, მალე მოვალო, მერე მაღაზიაში პური ვიყიდე და დღის ორ საათზე მე თავად მივედი მათთან. კარი ნინომ გამილო, შემიპატიქა, მაგრამ უარი ვუთხარი. ათიოდ წუთში სახლში იქნებაო, დამპირდნენ, მაგრამ აგერ ექვსი საათია და ჭერ არ მოსულა, არ ვიცი რა ხდება, ეს რა წესია, ჩემ შვილს მე აღარ მანახებენ.

მანუელამ ფანჯარას მიაპყრო ცრემლიანი თვალები და უნებლიერთ წარმოთქვა: ჩემი სიყვარული ღმერთისათვის მიმინდია და ვფიქრობ, ის არ გამწირავს. ისე კი, ათასნაირი ეჭვი მიტრიალებს გონებაში. შეიძლება ვცდები, ნეტა ასეც იყოს, გული სულ სხვანაირ აზრებს მკარნახობს. ქეთი და უანეტა ნინოს ხშირი სტუმრები არიან და ჭორიანის მეტს არაფერს აკეთებენ, რას იტყვით, ბონდო ზაირასათვის ხომ არ უნდათ?

— აბა, რა გითხრა, შვილო, მანუელა, იქ რომ ჭორბიუროს ბუდეა, ეს კარგად ვიცი. ზარია მშვენიერია, მთხოვნელის ძებნა არ დასჭირდებათ და ასეთი უცნაური რამე ნეტა რად უნდათ?

— ჩემ გაკვირვებას საზღვარი არა აქვს. დიდი ხანია წასულია. ჩამოვიდა და მთელი დღე მეზობლებთან გაატარა, ამავე შენობაში, ორ ნაბიჯზე, სხვის ოჯახში, საკუთარ კერაში მოსვლა გაუძნელდა, — თქვა მანუელამ.

ამ დროს ზარი გაწკრიალდა. მზიამ გახსნა კარი და ბონდო შემოვიდა ორი ბიჭი ახლდა თან, თუმცა ნასვამს ხელის შეშველება არ

ვირდებოდა. დამახასიათებელი თავდაჭერა და სიღარბაისლე ბქონიშვილი დე შეუნარჩუნებია.

მე, ავტორმა, ბონდო რომ დავტოვე, ეს ბიჭებიც მაშინ იმ ოჯახში იყვნენ — ზაირას სკოლის ამხანაგები. პირველ რიგში დედას გადაეხვია, მშობელი მამა მოიკითხა, არ გამორჩენია ნათესაობა, დედას საყვედლურის თქმა არ აცალა და დაგვიანებაზე ბოლიში მოუხადა.

— მაპატიე, დედა, დანაშაულს ვგრძნობ, თუმცა მეც მაქვს მიზეზი, რის თქმაც ახლა არ შემიძლია.

— ეს დეტალი მანუელას არ გამოპარვია, რომელიც სამზარეულოდან ადევნებდა თვალს. ბონდოს დანახვით გაცისკროვნებულს მისმა ნათქვამმა სიტყვებმა გულს მწარე ნაღველი ჩააწურა.

— დედა, საჩქაროდ სუფრა გააწყე, ეს ბიჭები ზაირას ყოფილი კლასელები არიან, პატივი ვცეთ, — ააჩქარა ბონდომ მზია.

— რატომ მანუელას არ ნახავ, იგი აქ არის, შვილო, შენს ახლოს. კარებში მანუელა გამოჩნდა, მთვარესავით ქათქათა სხივების მფრქვეველი.

— ოჰო, ჩემო ანგელოზო, — იყვირა ბონდომ და გულში ჩაიკრა, — ჩემო გიუმაურ, შენი სიცოცხლე ჩემი ბედნიერებაა.

მიგნურნი ცალკე შეიყარნენ ოთახში და სიყვარულით აღსავსე გულები კოცნით აღივსეს.

— გამეხარდა დედაჩემსა და შენ შორის მიღწეული ქეთილი ურთიერთობა, — მიახარა ბონდომ, — მიკვირს, რით მოხიბლე ჭიუტი ხასიათის, სიტყვის გაუტეხელი დედაკაცი.

ბონდომ კვლავ შემოაჭდო ხელები ყელზე. მანუელამ საყვარლად ჩაიხითხითა და თავი გულზე მორცხვად მიაყრდნო, პასუხიც დააყოლა:

— ალბათ იმით, რითაც შენ.

ბონდოს ეამა ჭიკვიანი ნათქვამი და მკერდზე მიწებებული ქალი-შვილი საწოლზე დააგორა, ალერსით საგსე კოცნით აღავსო. ამ დროს მზიას ხმა შემოესმა:

— შვილო ბონდო, სტუმრები გელოდებიან.

სწრაფად წამოდგნენ ფეხზე, მანუელამ თქვა:

— ხვალ გნახავ. ახლა კი წავალ, მამაჩემი არ განვარისხო.

— რა თქმა უნდა, ასე სჯობს, ხვალამდე.

ამის შემდეგ დასცილდნენ ერთმანეთს. თანატოლები კი მასწავლებლებს გადასწვდნენ, ისიც კი გაიხსენეს, თუ ვის, ვინ უყვარდა,



ვინ გააგრძელა სწავლა უმაღლესში, ვინ სად მოეწყო, ვის რჩებოდა უმარტინი, ეწია, სიყვარულმა ვის გაუმართლა და ასე შემდეგ. საუბარსა და სიცილში დრო მაღე გავიდა. ბიჭებს ექვსმა ჭიქა ღვინომ ხალისი შემატა. ბონდომ ისინი ლიფტამდე მიაკილა, ხოლო ლიფტილან გამოსულ მამას გადაეხვია, აკოცა და ხელგადახვეულები შევიღნენ შინ. ოჯახის წევრებს საშუალება მიეცათ შინაურ საქმეებზე ესაუბრათ. დედამ მამასთან საიდუმლო გათქვა, დილით ჩამოსული, შინ საღამოს შემოვიდაო. ბონდომ თავის მართლება სცადა.

— დედა, ამაზე ბოდიში ხო მოგიხდე?

— კი შვილო, ასეა, მაგრამ ბოდიშის მოხდა გაფუჭებულ საქმეს არ შეეღის.

— ჴო, არის ასეც, დამნაშავეს წესრიგის დარღვევაზე ეუბნებიან, ბოდიში მოიხადე და გაპატიებთო.

— ნაპატიები ხარ, შვილო, რომ იტყვიან, ყურებზე ხახვს კი არ გაჭრით. ჩვენი სიცოცხლე შენზეა დამყარებული. გვაინტერესებს შენი წინსვლა, დავაუკაცება. ჩვენ რა მამედასავით შვილები ჩიტის ბარტყებივით გვყავს რომ სახელების გახსენება გვიძნელდებოდეს? ერთ შვილზე ამოვვდის მზე, ეს მზეც შენა ხარ და ორივეს სულიც შენოვის იწვის. დრო გადის, დაკვირვება ჭირდება წუთისოფელს, მას თანაბრად მოაქვს სიხარულიცა და ტკივილიც. ადამიანის ვალია, როგორმე ტკივილი აიცდინოს, სიკეთისა და ბედნიერების ზღვაში გადასცუროს. ჩვენ რთულ ყოფაშიც წმინდანებად უნდა დავრჩეთ, შვილო.

ბონდო გულდასმით უსმენდა მშობლის შეგონებას, ხელი მოხვია და მამის გასაგონად თქვა:

— ეს დედაჩემის ფილოსოფიაა.

— სწორედ გაუბნება, შვილო, ახლა მე შენთან მინდოდა ღვინის დალევა და შენ კი რანაირ ფორმაში ხარ. საკვირველებაა. სხვა დროს თუ ყოფილხარ ჩვენს უცნაურ მეზობლებთან? — კითხა თენგიზმა.

— არა, არასდროს.

— ნეტა ახლა რა სიყვარული გაუათკეცდათ, ცუდ საქმეში არ ჩაგრიონ. მე ეგ ოჯახი არ მომწონს. ბოროტებაზე არ ვფიქრობ, რამდენიმე ჭორიყინა დედაკაცის თავშეყრის ადგილია და მიზეზიც ეს არის. შვილო, მითხარი, მანუელაზე რას ფიქრობ, ან ის საყვედურნარევი წერილი რატომ მოიწერე? თუ აღარ მოგწონს მანუელა, სიყვა-

რული გაგიფერმკრთალდა და ეს არის. შენ მოგწონდა, შვილები ჩვენის მხრივ თანხმობა განვაცხადეთ.

— თხუთმეტ-ოც დღეში დისერტაციას დავიცავ და როცა ჩამოვალ, მერე ვილაპარაკოთ. დედა, ახლა ლოგინი გამიშალე, ხვალ დილით მივფრინავ.

— რატომ გვიბრაზდები, შვილო, სამაგისოდ რას ვიმსახურებთ. მზიამ და თენგიზმა ერთმანეთს გადახედეს.

— არა, კი არ ვბრაზობ, მხოლოდ ერთი დღით ჩამოვედი.

— აქ ჩვენთან ჩამოხველ თუ სხვებთან?

— სხვებთან რა გინდათ, ის ხალხი რა შუაშია.

— კარგი, შვილო და შევრიგდეთ, დისერტაციას რომ დაიცავ, დალოცვა ხომ უნდა დამსწრებეს, მიმღებ კომისიას, ამხანაგებს?

— მარტო მე ხომ არ ვიცავ, იქ სხვებიც არიან.

— მითუმეტეს, სხვის პურ-მარილზე ხომ არ იქნები, ვიცი რომ საკუთარი ცოდნის იმედი გაქვს და საცა ამღენი ხარჯი გაგვიწევია, ბოლო დალოცვიც იქ იყოს. სხვა თუ არაფერი, ფული მაინც იქონიეთან.

ამის შემდეგ დაწვნენ დასაძინებლად. ქუჩაშიც შეწყდა ხალხის მოძრაობა და ლრანცელი. შენობები აქლდამებივით მოჩანდნენ.

ერთი სიტყვით, მეორე დღეს ზაირას დაბადების დღის სამზადისში იყვნენ და საქმის ნაცვლად მეტ დროს ჭორაობაში ატარებდნენ. იყო ერთი სიცილი და თავის ქება. მზე კი სწრაფად მოცურავდა მეცხრე ცისაკენ, ახლოვდებოდა დრო ცერემონიალის დაწყებისა. დაბატიუებული სტუმრები, მეტწილად ახალგაზრდობა, რა თქმა უნდა, სასტუმრო ოთახში შეყრილიყვნენ, ნაჩრას, ფანტს თამაშობდნენ. მსაჭულებად კომიკური ნიჭით დაჭილდოებული კაცი შეერჩიათ, მეაცრიც იყო. ზოგჯერ ისეთ სასჭელს იგონებდა, რომ თქმაც კი უბრალოდ სიცილს იწვევდა, მითუმეტეს მისი შესრულებაც. სიცილ-ხარხარიც ისეთი ჰქონდათ, კონკურსში გამარჯვებულ სიცილის ოსტატს შეშურდებოდა. მხოლოდ ზაირა იყო შესამჩნევად თავდაჭერილი. ისიც იმიტომ, რომ ბონდო იგვიანებდა და ვაი თუ არ მოვიდესო. ქეთი მალიმალ შეაღებდა სასტუმრო ოთახის კარს, ახალგაზრდების სიცილს თავის ნაძალადევ შეძახილებს დაწვევდა ხოლმე. ეს იმას ჰგავდა — ხალხურ ანდაზის — „კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო“.

ქეთის ულირსი, თვალთმაქცური ბუნება აშკარად გამოსჭვიოდა

მის ყოველ საქციელში, სიცილში, ნათქვამსა და წარმოიღინება მოსული რაობაშიც.

სამზარეულოში დაბრუნდა თუ არა, ორივემ ერთხმად კითხა:  
— არ მოსულა?

— არ მოსულა, ის ვაჟბატონი, ეტყობა არ იცნობს ჩემს ტარტა-როზებს. როცა გაიცნობს, მერე სხვაგვარად იცეკვებს.

— რომ არ მოვიდეს, რას იზამ?

— არ აქვს უფლება, — ამრეზილად თქვა უანეტამ, — თვითონ დედამისს ყურით გამოვათრევინებ, ჩვენ მხოლოდ სიყვარულთან გვაქვს საქმე და არა სიძულვილთან. ზაირას აბუჩად არავის ავაგდებინებ. თქვენ სუფრის გაშლა დაიწყეთ, მე ვეახლები იმ ვაჟბატონს. ბოლოსდაბოლოს, სიძე ბატონია, გაუხარდება და გულში იტყვის აი, რა გულშემატკივარ ნათესავებთან მქონია საქმეო.

ამას როდესაც ამბობდა, უანეტა იგრიხებოდა, იწმაწნებოდა, დასცინოდა ბონდოს. თუ მასზე სერიოზულ აზრს გამოთქვამდა, ამასაც ძნელად თუ ვინმე მიხვდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ამ საიდუმლოს ნინო ვერ ჩაწვდა. თავის მხრივ, ქეთი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საჭიროა მხოლოდ მოთმინება და სიდარბაისლე. ეს არის ერთად ერთი საფუძველი ჩვენი წარმატებისო. მოლოდინი კი, მოლოდინადვე რჩებოდა, რაც ზაირას არ გამოპარვია. ნაძალადევ სიყვარულს გულისკარი არ ეხსნებაო, ფიქრობდა იგი და ორ ცეცხლ შუა მდგარი, ისევ დუმილს ამჭობინებდა.

— ნინო, მე უნდა წავიდე, მოთმინების ფიალა ამევსო, — გადაწყვიტა უანეტამ, — მაგ მამაძალლმა როგორ უნდა გამაცუროს?

ადგილზე დაამუშავეს აზრები, რა უნდა ეთქვა უანეტას ბონდოს ოჯახში მისვლისას. ზაირამ ნინომ და უანეტამ ურჩიეს ასე ღვარძლით დატვირთული ნუ მიხვალ, ცოტა ტაქტიაო საჭირო. ის მე ვიცი, თვალებს ამოვთხრი, ეზოს ძალლების სათრევად გავხდიო, იმუქრებოდა უანეტა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, მიღების უმალ მზიამ გულთბილად ხელი მოხვია, ოჯახში მიიპატიუა, პასუხიც შესანიშნავი გასცა, წუხელ გვიან ამხანაგებმა დაურეკეს მოსკოვიდან, გვარი სახელი არ მახსოვს, რომელიდაც ამხანაგი მძიმედ დაჭრილი მიუყვანიათ საავადმყოფოში და იძულებული გახდა დილას ადრე წასულიყო. წავიდა ისე, რომ შვილს წესიერად ვერც კი დაველაპარაკე, დედაშვილობის მადლი ვერ მოვცხეო.



— ბონდოს წასვლას ტყვია მერჩივნა, — სახე დაემანქა უკავშირი  
ტას, — ამ გარემოებამ შეტად მძიმე დაღი დაასვა ჩემს გულცისადამ  
— რა არის, რა მოხდა, უანეტა?

— ზაირას დაბადების დღეა. სკოლის ამხანაგები მოვიდნენ მას-  
თან. მათ შორის ბონდოს ნაცნობებიც არიან, ამიტომ თამადად შენი  
ვაჟი გვინდოდა.

— უანეტა, ჭევიანი ქალი ხარ და, შე დალოცვილო, ტყვია მაგის  
გულისათვის ირჩიე? მთავარია პურ-მარილი იყოს და თამადობას ვი-  
საც შესთავაზებ, ყველა გასწევს. ასე, რომ ეგ დარდი გულიდან ამო-  
ილე და მაგის ადგილზე სხვა, უფრო კარგი რამ სიკეთე ჩათესე.

— მაპატიე, — ბოდიში მოუხადა უანეტამ და კარში გავიდა.  
ლიფტში შესულმა ალარ იცოდა რა ექნა. გამოუყენებელ აზრებს გზა-  
დაგზა სხვა აზრებიც ემატებოდა, ხოლო ზაირას გათხოვების იმედი  
კი თანდათან უძირო ზღვაში მიექანებოდა. მაჭანკლობაში ნაჯებარი,  
ამ მხრივ მწვერვალზე ასული ქეთი უკიდურესობაში ვარდებოდა, მი-  
სასვლელი გზები ჩაკეტილი ჰქონდა, ამის ერცხვინებოდა, სხვათაგან  
ავანსად აღებული ქება ფეხებში ებლანდებოდა. მივიდეს იქ, ზაირას-  
თან და რა პირით? ნინო და ქეთი ხომ იმედებით აღსავსენი ელოდე-  
ბოდნენ, თავის გასამართლებელი ვერაფერი იპოვა.

ლიფტიდან გამოსვლის დროს საღარბაზოში მანუელა შეხვდა, უა-  
ნეტამ გულთბილი სალმის მაგიერ შეუყეფა. იმხელა ღვარძლი გად-  
მოანთხია, რომ ზოგიერთს შხამიან საწამლავად ეყოფოდა. მანუელა  
უმალ მიხვდა, რომ უანეტამ თავის თავს ველარ გადააბიჯა.

— შე დაჭყეტილო კახბავ, შენ უნდა მაჯობო? — არაბუნებრივად  
ჩაილაპარაკა. მანუელამ შეხედა, თავისთვის ჩაილიმილა, თქმით კი  
არაფერი უთქვაშს.

შევიდა თუ არა, უანეტამ ზაირას მოახსენა ყოველივე, ერთიც  
დაუმატა, დედისთვის უთქვაშს, გულით მეწადა ზაირას დაბადების  
დღეზე დასწრებაო. ამით მან თავისი მაღალი ავტორიტეტი შეინარ-  
ჩუნა, უფრო მეტიც, სხვები დააჯერა, რომ ბონდო ზაირას შერთვაზე  
თანახმაა, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო საამისო დრო არ მიეცა.

ვინ იცის, იქნებ კულიან უანეტას მართლა იღბლიანად გამოეყენე-  
ბინა ზაირას დაბადების დღე და ბონდო ორშაბათისათვის ბორკილ-  
გაყრილი აღმოჩენილიყო. არადა, სუფრას მხიარულება არ იკლდა,  
შხოლოდ მასპინძლები იყვნენ უხალისოდ. დაიწყეს მოთქმა-გოდება  
და ახალ-ახალი ხრიკების ძებნა. ქეთიმ, ანუ ცოცხალმა გაზეთმა თქვა,



რომ რაც არ უნდა დაგვიჭდეს, ეს საქმე უნდა მოვაგვაროთ ან ნაირას ოთხი შამფურზე აგებული მწვადი შეუტანა სტუმრებს, მერე ნაირას მოეფერა:

— არაფერია, შვილო, გულს ნუ გაიტეხ, თურმე ნუ იტყვი და შენს მიმართ სიყვარული ბონდოს დედისთვისაც გაუმხელია.

— საინტერესოა, დედამისმა რა უპასუხა?

— შენ არ მოიწყინო, შვილო, მაგას ქეთი გეტყვის მერე, რაც მთავარია, ღმერთი ჩვენთანაა.

ქეთიმ ისიც თქვა, თავისით თუ არ ჩამოვიდა მოსკოვიდან, ბულ-ბულივით გალიაში დამწყვდეულს ჩამოვიყვანო. ქეთისა ხომ გჯერა, თქმაც იცის და შესრულებაც, სტუმრებს არაფერი არ აგრძნობინოო.

ნინო სამზარეულოში დაბრუნდა და თავისი ოჯახის კეთილის მსურველებს სიტყვა-სიტყვით აუწყა:

— დედა ენაცვალოს ჩემ ზაირას, დანა პირს არ უხსნის, მაგრამ სტუმრებთან თავი კარგად უჭირავს.

— დაწყნარდი, ნინო, თუ ბონდო უნამუსობის გზას დაადგა, ისიც შემიძლია ცხვირიდან ძმარი ვადინო.

ქალები სამზარეულოში გაწყობილ სუფრას მიუსხდნენ და ქინძ-მარაულით სავსე ჭიქებს ერთიმეორეს უჭახუნებდნენ.

დრო გადიოდა და ოქტომბრის თვეც თანდათანობით ილეოდა. კალენდარზე ფურცლებად ასხმული დღეები ბრილიანტის მარცვლებივით ზედიზედ მისდევდა სიკეთითა და სიავით დატვირთულ წუთი-სოფელს.

სამსახურიდან მოსულ მანუელას ხელში შოკოლადის ორი ყუთი ეჭირა. შესვლისთანავე მზიას აკოცა და შოკოლადი მიაწოდა:

— დღეს ხელფასი მივიღე და ეს შოკოლადი, დედა, ჩემგან სა-ჩუქრად ინებეთ. ამას კი ჩემ და-ძმებს მივუტან.

მაგიდაზე დადებული ნობათი მზიამ უმალ ხელში აიღო, რათა უკანვე დაებრუნებინა მისთვის, მაგრამ მანუელამ პირსმომდგარი უარი მოხდენილად აიცილა:

— არა, დედა, — თქვა მან, — ნუ გამიწყრებით. ვიცი უფრო უკეთესი შოკოლადი გაქვთ, მაგრამ მე მინდა ჩემგან მორთმეული საჩუქრებიც მიიღოთ. დღეს ძალიან კარგ გუნება-განწყობაზე ვარ, არ ვიცი, რით დამთავრდება, დღეს ეკლესიაში შევედი, სანთლები დავანთე, ჩვენს ოჯახებზე, მომავალზე ვიღოცე. ბონდოს ჯანმრთელობა შევთხოვე ზეციერს. მჭერა, ვუყვარვარ, მაგრამ ის კი არ ვიცი, ბედი



რას გვიქადის. ჩემნაირები და ჩემშე უკეთესები ქვეყნად ბეჭერია უცხოური შევიცვალებულის სანთლები დავანთე, რომ გული არ შეეცვალოს, ყველაფერი გზგვევა თე ბონდოს სამატლად, მისი სულის ასამაღლებლად. ეს არის, ტყავი და გენი ვერ შევიცვალე, თორემ, გული გავიფაქიზე, სარწმუნოება შევიცვალე.

მანუელა ცდილობდა უფრო ღრმად ჩაეხედა, ჩასწვდომოდა გულ-ში სადედამთილო, რათა ისიც მოეხიბლა ადამიანური სიკეთითა და მორჩილებით, ზნეობრივი სისპეტაკითა და ლმობიერებით. ტილო აიღო, დაასველა და ფანჯრის რაფებს დაუწყო წმენდა, რძალ-დედამთილის სიცილსა და კისკისს მოულოდნელად თენგიზმა მოუსწრო:

— ოქვენ უკვე შეხმატებილებულხართ, გვრიტებო, — ცოლს გულწრფელი სიტყვით მიეახლა, სარძლოს კი ხელზე ეამბორა!

ოჯახში მანუელა დატრიალდა.

— ოქვენ დაისვენეთ, დედა, ვნახოთ სარძლომ საოჯახო საქმეები თუ იცის.

სამამამთილოს ხელი დააბანინა და ტილო მიართვა. მზიას დახმარებით ერთი კაცისათვის ისეთი სუფრა გააწყო, რომ ჩიტის რძეც არ აკლდა. ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა, თენგიზს ძლიერ მოეწონა და შეაქო მისი ნახელავი:

— დიდებული ხელი გქონია, მანუელა, შვილო. დამეწვიეთ, ნათ-ქვამია, მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო.

— კეთილი, ჩემო ბატონო, მოვალთ, ჩვენც იმიტომ არ ვჭამეთ პური, გელოდებოდით. მოდი, შვილო, მანუელა, მასპინძლობა გავწიოთ!

— არა, დედა, დიდი ხანია აქა ვარ, ახლა უნდა წავიდე შინ, — მანუელამ ხელჩანთა აიღო და კარებისაკენ გაეშურა.

— ბონდო ხომ არ გაბრაზებს? ხომ გიგზავნის წერილებს? — კი-თხა თენგიზმა.

— ღვთისნიერად უჭირავს თავი, — თქვა და მორცხვად გაიღიმა. კარი რომ გაიხურა, თენგიზმა ჩაილაპარაკა:

— კარგი, გოგოა, კარგი!

— გოგო კი კარგია, მაგრამ მაგისი მამა, მამედა არ იზამს, — ეჭვნარევად ჩაურთო მზიამ, რჯულში აქვთ ჩვევად, ქალი ნათესავზე უნდა გაყიდონ და ფული აიღონ.

— შენი მშობლები რომ უარზე ყოფილიყვნენ, ჩვენი სიყვარული



ჩაიშლებოდა? არა ხომ. ნათქვამია, ქალმა თუ გაიწია, ცხრა უკულმართობა ხარ-კამეჩი ვერ დაკავებსო. თუ უყვარს, ეს მოხდება კიდეც.

ზარის ხმა გაისმა თუ არა, თენგიზმა კარები გახსნა და მის თვალ-წინ უეცრად ქეთი გაუჩინარდა.

კვლავ დატრიალდა ჩარხი, უკულმართი, კვლავ შეიკრიბნენ ჭორი-კანები:

— სალამო მშვიდობისა, ნინო, გენაცვალე. დღეს აუცილებელ საქმეზე ვიყავი სხვაგან წასული, მზის თვალზე ვერ შემოგიარე და აი ახლა მოვედი, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ. გულმა აღარ მომისვენა, რომ არ მენახე, იცი რა გავიგე? ერთი შესაძლებლობა კიდევ მოგვეცა და ესეც ჩვენ სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ. დილას მეტროში მამედას გვერდით მოვხვდი და მანუელა შევუძნ, კარგი გოგო გყავს-მეთქი, ქართველზე ხომ გაათხოვებ-თქო, ვკითხე. შორს დაიჭირა, არავითარ შემთხვევაშიო, მანუელასათვის საქმრო უკვე შერჩეულია და მაღლ დანიშნავენო. ყველაფერი გავიგე, ჩემი გარეშე ბიძაშვილიაო, ამაღამ მაღაზიაში მუშაობს მუშად, მაგრამ ფული ჩეჩქივით აქვს. ჩალიჩა ბიჭიაო. არ მოვერიდე, ისიც ვუთხარი, ბონდოს ყვარობს-მეთქი. არ ესიამოვნა, გაბრაზებული რუსთაველზე ჩავიდა. ახლა მე იმ ბიჭს ვნახავ და შევაგულიანებ, მანუელა ხელიდან არ გაუშვეს.

— აბა, შენ იცი, ქეთი, ეგ საქმე გაჩარხე და მაღარიჩი ჩემზე იყოს. თუ არა, ზაირა მეტანჯება, იმდენად გაუჭდა ბონდოსაღმი სიყვარული, ლამის სწავლაზე გული აიცრუა. მთელი ლამე დარღობს.

— სად, არის, სახლშია?

— არა, ამხანაგებთან ერთად კინოში წავიდა, ცოტა გულს გადა-აყოლებს, გაერთობა. სიყვარული კარგია, მაგრამ ზოგჯერ დამღუპველია, ვშიშობ არ გამიგიუდეს.

მამედა შინ სალამოს გვიან მივიდა. მხიარული სახით მაგიდასთან დაჭდა და დაიწყო:

— ქართველები მეცოლებიან, მეცოლებიან, იმიტომ რომ საქუთარ მიწა-წყალზე ცხოვრობენ და შვილი არ უნდათ, გამრავლება არ სურთ, აფსუს, ჩვენ რა დროს მოვედით დედამიწაზე, რომ ღმერთს ყველაფერი განაწილებული აქვს? რა იქნებოდა, ან ჩვენ მოგსულიყავით ცოტა ადრე, ან ღმერთს ჩვენთვისაც ცოტა რამ შეენახა? მაღლ მეცხრე სართულზე იმ ბინასაც მე დავიკავებ. შვილებით ბეღნიერი



ვარ, თავსაც ბედნიერად ვგრძნობ, ცხოვრებით იცხოვრე, ბატონი  
ვინ გიშლის. ქართველები კეთილი ხალხია, ხელს არა გრავენ, მაგრა  
გიერთგულებენ. დალოცვილი ერია, მაგრამ მე ხომ ვგრძნობ, რომ  
ქართველების მდგმური ვარ და ეს მიწა მე არ მეკუთვნის. არც მე  
ვეკუთვნი ამ მიწას, მაგრამ მინახავს, მის მაღლს ქართველი მინაწი-  
ლებს, ამას ვინც ვერ დაინახავს, წაწყმედილია, ის ამ მიწის ღირსი  
არ არის. ადრე ქართველებს მიღრეკილება ჰქონდათ მრავალშვილი-  
ანობისაკენ. სწორედ ამან გადაარჩინა ისინი ფიზიკური განაღგურე-  
ბისაგან, მაგრამ საბჭოთა შოვინიზმა საზარელი როლი ითამაშა ქარ-  
თულ სცენაზე. ეს სცენა რომ რუსების კლანჭებში დარჩენილიყო, ვინ  
იცის, რით დამთავრდებოდა. სიყვარული აქვთ ქართველებს თავისი  
მიწისა. თუნდაც ერთი გადარჩეს, არავის დაუთმობს, არავის გაათელ-  
ვინებს. მე ისლა დამრჩენია, ქართველებთან ერთად დავდგე ამ მიწის  
საღარაჭოზე და მტრად მოსულს გავცე საკაღრისი პასუხი. მანუელას  
დამიძახეთ.

ერთად შეიკრიბნენ დიდი და პატარა, მამის ტრაბახსაც სულგანა-  
ბული ისმენდნენ. თვით მანუელაც კი, თავდახრილი, მოკრძალებით  
დადგა მშობლის წინაშე.

— მოდი, შვილო, ახლოს დაჭექი, სკამზე, — თქვა მამედამ ღიმი-  
ლით, — დადგა დრო შენი გათხოვებისა. საკუთარი ოჯახი უნდა შექ-  
მნა.

— ვინ არის, მამა ის ბედნიერი, ასე რომ გაგახარა?

— კარგი მშრომელი ბიჭია, ფულის შოვნის შნოც აქვს და მარი-  
ფათიც, მშობლებიც კარგი ყავს.

— მე რომ ჯერ არ მინდა გათხოვება?

— ახლა შაბათს მოვლენ დასანიშნად. მერე წაყვანა შენი ნებაა,  
როცა შენ იტყვი, ქორწილის დღე მაშინ დავთქვათ.

— ბარემ მითხარი, მაინტერესებს, ჩემი საქმრო ვინ არის?

— შენ ვერ იცნობ, აბა როგორ გითხრა?

— მე თუ არ ვნახე, ისე არავის გავყვები.

— სწორია, უნდა იცოდეს ჩემმა დაიკომ, ვის მიჰყვება, — მანუ-  
ელას ძმა გამოესარჩლა.

— მაშინ გეტყვით, ჩვენი გარეშე ბიძაშვილია, თემქაზე ცხოვ-  
რობს.

— არა, იმას არ გავყვები:

— იცნობ?

- არ ვიცნობ, მაგრამ არ გავყვები.
- კარგი ბიჭია, შვილო, ჯერ ხომ არ გაგიცვნია. მდიღრებთ სამიზნები ბრილიანტებში ჩაგსვამენ.
- რაც არ უნდა კარგი იყოს, არ გავყვები!
- ბიჭის დაბადებისთანავე მამისათვის პირობა მიმიცია და გთხოვ, ნუ გამაწმილებ.
- არა, მამა, თავს დავიხრჩობ და არ გავყვები!
- რატომ, მიზეზი?
- მიზეზი ის არის, რომ ნათესავია.
- მანუელი სწორია, მამა, მის ადგილზე ანგელოზიც რომ იყოს, მეც ასე მოვიქცეოდი და ნათესავს არ გავყვებოდი.
- გაჩერდი, ბიჭი, ახლა შენი წაქეზებალა უნდა მაგას? რომ გავათხოვებთ, მერე შენც ხომ გინდა დაქორწინება, უკან სხვები მოგყვებიან კიდევ.
- მე ვიდრე ბინა არ მექნება, არ დავქორწინდები.
- ბინა არ არის მეცხრე სართულზე? ის უნდა დავითრიოთ. ბონდოს შეიძლება რუსის გოგო შეუყვარდეს და იქ დაიწყოს მუშაობა, მშობლები კი წარმავალნი არიან.
- მამა, ეგ შენი სიზმრებია, ან აცხადდებდა, ან — არა.
- შვილო, შენ მე დამიჯერე, ჩვენს მეტი ფეხის შემდგმელი იმ სახლში არავინაა.
- ყოველ შემთხვევაში, მე იქ არ ვიცხოვრებ. შეგიძლია ანტიკვარები ახლავე უკან ჩამოიტანო.
- თავს ნუ იმასხრებ, მე შენთვის ვამბობ!
- მანუელა, შვილო, დაუფიქრდი, ხელი მივეცი, დავპირდი და მეც უხერხულ მდგომარეობაში ნუ მაგლებ, შაბათს ნიშანს მოიტანენ და რა ვუთხრა?
- უთხარი, არ თხოვდება თქო.
- მერე, არ მეტყვის, უბედურო, შენ რა მშობელი ხარ, შვილი არ გემორჩილებაო?
- გითხარას, მერე რა მოხდება?
- ვაი, სირცხვილო, ხალხში როგორ გამოვჩნდე. თუ გიყვარს ვინ-მე სხვა, მითხარი, რომ მიზეზი მქონდეს.
- მე არ ვიცი, ვუყვარვარ ვისმეს თუ არა, ის კი ვიცი, არავინ არ მიყვარს. მიზანი კი ერთია, თუ გავთხოვდი, გავთხოვდები მხოლოდ ქართველზე.

მამედას მრისხანე თვალებმა ახლა კი მთელი ძალით გაჰყენას უკარისის სარკიდან არეკლილი მზის სხივებივით გამოანათა.

— როგორ თუ ქართველზე? ამაგი ტყუილად დაგდე, რო ფული ვერ ავიღო?

— ნუ იცით ცოცხალი ადამიანების ყიდვა-გაყიდვა. რა ვიცი, იქნებ, ქართველი გოგონა მყავს ბედად დაყოლილი, — ცეცხლზე ნავთი დასხა მანუელას ძმამ.

— სხვა არ ვიცი, ვთქვი და ჩემი სიტყვა უნდა შესრულდეს, — შემართული მუშტი მოულოდნელად მავიდაზე ისე მძლავრად დასცხო მამედამ, რომ შეშინებული ბავშვები სკამებიდან ყვავის ბარტყებივით გადმოცვივდნენ.

— რა იყო, მამა, რა მოგივიდა?

— როგორ რა მომივიდა, მოიცა, მოიცა. იმიტომ იყო, რომ ქართულად მოინათლე? განა არ ვიცი?

მიუახლოვდა თუ არა, სილა გააწნა ლოყაში. შეურაცხყოფილმა მანუელამ ბრძოლის ველი დატოვა, დარცხვენილმა და დაღონებულმა უმალ თავის ოთახს მიაშურა.

დუმილი ძმამ დაარღვია, მამას შეეკამათა:

— სირცხვილი არ არის? რატომ გაარტყი შვილს იმ ვიგინდარას გულისთვის?

— შენ არ იცნობ, რა გამრჯე მარჯვენის პატრონია. ოქროს ხელი აქვს. პიანინოს მარტო ეწევა, ისეთი ღონიერია.

— მე ვიცნობ, როგორც ქურდს, ჭიბგირს, არამზადას. ხომ არ გვინია, მაგასთან საერთო მქონდეს რამე. არა, მხოლოდ ერთხელ შემთხვევით შემხვდა, უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული. შემოღომის საღამო იყო, მე და ჩემი ამხანაგი ჩამოვდიოდით ელბაქიძის დაღმართზე, მაღაზიებს რომ გავცდით, იმ კუთხიდან ბიჭებს ერთი მათგანი გამოეყო. მოვიდა ჩვენთან და გვეკითხა:

— თბილისელები ხართ?

— ვართ-მეთქი, — ვუპასუხე.

— თუ შეიძლება „პლაში“ გვათხვეთ, უთხრა ჩემს ამხანაგს-და, საცა გვეტყვით, ხვალ იქ მოგიტანთო. ჩვენ რა შეგვეძლო, იქეთ კიდევ ოთხი იდგა. გაიხადა ამხანაგმა პლაში და მიაწოდა.

— მითხარით ადგილი, სად მოგიტანთ ხვალეო.

— მე მივუთითე, აგერ თქვენს შორის რომ კოსტუმიანი ბიჭი დგას, მაგას გამოატანეთ და მომიტანს-მეთქი და წამოვედით. მერე



დაგვეწია და იმავე ბიჭმა ბოლიშებით უკანვე გაღმოგვცა ელექტრონულ  
მხოლოდ ის ავაზაკი არ გამოჩენილა, დაიმალა. მე კი ფიცი, რომ უკი-  
დვილად ბაყას ბიჭი იყო, აღრეც ვიცოდი, მაგ საქმეზე ხშირად შემი-  
ნიშნავს.

— არ მჯერა, — მამედამ აზრი უცვლელად დაიტოვა, თუმცა შერ-  
ბილებულად კი ლაპარაკობდა.

თავის ოთახში შესულ მანუელას მამისაგან გაწნული სილა გულს  
უბურღავდა, გამწარებული ცრემლად იღვრებოდა. როდესაც დამ-  
შვიდდა, ჩემოდნიდან ბონდოს სურათი ამოილო, მაგიდასთან მიმჯდა-  
რი შესცემოდა და საყვედურობდა:

— რა ვიღონო, თავი როგორ მოვიკლა, სული ეშმაკს რატომ მივ-  
ცე, მტერი რად გავახარო? — ამბობდა სასოწარკვეთით, — თუმცა  
ყველაფერს შეველევი, მაგრამ არ მინდა ჩემგან ანთებულ შენ გულს  
ლაქად დააჩნდეს ჩემი სიკვდილი. არადა, ლოდინით გული დამეწურა,  
ჩემო მეგობარო.

დაწვა, მაგრამ მის თვალებს ძილი არ მიჰყარებია. მთელი ღამე  
ფიქრის ბურუსში იყო გახვეული. ხან თავის დასახრჩობ ადგილებს  
ეძებდა მტკვრის პირას, ხან გადასახტომად მომზადებული ისევ ბონ-  
დოს ლანდს გამოჰყავდა სატანჯველიდან.

ასე წამებით გაათენა ის ღამე მანუელამ.

ქეთის დაზვერვა დიდებულად მუშაობდა, არ გამორჩენია მანუ-  
ელას გამწარება. მეორე დღეს გულუხვი ცნობებით ხელდამშვენებუ-  
ლი ესტუმრა ნინოს.

— იცი, რა უნდა გახარო? მანუელასა და ბონდოს შუა შავი კატა  
გადარჩის. მე რომ იმ ქურთის ბიჭს ველაპარაკე, ახლა შაბათს ნიშანი  
მოაქვს, მამედას მგონი სილაც გაურტყამს, ქართველად რად მოინათ-  
ლეო.

ამ დროს ზაირამ გაზეთები შემოიტანა. ცალკე-ცალკე დააწყო და  
იქ წერილიც აღმოჩნდა. ქეთიმ შენიშნა და კითხა, ვისიაო.

გახარებულმა ზაირამ ხელი დასტაცა:

— ჩემია, ჩემი, ბონდო მიგზავნის, — თქვა და ოთახისაკენ გა-  
ქანდა.

ნინო და ქეთიც აედევნენ, მაგრამ კარები გადაჭეტა და ჩუმად წაი-  
კითხა:

„სალამი ზაირა, ვიცი ნაწყენი იქნები. გეფიცები გულით მინდოდა



დარჩენა, მაგრამ გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო უკავშირდებოდა წრაფოდ გაგძლუნდი. ბოდიშს გიხდი. გთხოვთ პატიებას, საოცარი დღე იყო, ვნებიანი, ხალისიანი, პურ-ლვინით დამშვენებული. შენც არაჩვეულებრივად გამოიყურებოდი, ცეცხლოვანი და მგზნებარე. მე მჯერა, რომ წინ ვერაფერი დაუდგება ამ გრძნობას. შენ ამომავალი მზე ხარ. ბედის ვარსკვლავი ჩვენ ორს ერთი გვინათებს. ღმერთი განაგებს ჩვენს ბედს და ზეციდან იმედის თვალით დაგვცერის. სიკეთის ანგელოზო, მე შენს მონასა და მორჩილს შენს გარდა სხვა სიკარულის გზა მოჭრილი მაქვს“.

— როგორ მაინტერესებს, ბონდო რასა სწერს ზაირას? — ჩაუჩურჩულა ნინოს ქეთიმ, თითქოს და ის წერილი სწორედ ბონდოს სახელზე მისი შედგენილი არ ყოფილიყო მოსკოვიდან სხვისი ხელით გამოგზავნილი. რაც მთავარია, წერილმა ზაირამდე, მიაღწია, ზაირას გულმა სიხარულის საზღვრები გაიფართოვა, უფლის მიმართ ლოცვა აღავლინა და კალამომარჯვებულმა სიყვარულს ლექსი მიუძღვნა:

წუთისოფლისაგან მითვლილ დღეებში  
ხან დარია და ხან ავდარია,  
ღმერთო, შეხედე მოწყალე თვალით  
სიყვარულისაგან ვინც დამწვარია.

ხმა დაირხა, მანუელა დაიკარგაო. შემოიარეს ნათესავები, მეზობები და ახლობლები, მაინც ვერ ნახეს. იმ დღეს სამსახურში ყოფილა, დაბრუნებით კი შინ არ დაბრუნებულა. გახშირდა მითქმა-მოთქმა, მანუელას და ბონდოს ერთმანეთი ყვარებიათ, მოსკოვში წავიდაო. ბონდოს დედისაგან გაიგეს მისამართი, იმ პირობით, თუ მას არ გაუმხელდნენ, მანუელა დაიკარგაო. ბიჭი დისერტაციას იცავს და, ბუნებრივია, ინერვიულებსო, ხელი შეეშლებაო. მანუელას ძმამ თავისი და მოიძია, მოსკოვშიც გაემგზავრა, მაგრამ ამაռდ, დაკარგულის უიმედო ძებნამ უფრო დაამწუხარება ოჯახი, ტიროდნენ მშობლები, დაძმები, საყვედურით აიკლეს მამედა. დაიწყეს მტკვარზე, ზღვაზე ძებნა, ერთი კვირის შემდეგ ტელედეპარტამენტმაც გადასცა მასალა ამაღაამ დღეს სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა... არის! მოხდენილი, ლამაზი სახის, აცვია ხავერდის კაბა, კარგად დააკვირდით ამ სურათს და თუ შეიცნობთ, ამაღაამ მისამართზე დარეკეთო.

რაც დრო გადიოდა, გლოვის ზარი უფრო მძლავრად რეკდა და



გამოჩენის იმედი იწურებოდა. მზიას თვალთაგან ცრემლები ნაკადად ჩამოდიოდა, მანუელის მშობლებს თუ ერთი ჰყავდათ სატირალი, მზიას კი — ორი. შინაურს თუ გარეულს, ახლობლებსა და მეზობლებს, ყველას, უცხოსაც კი, ვისაც მანუელის სილამაზისათვის თვალი ოდნავ მაინც მოუკრავს, უხამსი გულის პატრონის გარდა, თვალებზე ცრემლები არ მოსდგომოდა. თავისი ქცევით, გულის სითბოთი და ზრდილობით მანუელამ მზიას გულის ღადარში იმდენი სითბოდაატრიალა, რომ ალალი იყო ცრემლის დაფრქვევა. ისიც იცოდა, რომ ბონდოს, პირველი ხელმოცარული სიყვარული დაღივით დააჩნდებოდა, დიდხანს ივლიდა სევდიანი.

მხოლოდ ჭორიკნების შესაქრები ბუდე იყო ბედნიერი და ხალისიანი. მგლოვიარე დღეებში მათ გარშემო სიხარულის ალი იფრქვეოდა. ქეთის ენის მოქნილობამ ისე გააბოროტა ერთ დროს ლირსებით სავსე ზაირა, რომ მთლად მის გავლენაში მოექცა. სამზარეულოში ისხდნენ, ყავას მიირთმევდნენ. მათი მხიარულება ცაში ანგელოზებს მყუდროებს უფრთხობდა.

უანეტამ ჩაილაპარაკა:

— ნეტა ცოცხალი არ იყოს!

— საღმე, რომ გამოჩნდეს ხომ დავიღუპეთ, — გამოეპასუხა ქეთი, — ვინ იცის იქნებ დაიხრჩო.

— მე კი მეცოდება, — თქვა დანანებით ნინომ.

ზაირა სახეზე წამოჭარხლდა, გაცეცხლდა და განერვიულდა:

— დედი, შენ ჩემთვის კარგი არ გინდა, — ღვარძლიანად წაისისინა ზაირამ.

რომელ დედას არ უნდა შვილისთვის კარგი, მაგრამ ბოროტებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია.

ქეთიმ ნინოს შესთავაზა:

— წავიყვანოთ ზაირა მოსკოვში, ჩვენთვის შევიძენთ სასურველ ნიგოებს და ბონდო ბატონსაც ვესტუმრებით, იქნებ ჯვარიც იქავე დაწეროთ.

ამის გაგონებაზე ზაირამ ალარ იცოდა რა ექნა. მეზობელ ოთახში გავიდა და სიმღერა წამოიწყო.

სიყვარულო, რა ხარო,

ბოროტების და ხარო,

გთხოვ რომ ბედნიერების

სიტქბო გაღმომაყარო.



— ნინო, სადილად რა ვჭამოთ? თუ ინებებთ, ხორცი მე მაქვაწყვეტი, მაგრა ჩემი განკალი გავაკეთოთ, გულით მინდა და ხასიათს ნუ გამიფუჭებო, მაგრა თქვა ქეთიმ.

საქმე გაინაშილეს და შეუდგნენ ქეთის სურვილის შესრულებას, ამ დროს გარეთ რაღაც ხმაურმა იმატა, ქეთიმ ფანჯრიდან გადაიხედა და მეზობლის ბავშვს კითხა:

— რა მოხდა, ხომ არაფერი გაგიგიათ?

— საავადმყოფოდან დარეკეს. თურმე უპოვნიათ მტკვარში დამხრჩვალი, მოდით და ნახეთ, თქვენი ხომ არ არისო. ჰოდა, ახლა წავიდნენ. არ ჭობდა, ეგ უბედური დათანხმებოდა და იმ ქურთს გაყოლოდა, დღეს ცოცხალი იქნებოდა? ათი დღე გავიდა მისი დაკარგვიდან და ვინ იცის, როგორაა თევზებისაგან დაჯიჯვნილი.

ნინომ თევზე დაწყობილი ცხელი ხინკალი ფანჯრის რაფაზე დაღო გასაგრილებლად და მერე იმავე სადარბაზოში მცხოვრებ ქალს გადასძახა:

— მიცვალებული მოასვენეს?

— მადლი უფალს, ცოცხალი ყოფილა, გამოჩნდა.

— როგორ თუ ცოცხალი, გამოჩნდა? მანუელა? რას ამბობ!

— ჰო, გამოჩნდა.

— რაო, სად ყოფილა?

— მოსკოვში.

— ახლა აქ არის?

— არა, ბონდოს დაურეკავს დედისათვის, დისერტაცია დავიცავი და ხვალ დილით დაგვხვდით, მოვფრინავთ მე და მანუელაო.

— ქეთი, უანეტა, დავიღუბეთ!

— გამოჩნილა ის კახბა!

ზაირამ შეიტყო თუ არა ეს ამბავი, თავისი ოთახის, ქარი გამოქეტა და ირგვლივ ცრემლის გუბეები დააყენა.

— მიდი, ქეთი, მიხედე ზაირას, თავს არაფერი აუტეხოს, ეს გოგო მიუბედურდება, რა მეშველება, ჩვენი ბრალია, ჩვენი, ძალად შევაყვარეთ.

— გაჩერდი, ნინო, ქეთი ეშმაკია, რაღაცას კიდევ მოახერხებს.

ამასობაში დამტარებელმა აღრესატს ერთდროულად სოხუმიდან და მოსკოვიდან გამოგზავნილი წერილები მოუტანა. ერთში იტყობინებოდა, აქ ამხანაგთან ვარ არ შეგეშინდეთო, მეორეთი, მოსკოვში ბონდოსთან ვარ და თუ მიგვიღებთ, ჩამოვალთო. ახლა მწუხარებამ

დალხინებულ ოჯახში გადაინაცვლა, ხოლო მგლოვიარე სიხარულმა დაისაღეურა.

ღმერთი დიდია და მოწყალე, ავისმქმნელის პასუხის გამცემია.

ქეთი ოთახში შევიდა, ზაირა საწოლში სლუკუნებდა. მაგიდასთან მიმჯდარს საკუთარი თავი ხელებზე დაყრდნობილს გამოუტირია. ქეთიმ საბანი გადახადა, თმებზე ხელი გადაუსვა და სანუკეშოდ აკოცა.

— დაწყნარდი, გენაცვალე, რატომ ტირი, ჯერ ხომ იმედი მთლად არ ამოწურულა. შენი ქეთი დეიდა არავის აპატიებს დიშვილის შეურაცხოფას.

— არ მინდა, არა, მომეშვი, თავი უნდა მოვიყლა, მოვცილდე შენს ტყუილებსა და ჩემს ნერვიულობას.

მისი გაწიწმატება ნებივრობას უფრო ჰგავდა, ვიდრე გულის ამოახილს.

— გაუცივდეთ გულ-მუცელი მაგათ, როგორც ეს ხინკალი გაგვიციეს და გაგვიუგემურეს.

ამის თქმა და, ოთახში ნინო და უანეტა შემოვიდნენ, სკამზე დადეს ხინკლით სავსე თეფში და გემრიელად შეექცნენ. განსაკუთრებით ილუკებოდა უანეტა, რომელიც უკანასკნელ ხანს უმაღლობას უჩიოდა, მხოლოდ ზაირას გაბუტულ გულში ჩაეყო ხელი დეიდას და ჰაერს გამყოლი სიტყვებით ანუგეშებდა:

— ზაირა, ჩემსკენ გადმობრუნდი, გენაცვალე. მე იმ ბიჭს კიდევ ვნახავ. ვფიქრობ მანუელას ცოცხალი თავით არ დათმობს, ან რატომ უნდა დასთმოს. მართალია მახინჯია, მაგრამ მანუელა იმისთვის მაინც ზედმეტია, — კვლავ ანუგეშებდა ქეთი.

ზურგშექცევით მდგარმა გულამოსკვნილმა ზაირამ თავისთვის წაილუღლულა:

— მანუელაზე რატომ ამბობთ, მახინჯიაო, ამით თქვენ ამტკიცებთ, რომ ბონდოს მხედველობა არ უვარგა, ვერ არჩევს ავსა და კარგს. მანუელა მშვენიერი გოგოა, მე მჯობია, მერე რა მოხდა, რომ ის ქურთია და მე ქართველი, სიყვარული არ გვანსხვავებს. განა არ ვიცოდი, ის მე არ შემირთავდა, მაგრამ თქვენმა ბოროტმა ენამ გადამრია და თავის დახრჩობა გადამაწყვეტინა.

ქეთის უნდოდა ზაირას დასამშვიდებლად ამ დაძაბული საქმიდან გამოსავალი გზები დასახა, მაგრამ ზაირას საყვედურმა გული ორად გაუბო, ვეღარ გაბედა, ნინოს თვალით ანიშნა გავიდეთო. სამზარეულოში გამოსულები რაღაცაზე კარგა ხანს ჩურჩულებდნენ:

— მე დღეს იმ ქურთს ვნახავ, ცეცხლმოკიდებულ გულშემარის  
მოქნილი ენით საწვავს დავასხამ, ბენზინს, ნავთს კი არა, რომ ეს გო-  
გო არავითარ შემთხვევაში არ დათმოს. თუ არა და, ჭადოთი, შხამით,  
საწამლავით ვიმოქმედებ. ასეა საჭირო. მიზნის მისაღწევად ვყელა  
საშუალებას ვიხმარ. თუ გარემოება მოითხოვს, ადამიანი სასიკვდი-  
ლოდ უნდა გაწირო კაცმა.

— როგორ, სასიკვდილოდ? არა, ქეთი, მაგაზე ვერ დაგეთანხმები,  
თუნდაც სხვა ვიღაც ვიგინდარა, ქუჩის მაწანწალაც რომ იყოს.

ზაირას ოთახიდან დაბრუნებული უანეტა სხვა პრობლემით იყო  
დაკავებული.

— ზაირამ ხინკალი ჭამა?

— არა, ტირის, ვერ გავაჩერე. მე ამ გოგოს ერთმა სიტყვამ ძალი-  
ან ჩამაფიქრა.

— ქეთი, შენ და ზაირა მოსკოვში რომ იყავით, მაშინ ზაირასა და  
ბონდოს შორის ხომ არაფერი მომხდარა?

— რა უნდა მომხდარიყო?

— ესე იგი, უყურადღებოდ არ დაგიტოვებია?

— არა-მეტე, უანეტა, რატომ მექითხები მაგას?

— რატომ და ასე ამბობს ზაირა, თქვენ შემაცდინეთ, თქვენ, შენ  
და ქეთიმ, ბონდოც თქვენ გადარიეთო. თუ არა, მე იმას არ ვუყვარ-  
დი და არც მე მიყვარდაო. განა იმიტომ, რომ ჩემი მოსაწონი არ  
იყო, არა, მე შეიძლება გულში მედო ფეთქადი ნივთიერება, ქიმი-  
ურად დაკრისტალებულივით, მისდამი მხოლოდ სიყვარულის ნამცე-  
ცი, მაგრამ ვერდენობდი, რომ ის მე არ შემირთავდა და ჩემი ნების-  
ყოფა ამ გრძნობას თავისუფლად იმორჩილებდა. თქვენ კი გაუთავე-  
ბელი ჩიჩინით ჩემს გულს მგზნებარების ცეცხლი მოუკიდეთ და შე-  
დეგიც სათანადო გამოიღო, რამაც გარდუვალი სიკვდილის გზაზე  
დამაყენაო.

ამბის მოსმენის შემდეგ ნინომ ისეთი თვალებით გადახედა ქეთის,  
რომ მის დღეში სახეზე ასეთი მრისხანება არ უნახავს. დაიწვა ქეთი  
გაუმხელელ ცეცხლში და დაბნეულმა ენის ბორძიყით დაიწყო:

— ჩვენი იქ ყოფნის დროს, ჩასვლისას კი არა, მეორე დღეს, და-  
ახლოებით ორ საათზე მივედით უნივერსიტეტში და ლექციების დამ-  
თვრების შემდეგ შევედით ბიბლიოთეკაში. ბონდოსთან დიდხანს  
ვისაუბრეთ. შეხვედრა, რა თქმა უნდა, მხიარული, გულთბილი იყო.  
მიგვიპატიჟა, მერე ვთხოვეთ გაგვყოლოდა მაღაზიებში. ბონდომ მოი-



ბოდიშა, კათედრის გამგის დავალებით მოსკოვის გარეუბანში მომზადებული წავიდეო აუცილებლად. ზაირას ვუთხარი, ხელს ნუ შევუშლით, ჩვენ-ჩვენი საქმეები მოვითავოთ-მეთქი. ზაირა არ წამოსულა. ჩვენ აქ დაგელოდებითო, მითხრა და მე მარტო წავედი.

— მერე, რომ დაბრუნდი, საცა დატოვე იქ დავხვდნენ?

— კი, ქალბატონო თავადის ქალო ნინო.

— იმავე მაგიდასთან დაგვხვდნენ, რომელთანაც დატოვე?

— არ ვიცი, მე იმ დარბაზში პირველად ვიყავი და აქედან გამომდინარე, გარემოს ისე როგორ აღვიქვამდი, რომ დაბეჭიოებით მახსოვდეს განშორების აღილი, სად, რომელ მაგიდაზე დატოვე ზაირა და ბონდო.

— ის მაინც არ გახსოვს, რა ხნით დატოვე მარტო ისინი?

— ოთხი საათი. ამ დროში რა უნდა მომხდარიყო მათ შორის ისეთი, რომ აღნიშვნად ლირდეს?

ნინო ახლა უფრო სერიოზულად აღმფოთდა.

— როგორ? გამოდის შენ განგებ მოუწყე ყოველივე? ქეთი არ გრცხვენია? მე ვიფიქრე, კარგი მეთვალყურეა-მეთქი, შენ ქათამივით გამყიდე. ხომ გითხარი, ბიჭს ხელში არ ჩაუგდო-მეთქი?

— ნინო, რატომ მელაპარაკები ასე?

— ნინო სწორს ამბობს ქეთი. მეც აქ ვიყავი, როდესაც გთხოვა, გოგო მარტო არ მიატოვო. შენ კი, გამოდის, მგელს ბატკანი ხელში ჩაუგდე.

ქეთის არ მოეწონა მეგობრის გამოხდომა და იქით შეუტია.

— ნეტა შენ ვინ გკითხავს. თქვენ არ ამბობდით, კარგი ბიჭია, დიდებული ოჯახის შვილია? ახლა რომ დაგჭირდათ, მგლადაც გამოიყვანეთ. ალბათ ისიც დაგავიწყდათ, რომ მეხვეწებოდით: შენი ჭირიმე, ქეთი, მოხერხებული ენა გაქვს და გაურიგეთ. მე ჭერ იმედი მთლიანად არ გადამიწურავს. დამაცადეთ, თუ რაიმე მოხდა მათ შორის, პირიქით, ხელს გვაძლევს ჩვენ და არა სხვას, იგი საფუძველია ბონდოსა და მანუელსა განშორებაში. მერწმუნეთ, უთუოდ ყოველივე ზაირასა და ბონდოს სასარგებლოდ დამთავრდება.

მეგობრები ისე ხმამაღლა მსჯელობდნენ, რომ საწოლში მწოლა-რე ზაირას ერთი სიტყვა არ გამორჩენია, თუმცა იმ საუბრის დროს ბევრი ამაღლვებელი ფრაზა ითქვა, ზოგი დამამშვიდებელი, მაგრამ ერთ სწორ გზაზე მდგარი საუბრის შინაარსი ზაირას ცეცხლმოყიდებულ გულს ვერაფრით შველოდა, პირიქით, ცეცხლს უკიდებდა, ალი-



ზიანებდა და იმედის ნაპერწყალს უქრობდა. მხოლოდ მისი გონიერი იტოვებდა ავისა და კარგის განსჯის უფლებას. ნინოს მღვრიულობის რეზისი ავისმომასწავებელ ტალღებს დაემსგავსა. ურთიერთშორის განაწყენებით გამოწვეული დუმილი ქეთიმ დაარღვია და თავგამოდებით დაიწყო დაშვებული შეცდომების თანმიმდევრობით გამოსწორება.

— ქალბატონო ნინო, წამოწყებული საქმე ჩვენ სასარგებლოდ არ დამთავრდა, საწამლავს ხომ ვეღარ გაექცევა.

— ქეთი, ასეთ ბოროტებამდი მიხვედი? არ გრცხვენია? მაგას როგორ ამბობ დედისერთა განათლებულ, ღირსეულ ვაჟკაცზე? როგორ უნდა გაიმეტო დედამისი? ის ხომ ჩემსავით ერთ შვილს შევქარის, მასზე ამოდის მზე და მთვარე, მის დაბნელებას ვერ მოგიწონებ, რადგან მეზობლის გლოვა ჩვენი გლოვაცაა.

ქეთის სულიერმა ზნედაცემულობამ ზაირა მთლად აღაშფოთა, მაგრამ დედამისის ნათქვამი რომ მოისმინა, იმან გული დაუცხრო და თავშეკავებულად გამოვიდა პერანგის ამარა.

— ქეთი დეიდა, ეგ რა თქვი, საზარელი საქმის ჩამდენს, მე ადამიანად როგორ მივიჩნევ? ამას ქვია სულით დაცემა და სხვა არაფერი. თქვენ რომ ის მოწამლოთ, მეშველება მე რამე? მგონი, არაფერი. პირიქით, შინაურ-გარეულს აგვატირებს, გულს დაგვწყვეტს, ხოლო თუ გამუღავნდა, ციხე არ აგცდება და არც ჩვენ გვეტყვიან მადლობას, ხალხში თავს ვერ გამოვყოფთ. და თუ ვერ გაიგეს, მით უარესი, ზნეობრივად დაგვასამარებს.

ამ ხნის განმავლობაში უანეტას თავი აღარ გამოუყვია კუს მსგავსი ჯავშნიდან, მხოლოდ ქეთის გამოთქმულ ფრაზებს სიტყვა-სიტყვით კრებდა, ახარისხებდა, გველივით თვალებს ხან ერთს მიაპყრობდა, ხან მეორეს. და აი ახლა, როდესაც ყველა გაჩუმდა, მსჯელობა ძალზე უადგილოდ და უსუსურად წამოიწყო, რისთვისაც კვლავ რისხვა დაიმსახურა, არა მარტო ქეთისგან, ზაირასა და ნინოსაგანაც.

— ქეთი, იჩქარე, ეს ამბავი დროზე უნდა გაირკვეს, თუ ცდა უიღბლო გამოდგა, მაშინ ბავშვი ცოდვაა. მუცელი მაინც მოვაშლევინოთ, ხოლო თუ მუცელი დაემჩნა, მეზობლები გაიგებენ და ხალხში თავი მოგვეჭრება, მერე უაზრობა იქნება ყოველივე.

— უანეტა, დაუკვირდი და იაზროვნე, რასაც აქ ვამბობთ, ყველას კი არ უნდა გააგებინო. არ ვიცით ეს გარემოება მართალია თუ არა. ჩვენ ჩვენი აზრი დაფარულად გამოვთქვით და შენ კი გაგვამხილე,

ამით ბავშვს გული დასწყვიტე. ჭრილობას მარილი წააყარე, რას ნიშნავს ყოველივე? გინდა ისე მოვიქცეთ, რომ შენთან არაფერმა გვთქვათ ვერ გრძნობ, ნინოსაც შეურაცხყოფა მიაყენე, აბა შენი შვილი იყოს ამ მდგომარეობაში, გესიამოვნებოდა, შეეგუებოდი?

— მართლა, დაუფიქრებელი ლაპარაკი იცი, ჩემო უანეტა, — დაუმოწმა ნინომ, — ჩვენ ოთხმა ვიცით საიდუმლო და ჩვენ შორის რომ უთანხმოება არ ჩამოვარდეს, ეს ამბავი გარეთ არ უნდა გავიდეს.

ზაირამ ცალკე გამოთქვა მოსაზრება:

— ქეთი დეიდა, არავის ჭიუის სწავლება და გულის დამშვიდება არ მჭირდება. მე ვიცი, ამ უაზრო თამაშში ყველაფერი წაგებულია და ამას ახლა აღარაფერი ეშველება. ეს გარემოება მარტო ჩემი შეცდომა არაა, მერწმუნეთ, თქვენი დაუღალავი შრომის ნაყოფია. სიყვარული გულში მზესავით უნდა ენთოს და თაკარა სხივებით წვავდეს ადამიანებს. თუ ორივეს გული უმწიკვლოა და უცოდველი, მაშინ იგი თავიდანვე ღირსეულია და სამომავლოდაც მყარად არის დაკაგშირებული ადამიანურ ფესვებთან, მისი ამოძირვა ადვილად არ ხერხდება. და დიახ, ასეა, სიცოცხლე თუ ურთიერთ გულწრფელ სიყვარულში გაატარა ცოლ-ქმარმა, მაშინ ხანდაზმულობის ასაკში სიკვდილიც ვერ შეაშინებს მათ. სიყვარულს მაღვა არ უყვარს, პირიკით, გულახდილობა ალამაზებს. დედაშვილობა მასზეა დამყარებული და ბავშვის ცნობიერებაც აქედან იწყება. ხალხში ასეთი გამოთქმა არსებობს, დაფარული და დამალული ეშმაკისააო. ხალხი ჭკვიანია, მის სიბრძნეს წინ ვერავინ აღუდგება. ერთად ერთი, რაც ჩემს სულიერ შეშფოთებას იწვევს, ჩემივე დაუდევრობაა, სიყვარულისადმი ზერელე, გულცივი დამოკიდებულებაა. არა და არა, არ მეპატიება. მე იგი ხელოვნურად შევქმენი, უგულოდ და უსიყვარულოდ ვნებათალელვაზე, ხვევნა-კოცნასა და მტლაშა-მტლუშზე ავაგე. დავივიწყე ქართული ტრადიციები, უარვყავი ადამიანური ღირსებები, ბოროტგანზრახვათა ქსელში გავაძი უცოდველი და პატიოსანი ვაჟკაცი. დიახ, პატიოსანი. მე მას დავგარგვინე წონასწორობა, სწორ გზას ავადინე. ჭეშმარიტებას ამოფარებული მეფისტოფელივით ვმოქმედებდი და აი შედეგიც, ბოროტებას ბოროტებითვე ვიმკა.

ზაირა ერთხანს ჭერს მიშტერებოდა ზურგშექცევით, მთელი სხეულით შემობრუნდა და მგზნებარებით განაგრძო:

— მე რა თქმა უნდა, პატიებას არ გთხოვთ, თუმცა ჩემს მიერ სახიფათო ნაბიჯის გადაღვგმაში გარკვეული წილი თქვენც მიგიძლვით.



არც დედაქემს ვამართლებ, მაგრამ ეს ბოროტება მეტწილად ჰქონდა დამსახურებაა. თქვენ შეაგულიანეთ დედაქემი, ყველაფერი ძღვის, რათა მანუელა თავიდან მოგეშორებინათ. მე კი ვიცი, რომ ის კარგი გოგოა, ღირსებითა და კეთილშობილებით სავსე, მაგრამ გადამრიცეთ და მის მეტოქედ მაქციეთ. გეყოთ, ქალბატონებო, გეყოთ, აურაცხელ ბოროტებას გულში ნუ გაიჩერებთ, გაქეთილშობილდით, გალამაზ-დით, გამშვენიერდით, მიხვდნენ თქვენს არაადამიანობას და მეზობლებიც შემოგწყონენ, ჩემი გულშრფელი თხოვნაა, დაიბრუნეთ ძველებური კეთილშობილება და ზნეობა. გააგრძელეთ გულითადი მეზობლობა და ამ თემაზე აღარ ილაპარაკოთ. მე ჩემ ცოდვებს, ცხადია, მოვერევი. ვინც არ უნდა ჩაერიოს, გზიდან ვერ ამაცდენს. მუცელს მაინც არ მოვიშლი, ბავშვს გავაჩენ და გავზრდი, ან არა და, სიცოცხლეს თვითმკვლელობით დავამთავრებ.

როდესაც ბონდო და მანუელა ბაღში სეირნობდნენ, ბილიკის გვერდით ბუჩქებში ქურდები ნაპარავ ოქროს სამკაულებს იყოფდნენ. მართალია ახალგაზრდებს იქით არ გაუხედავთ, მაგრამ თვით ქურდების ხელმძღვანელს მანუელას მშვენიერება მხედველობიდან არ გამორჩენია, დაინახა თუ არა, ღრმად ამოისუნოქა და ზედ გულ-ამოსკვნილმა დააყოლა, ივჭ, რა გოგოაო. ამ სიტყვებთან ერთად ულ-ვაშებზე ხელი გადაისვა.

— მოგეწონა, უფროსო? — სულელურად იყითხა ერთ-ერთმა ქურდმა.

- ეგ არ არის შენი საქმე.
- არა, კი არა, მე შემიძლია გიშუამდგომლო.
- გამომართვი ოქროს ნივთი, მიდი, უთხარი, რომ აქეთ, ხელმე-ორედ გამოიარონ.
- ეს სამკაული ხუთი გრამიც არ იქნება და ამის გულისთვის არ მივალ.
- რა, შეგეშინდა?
- არა, არ შემშინებია.
- მაში, რატომ არ მიდიხსარ?
- ერთი სამკაულის გულისთვის არ წავალ.
- მე ხომ არ გეუბნები ბალიშზე თავი დაადებინე და დამიძახე-მეთქი. მე მინდა ჩემსკენ გამოისეირნონ, რომ უფრო კარგად შევათვა-ლიერო. წახვალ თუ არა?



— მივდივარ და შენ მხედველობა გაამახვილე.

ბონდოს და მანუელას სწრაფად წამოეწია და შეაჩერა შეაჩერა.

— მეგობრებო, — მოკრძალებით მიმართა მათ, — იქით საშიში ზონაა, უკან დაბრუნდით, აი აქეთ გაიარეთ.

მოციქულმა დავალება პირნათლად შეასრულა და ისევ იმ გზით გამოატარა.

— იგჲ, ატამანმა კიდევ ამოიღო მუცლიდან ქარი. დაბრუნებული მოციქული შეეკითხა:

— უფროსო, ოქროს კიდევ ხომ არ დათმობ?

— ოქროს კი არა, ესპანეთის იმპერატორი რომ ვიყო, ტახტსაც დაგითმობდი, ოლონდ მაგ გოგოთი გულის უინი მომაჯვლევინე.

— მომეცი ეგ შენი წილი ოქრო, ბიჭს დავახარბებ და შეიძლება ქალი ლოგინშიც ჩაგივორო.

— წაილე, მე დღეს თუ არა, ხვალ კიდევ ვიშოვი, ოლონდ შენ მაგ გოგოსთან საქმე გამიჩარჩე, მერე მე ვიცი, ხელცარიელი არ დაბრუნდე თუ გინდა, რომ პური ჭამო.

ათი წუთის შემდეგ ქურდი თვალების სრესით დაბრუნდა და პატ-რონს ოქრო დაუბრუნა.

— არა, მაგაოთთან არაფერი გამოვა, უფროსო.

— ეგ, რა არის, როგორ დაულურჩებიხარ, მე მაგათი...

— მოიცა, გითხრა. ოქრო შევაძლიე, წაიღეთ-მეთქი. ერთი პირობით, ამ გოგოს ჩემ უფროსს მიუყვან-მეთქი და ამ დროს ერთი ისეთი სილა გამაჭნა, რომ თვალებიდან სულ ციცინათელები გადმომცვიდა, მერე ცა ჩამობნელდა და ოქრო სულ დამეფანტა.

— ოხ, მაგისი, უნდა წავიდე.

ფეხზე წამომდგარი უფროსი ქურდმა ისევ შეაჩერა:

— დამაცადე, აღარ იტყვი ვინ გამარტყა? გოგომ გამარტყა...

— ბიჭმა არაფერი გითხრა?

— მითხრა, მე არ შეგეხები. ეგ ერთი იქმარეო. მერე ოქრო აკრიფეს და უკან გამომგზავნეს.

— სრულად, ერთიც არ დაუკლიათ. ხომ შეეძლოთ, რომ სულ წაერთმიათ?

— არა, მაგას არ იზამდნენ.

— რატომ, რა გაუჭირდებოდათ?

— ალალმართალნი არამ ლუკმას ვერ შეირგებენ. არა უშედებელი კარგი წყვილები ყოფილან და ღმერთმა ხელი მოუმართოთ. მე ეს შეურაცხოფა ჩემდა თავად მიპატიებია.

ზამთარი მიიწურა. აპრილის პირმომცინარე მზე დედამიწას ზამთარისაგან მიყენებულ ჭრილობებს უშუშებდა. მზემ გააღვიძა დედამიწა, სული შთაბერა ბალ-ვენახებს, ტყეებს და მინდვრებს.

ადიდებული მდინარეები გულალრენილები \* მოექანებოდნენ და მთის ამბებს ბარს უამბობდნენ.

ადამიანების სულშიც მზემ და ხალისმა დაისადგურა.

ბედნიერნი იყვნენ ბონდო და მანუელა. ახალგაზრდული მგზნებარებით, სიყვარულითა და ოცნებებით სავსენი ცხოვრობდნენ.

კინოს ბილეთები აღებული ჰქონდათ და გადაწყვიტეს ფილმის დაწყებამდე დარჩენილი ერთი საათი ბალში გაეტარებინათ. სამსახურებიდან დაბრუნებულნი ისეთ მხიარულ განწყობაზე იყვნენ, რომ დედამიწაზე თუ სადმე სიავე და ბოროტება სუფევდა, არ ეგონათ.

მე, როგორც ავტორმა, თავი შევიყავე და კინოში მათ აღარ შევყოლივარ. თუმცა უბილეთოს ფილმზე დასასწრებად ვინ შემიშვებდა, რომც შემძლებოდა, არც შევიდოდი, რადგან სიყვარული ბედნიერ წყვილთა თანაზიარი გრძნობაა და გულის სიღრმეში ჩახედვის უფლება არ მქონდა. ეს ხომ სხვის საქმეებში ჩარევას ნიშნავდა.

შინ ბონდოს დედას წმინდა სანთლები იენთო და ერთად-ერთ შვილსა და რძალს ღმერთს ავედრებდა, თხოვდა მათ ჯანმრთელობას, გამრავლებას და გახარებას. მალიმალ გამოაღებდა ფანჯარას და გზას გასცემეროდა. მოლოდინით განვლილმა დრომ საათანახევარიან ფილმს საჭერ გადააჭარბა, თუმცა შეეძლო დაეძინა კიდეც. მაგიდა გაწყობილი ჰქონდა. ჩვეულებრივ ოჯახის ტრადიციას არ უღალატა, შვილის მოსვლას დაელოდა.

ერთ დღეს სამსახურიდან ადრე დაბრუნებულმა მანუელმ დაულაგებელი სახლი წესრიგში რომ მოიყვანა, სავარძელში ჩაჯდა და ისვენებდა. მსუბუქი ფიქრით ფრთებშესხმული აღმა-დაღმა ნიავივით დაჰქროდა. თავად მხიარული იყო, მარტოობას მიუჩვეველი, ბონდოსი და დედამთილის მოლოდინში ზარის წერიალს მიყურადებული. მისი ოცნება შორს სწვდებოდა. თვალწინ ედგა ხვალინდელი დღე. შვილის ყოლა, აკვნის მოსართავები და ბავშვის ჩასაცმელები. ზარი აწერიალდა თუ არა, მანუელა უმალ წამოხტა, კარები გააღო და თა-



ვისი ღვიძლი ქმა შერჩა ხელში, რომელიც დედმამიშვილებული ყანე-ჩერისა იყვნენ. უფროსები ქართულ ზე-ჩერეულებას, აღათ-წესებს ათავისუნებდნენ. იმხანად მანუელს დაბადების დღე ახლოვდებოდა, დას ქმამ საჩუქრად უძვირფასესი მძივი მოართვა. ყელზე გაიქათა და ღვთის განგებით, ნაქარგ გულ-მკერდს უჩვეულო ელფერი შემატა. პვლავ აწკრიალდა ზარი, კარი მანუელამ გააღო, ბონდო შემოვიდა, უხასიათობა ემჩნეოდა, მაგრამ ცოლისძმა რომ დაინახა, აღარ შეიმჩნია, ხელი ჩამოართვა და ოქვა, მოშიებული ვარ და ერთად ვივახში მოთო. მანუელამ სუფრა გააწყო. კარგი იქნება თუ დედას მოვუცილთო, მართლაც ლოდინი დიდხანს აღარ დასჭირვებიათ. ქალბატონი მზიაც მობრძანდა და მაგიდას შემოუსხდნენ. ისაუბრეს, იხუმრეს, იცინეს, იმხიარულეს, შამპანურს შეეხალისნენ. სტუმარი რომ გააცილეს, მანუელამ ბონდოს შეახსენა:

— კარი რომ გაგიღე, რაღაც უხასიათობა შეგნიშნე, სამსახურში ხომ არავინ გაწყენინა?

— არა, არა, ცუდ ხასიათზე არ შემოვსულვარ. დაღლილი ვიყავი და უხასიათობის მიზეზიც ეს იყო.

შევიდნენ საძინებელ ოთახში და ბონდომ საიდუმლო იქ გახსნა:

— იმ ბიჭს უჩივლია და ორივე სასამართლოში დაგვიბარეს.

— რომელ ბიჭს, არ ვიცი?

— სანაპიროზე რო დაგვხდა.

— გადარჩენილა?

— ალბათ. თუ არა, ვინ გვიჩივლებდა?

— არა მგონია, ბონდო, იმ სიბნელეში მისი მშველელი ვინ გამოჩნდებოდა?

— შენ ფიქრობ, მკვდარია? ეგ უფრო უარესი.

— მე ვფიქრობ, იქნებ სხვა მიზეზია.

— რა სხვა მიზეზი, დააშავე რამე შენ?

— მე რა უნდა დამეშავებინა.

— სხვა რაიმე არც მე დამიშვებია, ესე იგი, მართლები ვართ და ტყუილად გვიბარებენ? დაუშვებელია.

— ბონდო, რა ვქნათ?

— რა უნდა ვქნათ, რომ მივალთ იქ გაირკვევა ყველაფერი.

— ის იხერი, რა ჭირად გამოგვივარდა. არადა, ის დღე სულ მხიარულებაში გავატარეთ. არ ჩაგვამწარა?

— ახლა დავიძინოთ და ხვალ გაირკვევა.

— როგორ უნდა დავიძინო, ლამისაა გული გასკდეს, ბონდო, ხე-  
ტა არ გეთქვა.

— ახლა რომ არ მეთქვა და სასამართლოზე ისე მივსულიყავით,  
უფრო ცუდი არ იქნებოდა? ხვალამდე გული ნელ-ნელა შეეგუება,  
აზრებსაც წინასწარ დავაწყობთ, სასამართლო უწყება რა დროსაც  
გადმომცეს, იმ დროს მივედი, მაგრამ მერე მამაქემის ამხანაგი ვნახე,  
ველაპარაკე მას ტელეფონით, ავუჩხენი ყველაფერი, როგორც  
მოხდა.

მითხრა, გაიგე ვის ხელშია საქმე და ვინ არის მომჩივანიო, მაგ-  
რამ დრო არ არის ამდენი.

— ბონდო, ჩავრიოთ ვინმე, იქნებ შევრიგდეთ?

მეორე დღეს, აღნიშნულ დროს მომჩივანმა და ბრალმდებელმა  
დაიკავეს მითითებული ადგილები და დაიწყო სასამართლო, მოსამარ-  
თლებ ამოიკითხა გვარები და ბრალმდებლებს გააცნო განჩინება.  
განჩინებაში ნათქვამი იყო, რომ „თხუთმეტი მაისის საღამოს ცხრა  
საათზე, მომჩივანი მოქალაქე ხიზირა მურაზის ძე ფაროევი ვიმყო-  
ფებოდი რესტორან „არაგვისა“ და ძველი ავტოსადგურის შუა მტკვრის  
მარჯვენა სანაპიროზე. ჩემთან მოვიდა ორი ბიჭი და ერთი ვოგო-  
ფული მომთხოვეს, მე არ მივეცი. დავუმალე, ვუთხარი, არა მაქვს-  
მეთქი. წამაქციეს, მცემეს, ორასი მანეთი ფული წაიღეს, კოსტუმიც  
გამხადეს და მერე მტკვარში გადამაგდეს, ეგონათ დავიხტობოდი,  
ბედად ცურვა ვიცი, მტკვრის მღვრიე ტალღებს გავყევი და ჯებირის  
ნაპირას კიბეზე ამოვედი. ამ ორის გვარი დავადგინე, მესამესი ჯერ-  
ჯერობით ვერ მოვახერხე. ერთია ბონდო თენგიზის ძე სარალიძე, მე-  
ორე, მანუელა მამედის ასული მამედოვა“. განცხადებას ხელს აწერს  
მომჩივანი.

— საქმეს გაეცანით. თქვენს მიმართ წამოყენებულია ბრალდება,  
ეთანხმებით თუ არა მას?

— არა, პატივცემულო მოსამართლევ, ეს ყოველივე სიცრუეა.

— თუ არ ეთანხმებით, მაშ, ბრძანეთ მხოლოდ სიმართლე, ბონ-  
დო ბატონო!

— მოგახსენებთ, ფილმი დამთავრდა თუ არა, მე და ჩემი მეუღ-  
ლე ბალში შევედით და კიბით ჩავედით სანაპიროზე. ხიდის გავლით  
ფეხით გასეირნება გვეწადა და შინ მარჯანიშვილის მეტროდან წავ-  
სულიყავით, კიბეზე რომ ჩავედით, მტკვარს გადავხედეთ. მივედით



ჯებირთან და ვათვალიერებდით გარემოს. ამ დროს ჩვენთან შეუძლია სრულიად უცხო პიროვნება, მკლავში ხელი ჩავლო მანუელას, ხოლო მე მომმართა, შენ თავისუფალი ხარო. ეს ჩემი ცოლია და მე უნდა წავიყვანოთ!

უეცრად შემზარავი აზრი დამეუფლა. მცირე ხნით თავი შევიკავე, მერე გონს მოვეგე და ვკითხე მოძალადეს, ამისენი, საიდან, როგორ და რანაირად არის ეს ქალი შენი ცოლი? მან მითხრა, რომ მამაჩემს სუფრა გაუწყვია და მანუელას მამაც იქ ყოფილა. ერთმანეთისათვის პირობა მიუციათ, მე ახალშობილი გოგო მყავს, შენ ვაჟი. როდესაც გაიზრდებიან, დაწუნება არ იყოს, ბედს დავმორჩილდეთ და დავმოყვრდეთო. მამაჩემს უარი არ უთქვამს, ხელი-ხელს მისცეს. იმის შემდეგ მათ შორის მისვლა-მოსვლა და ნათესაობა ჰქონიათ.

— ბატონო მოსამართლევ, მე ამ სისულელეს აბა როგორ დავთანხმდებოდი, სიყვარულით ვიქორწინეთ, ხელი მოწერილი გვაქს, ქალი, ცხადია, მას არ მიჰყებოდა. მან იძალა, პირდაპირ ხელჩართული ბრძოლა გაუმართა ჩემს კანონიერ მეუღლეს. კი, მე თანახმა ვარ, თუ ჩემი მეუღლე ტრადიციას არ დაარღვევს, კეთილი, აგერ აქ არის და წაიყვანოს, მაგრამ რომ არ მიჰყება? კანონიერ ცოლს ძალით ხომ არ გავატან, ეს ჩემი ლირსების შელახვაა, ორი სილა მანუელამ გააწნა, მაგრამ მაინც არ მოეშვა. იძულებული გავხდი, ღირსეულად დავხვედროდი. მუშტი ვუთავაზე ნიკაპში, იგი ტორტმანით გადაეკიდა მტკვრის მოაგირზე და მდინარეში გადავარდა. ჩეენ შეგვეშინდა და მიდამოს განვერიდეთ.

მოსამართლე განრისხდა, ბონდოს დამცინავი ტონით მიმართა:

— უჰ, რა ლალად ლაპარაკობთ. ერთი გავარტყი და გადავარდა მტკვარში. დაიხტიობოდა თუ არა, ან ამას რა მოჰყებოდა, აღარ გიფიქრიათ, თქვენ თუ იცით, ბატონო ბონდო და ქალბატონო მანუელა, ხიზირა რომ დამხტვალიყო, ათ წელიწადს ვერ გაღურჩებოდით. თქვენი ბედი, რომ მოხერხებული საქციელით თავი გადაირჩინა.

ბონდო მშვიდად წამოდგა, თმაზე ხელი გადაისვა და ასევე მშვიდი ტონით განაგრძო:

— პატივცემულო მოსამართლევ, მე და ჩემი მეუღლე დამნაშავედ არ ვვრდნობთ თავს. დამნაშავე აგერ, იქ ზის. როგორც მოგეხსენებათ, დანაშაული რამდენიმე სახისაა. ჩვენ აქ კონკრეტულად ორი სახის დანაშაულთან გვაქს საქმე. ხიზირას მოთხოვნა უკანონოა. სხვის კანონიერ ცოლთან ძალადობა კი ყოვლად გაუმართლებელი.

ლმერთმა დაგიფაროთ, წარმოიდგინეთ, ჩემს ადგილზე თქვენის ხაზე როვნება. რა ხასიათზე დადგებოდით, რა გადაწყვეტილებას მიიღებდით? ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თქვენც ჩემსავით მოიქცეოდით — მტკვარს გაატანდით მოძალადეს, არ დაინდობდით მას. მე კი რას მემართლებით? მე ვირჩევთ ხიზირა ფსიქიატრს გაასინჯოთ, მას ყველაფერი წესრიგში როდი აქვს. გონების თვალით არ ძალუძს განსჭერიტოს შედეგი, ვერ ახერხებს გულის დამორჩილებას, მაშასადამე, შეურაცხადია, ახირებულია და რაც არ უნდა ჩაიდინოს, პასუხს არ ავებს. ასეთი ადამიანი ცალკე უნდა იყოს იზოლირებული. უფლება არ აქვს ხალხში ამ მაღლიან მიწაზე იაროს. ახლა რაც შეეხება მეორეს, ეს დანაშაული იძულებითია და უშუალოდ მე მეხება. ეგ რომ არ მოსულიყო და ჩვენთვის შეურაცხყოფა არ მოეყენებინა, ამ დანაშაულს ხომ არ ჩავიდენდი? ამიტომ გთხოვთ, როგორც მოსამართლემ და ადამიანმა, სამართალს თვალი გაუსწოროთ. გააანალიზოთ, წარმოიდგინოთ თქვენი თავი ჩემს ადგილზე და ისე განსაჭოთ, თუ არა და, თქვენი უსამართლო საქციელით მაგას და მაგისთანებს ფრთხები შეესხმებათ და უბედურებასაც ჩაიდენენ, ზეგ უარესს გააკეთებენ, მაგათ მაგირ თუ ჭიკვანები საკანში მოათავსეთ, მაშინ გამოდის, წუთისოფელი გიჟებით აივეხბა.

— თქვენს გამოსვლას დიდი დამაჯირებლობა ჩააქსოვეთ, ჭეშმარიტად სწორი ლოგიკური მსჯელობა გცოდნიათ,—მიმართა ბონდოს მოსამართლემ.

— სიმართლეს ვერ დავემალებით. სიმართლეზე თვალის მოხუჭვით მზეც ბნელდება, ბატონო მოსამართლევ.

— რა პროფესიის ბრძანდებით?

— ინჟინერ-ექონომისტი, მეცნიერებათა კანდიდატი.

— ქალბატონო მანუელა, თქვენ თუ დაამატებთ რაიმეს?

— ძირითადად როგორც იყო, მეუღლემ მოგახსენათ. მე მხოლოდ ერთს დავამატებ, ეს ვაჟბატონი მტკვარში რომ გადავარდა, ჩვენ ვიყვირეთ, ხალხნო უშევლეთ, კაცი იხრჩობა-თქო.

— მაგას ვინ დაგიჯერებთ, თუ ხიზირას სიცოცხლის გადარჩენაზე იფიქრეთ, ბონდოს შეეძლო მოხმარებოდა, ცურვა თუ არ იცის, წყალმაშველთათვის მაინც დაგერევათ, მაგრამ თქვენ იფიქრეთ, ვერ გაიგებენო და შინ დალხინებული წაბრძანდით.

— არა, ბატონო მოსამართლევ, ბონდომ ცურვა არ იცის და

ეგეც ამოსაყვანი გახდებოდა. წყალმაშველთა სადგურის ტელეჭანონისა  
ნომერი ჩვენ საიდან უნდა გვცოდნოდა?

— მაინტერესებს, მამაშენი თუ არის კმაყოფილი შენი საქცი-  
ელით? — ახლა ხიზირას კითხა მოსამართლემ.

— რატომ არ უნდა იყოს კმაყოფილი, ვიზე რა ნაკლებია?

— ბატონო მოსამართლევ, აქაც სიცრუეს აქვს აღგილი. მამამისი  
მამედა, ჩვენი ხშირი სტუმარია და მამაჩემს მალიმალ ეტყვის-  
ხოლმე, გულით მინდოდა შენი დამოყვრებაო, — ამაყად განმარტა  
ხიზირამ.

— ბატონო ხიზირ, განცხადებაში დამოყვრება სულ არ გაქვს  
ნახსენები, გამოდის, თქვენ ფულისათვის ბანდიტურად დაგესხნენ  
თავს.

სასამართლო წავიდა განაჩენის გამოსატანად.

ბონდოს თბილისი დაატოვებინეს და ერთი წლით დასავლეთ სა-  
ქართველოში, კერძოდ, ფოთის ერთ-ერთ მეურნეობაში ჩაის საკრე-  
ფად გაგზავნეს, შრომა-გასწორების კოლონიას მიაჭაჭვეს.

იმავე საღამოს კოლონიის საცხოვრებელი სახლის მოაჭირზე დაყ-  
რდნობილი შავი ფიქრით შემოსილი ზღვის გულში იცქირებოდა. არასდროს მოსწოლია იმდენი დარღი, რამდენიც ახლა მის სულში  
იყო ჩაბუდებული, მაგრამ, საუბედუროდ ზღვის ტალღებივით ბორ-  
გავდნენ და გულს ამაოდ ეხეთქებოდნენ. იმ დროს წამოეჭია ეს უბე-  
დურება, როცა მის მშობლებს ერთად ერთი შვილის იმედი ჰქონდათ.  
ცოლი კი ფეხმძიმე იყო. ბედნიერების აფრა დაეშვა, გაწყდა ოცნება  
სიყვარულისა. მიდიოდა დღეები უფერულად, უღიმდამოდ. ამას  
ზღვის ნესტიანი ჰაერიც დაერთო, ვერ აიტანა, გატეხა მისი ჯანმრთე-  
ლობა.

ქ თბილისში კი, საბრალო მანუელას ხიზირა არ ასვენებდა, სამ-  
სახურიდან დაბრუნებისას გზაზე დაუხვდებოდა და დიდი ჩეუბით,  
დავიდარაბით ჩამოიცილებდა.

ბონდოს სანახავად ხშირად მიდიოდნენ, თუმცა გათოშილ გულს  
ვერა და ვერ ალხობდნენ. ჯერ ორი თვეც არ იყო გასული სასჭელი-  
დან, მაგრამ რაც დღე გადიოდა, მისი ჯანმრთელობა ზღვაში დაღუ-  
პულ გემივით იძირებოდა. ერთხელ მანუელი და მზია იმ დროს ჩა-  
ვიდნენ, რომ შაბათი დღე იყო და მოელი დღე წვიმდა. დღის ორი  
საათი იყო, სიცხიანი ბონდო ლოგინში მწოლიარე დაუხვდათ. ახვე-  
ლებდა, შუბლზე მომდგარ თფლს მალიმალ იმშრალებდა. მიხვდა



ბონდო, მისი ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა. დედა და მამა სელა და მანუელას იქ არყოფნის დროს საყვედური დასცდა უნებლიერ.

— მახსოვს, დედი, შენი ნათქვამი სიტყვები: ქურთის გოგოა და ღვთისმშობლის ნაშობსა გავს, ხასიათიც კარგი აქვს, მაგრამ გული სხვა რამეს მიგრძნობსო. თუმცა მანუელა რა შუაშია, ეს რაც მოხდა, ღვთის ნებით იყო.

— იყუჩე, შვილო, არაუშავს რა, გამოკეთდები, ღმერთი არ გაგვწირავს. ბედი მოგვიტრიალდება და წუთისოფლის ბორბალი ჩვენთვის იბრუნებს.

— დედი, მაინტერესებს მეზობლები როგორ არიან?

— კარგად, შვილო.

— ზაირა, ხომ არ გათხოვდა?

— ეჭ, შვილო, გაუბედურდა ის საცოდავი, საკითხავი აღარაა. შეყვარებულს შეუცდენია, თხოვნაზე კი არ ფიქრობს. ის ბიჭი ვიღაც თავაშვებული და რქიანია, თორემ მაგისთანა გოგოს აბა სად იშოვის? მე მაგისი არც სწავლა და არც სილამაზე მაინტერესებს, ხასიათი აქვს ძალიან კარგი. მაგის ხელში ქმარი და დედამთილ-მამამთილიც ბედნიერნი იქნებოდნენ, მაგრამ თავი წააგო და მე მწყდება გული, როგორც კარგ გოგოსა და მეზობელზე.

— რატომ, დედი, ულამაზოა ზაირა? ადრე, მაგალითად, სარძლოდ დაიწუნებდი?

— არა, შვილო, მე არ ვამბობ ულამაზოა-მეთქი, მე მასში მთავარი გამოვყავი, რაც არის, ის ვთქვი. გოგო სულით მახინჯი თუ არ არის, ყველა ლამაზია. ქალის ორგანიზმი ნაზია და მიმზიდველი. ვაჟისათვის ადამიანობაა და ვაჟკაცობაა მთავარი და არა სილამაზე. ნათქვამია, ერთი ხიდან ბარიც და ნიჩაბიც გამოდისო. ერთი დედის შვილებს შორის ხშირად გოგო უფრო ლამაზია, ვიდრე ბიჭი. საერთოდ ასეა, ბიჭი უნდა გამოირჩეოდეს რაინდობით, გოგო კი სილამაზით.

— მეზობლები ჩემზე რას ამბობენ?

— ხალხი ჭრელია, შვილო, მაგრამ წუთისოფელს მაინც სწორად სჯის. შენზე ამბობენ, უსამართლოდ ზისო.

ბონდოს ხველა აუტყდა, დიდხანს აღარ შეუჩერდა. აცრემლებულ დედასა და ცოლს ძალისძალად დაატოვებინეს ავადმყოფი და მოწამლული გულით დაბრუნდნენ თბილისში.



მანუელამ თბილისში ჩამოსვლის უმაღვე სასურველი მანუელამ შეაგროვა, წამლები იშოვნა და ფოთში დაბრუნდა. ცოლ-ქმარს უფლება დართეს დაქირავებულ ბინაში ეცხოვრათ.

დრო გადიოდა. ქვეყნად ბევრი რამ შეიცვალა და გადახალისდა. ჭორიკანების ბუდე კი უცვლელი დარჩა. კვლავ ერთმანეთისადმი მოკრძალება უზომო სიყვარული — ასეთი იყო მათი საარსებო კანონი, მრავალგზის განმტკიცებული და შედუღაბებული.

დღე არ გავიდოდა, ერთმანეთი არ ენახათ. მოსაყითხი არ მოეკითხათ, ჭირი და ლხინი არ გაეზიარებინათ. საათობით ისხდნენ და მეზობლებზე, ახლო ნათესავებზე ბაასობდნენ, ქირქილებდნენ, სხვათა მტყუან და მართალ საქციელს არჩევდნენ.

ნინოს ბინის კარებს ქეთისათვის არც ზარი სჭირდებოდა და არც საკეტი, მისთვის სულ ღია იყო. აი, ახლაც შეაღო კარი და პირველი სიტყვა ეს იყო: მაპატიეთ, გუშინ რომ, ვერ შემოვედი თქვენთან, ქალბატონო ნინო, ჩემო მზეო, სტუმარი მეწვია და მის მომსახურებას შევალიე დრო, რომელიც შენ პატივსაცემად მქონდა გამოყოფილი. მზია შემხვდა, ბაზარში მივდივარ და ეკლესიაშიც შევივლი, სანთლები მინდა დავანთოო, მე ვკითხე, ბონდო როგორ არის-მეტე, მიპასუხა, ვერ არის კარგადო, გაციებულა და სიცხეს აძლევსო.

— მერე, ბონდოს ავაღმყოფობას ჩვენთვის რა სარგებლობის მოტანა შეუძლია, ჩვენი მიზანი ხომ სულ სხვაა?

— არა, ეს ისე, რომ იცოდე, გასაგებად გითხარი, ზაირა თავის ოთახშია?

— ერთი საათის წინ ამხანაგებმა დაურექეს და წავიდა, მხოლოდ არ ვიცი სად, მე მგონი დაბადების დღეზე უნდა იყოს, გუშინ თანაკურსელი ქალიშვილის ქორწილის საჩუქარზეც ლაპარაკობდა. არ ვიცი, ქორწილი დღეს არის თუ შაბათისათვის. თუნდაც შინ იყოს, რა საქმე გქონდა?

— საქმის მეტი რა მაქვს. ბავშვს გული დაცოტავებული აქვს და ნერვიულობს. მისდამი გულის სევდა ვერ გამიმხელია. შენ კარგად იცი, შვილივით მიყვარს და მაგისათვის მხოლოდ კარგი მსურს. ერთი ჩანაფიქრი მაქვს, მინდა გაგიმხილო. მერე შენ რომ ეტყვი, დედა ხარ და იქნებ დაგიჯეროს: მე წელან გითხარი და ახლაც ვიმეორებ მზიას ნათქვამს, ბონდო გაციებულა და მაღალი სიცხე აქვსო. იმას რომ სერიოზული ივაღმყოფობა არ ჰქონდეს სხეულში გამჯდარი, მანეულა ბინას არ იქირავებდა. და თავზეც ხომ არ დააღგებოდა?



ჩემი აზრით, ფილტვები დაუავადდა. პოლა, არ სჯობს ზაირამ გმირული მოშალოს? ჯერ ბავშვია. მთელი ცხოვრება წინ აქვს, რატომ უნდა დაიჩაგროს? მე ჩემსას გავაკეთებ. მანუელის და ბონდოს ერთმანეთს დავაცილებ, მაგრამ კაცად თუ არ ივარგებს და ავადმყოფი მოსავლელი გახდება, ჩვენმა საყვარელმა ადამიანმა ახალგაზრდობა რად უნდა გაიმწაროს? მე ხომ აგერ ვარ და შემიძლია კარგი საქმრო ვუშვოვ. ჩემი მოქნილი ენით გაცოფებულ ლომს დავაბამ.

— არ დაგვიჭერებს და ტყუილი თქმა გამოვივა, — შეეჭვდა ნინო.

ამ დროს ზაირა შემოვიდა, საგარეო ტანსაცმელი გამოიცვალა და ხალათშემოცმული წარდგა მეგობრების წინაშე.

— ქალბატონო ქეთი, მე ყველაფერი გავიგონე. ადრეც გთხოვეთ და კვლავ გიმეორებთ, ჩემ საქმეებში არ ჩაერიოთ-მეტქი, თქვენ კი უდიერ და უსაფუძვლო ქცევას კვლავ აგრძელებთ.


— შვილო, რატომ აწყენინე დეიდა ქეთის, მაგას ხომ შენთვის კარგი უნდა?

— ნეტა შენც შეგეძლოს გაჩერება, დედა რომ არ იყო, პირველად შენ გაგაძევებდი სახლიდან, რომ ბოროტი სულების მიმართ ასეთ ლმობიერებას იჩენ. ამათ ვინ კითხავს ჩემი მუცლის მოშლას? მტერი რომ არ იყოს, განა ექვსი თვის მუცლის მოშლა შეიძლება? ეს კი ნიშნავს, რომ ამ ხალხს ბოროტება ალაპარაკებს. შენ რაღა გჭირს, დედა არა ხარ? გამოთვალეთ, იფიქრეთ, ახლა რა თვეა და როდის ვიყავით მოსკოვში, ცოცხალი ბავშვი მოვკლა მუცელში? შვილი ჩემია და პირველი სიყვარულის ნაყოფია. მე აღარ ვოცნებობ ბონდოსა და მანუელის დაშორებაზე, სხვის გაუბედურებაზე მე ჩემს ბედნიერებას ვერ ავაგებ, მორჩა და გათავდა. შემცდარი ვარ და რა ვქნა, თავს ვერ მოვიკლავ, თუმცა ბევრია, ვინც გულს ვერ იმორჩილებს და სული ეშმაკისათვის მიუცია.

— გაჩერდი, შვილო, ზაირა, ნერვებს ნუ იშლი. ქეთის მზიასათვის უკითხავს, ბონდო როგორ არისო და უთქვამს, რომ გაცივდა და სიციანიაო.

— მერე რა მოხდა, იმკურნალებს და გამოკეთდება. გარდა ამისა, სხვაც ითქვა და კარგადაც მოვისმინე, შეიძლება ეს საქციელი მთლად ზრდილობიანი არ არის, მაგრამ ხომ უნდა გავარჩიოთ ბოროტებისა-გან კეთილი სული?

— მაშ, ესე იცნობ შენ დეიდას?



— რა დეიდა, რის დეიდა, ამხელა ქალს სახელს ხომ არ დაგზადა ხებ? ჩემი ლირსება მიკარნახებს, დეიდა დაგიძახო, თუ არა კარგი კარგად იცი, ნამდვილი და არა ხარ დედაჩემისა. დეიდას გეძახი იმისათვის, რომ უნდა შეიფერო, იგრძნო, ნათესავად გთვლი და სიკეთის თვალით უნდა შემხედო. ჩემსა და ბონდოს დაახლოებაში განსაკუთრებული დანაშაული სწორედ შენ მიგიძლვის. ეს ადრეც მითქვამს და ახლაც ვამბობ. თუნდაც მოსკოვი გავიხსენოთ. შენ რომ არ მიგეტოვებინე და ჩემთან ყოფილიყავი, უბედურება თავს არ დამატყდებოდა. შენ არ იფიქრო, ამით პირად დანაშაულს თავიდან ვიცილებდე, მეც მაქვს გარკვეული შეცოდებანი. ტრავმა მივიღე ჩემი თავშეუკავებლობით და აქედან გამომდინარე, ვალდებული ვარ ესეც ვალიარო.

ჩემი გული დამუხტული იყო ბონდოსადმი წრფელი სიყვარულით. მან ალბათ ჩემგან ისეთი ცეცხლოვანი სიყვარული ძლვნად ვერ მიიღო, როგორიც ეკადრებოდა, ამიტომ დავრჩი გამოლმა და ის იქით, გალმა წავიდა, ვისგანაც მეტი ცეცხლი შემოენოთ. სიყვარული მაშინაა უძლეველი, თუ ჭეშმარიტად გიყვარს და უყვარხარ. ესეიგი, მოდავე რომ არავინ გყავს და ცოდვებგამოყოლილი რომ არ არის არც ერთი მხარე. ორივეს გულში რომ სიანკარის სისხლი ჩქეფს. ნაძალევად აშენებულ სიყვარულს ბზარი გაპყვება ხშირად და მთლიანად ირღვევა კიდევ.

პეტაკ სიყვარულში ბონდოს გულიც გაბზარულია. იმან იცის, მეუმწიველო ვიყავი და ახლა ის აღარა ვარ. მე ჩემის მხრივ მიპატიებია, ბედნიერი ვარ, შვილი მეყოლება, შვილი, ჩემი სიცოცხლის დამამშვიდებელი. მას კი ღმერთი არ აპატიებს, თუმცა მისი დასჭა, როგორც ასეთი, ბოროტებაა.

ბონდო ფოთში ყოფნის რამდენიმე თვის შემდეგ გაათავისუფლეს. დაბრუნდნენ საკუთარ კერაზე, გაიხარა ოჯახმა, კედლებმა სუნთქვა დაიწყო, მაგრამ სიხარული კვლავინდებურად მძლავრად ვერ ენთო, ბონდოს ავადმყოფობით გამოწვეულ ნერვიულობას მანუელას მუცლის მოშლა დაერთო. ბონდო საავადმყოფოში მოათავსეს, ბორჯომშიც დაისვენა, პირვანდელი ჯანმრთელობა კი ვერა და ვერ აღიდგინა. დროდადრო ბორგავდა, წუხდა, სიცხეს აძლევდა.

შვიდი იანვრის დღე გათენდა, შობა უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, მანუელამ სიონის ტაძარში სანთლები აანთო და ზოგიც შინ წამოილო. იმ საღამოს ყველამ რომ მიიძინა, მაშინ ჩამო-

არიგა სანთლები საოჯახო ქანდელზე, რომელიც ბონდოსა კულტურული მარტინის საწყისი იდგა. სანთლების ლიცლიცა შუქზე ღმერთის წინაშე უმწიდვლო და უნაზესი, ვითარცა ღვთისმშობელი ხელაპყრობილი ეველრებოდა და უზენაესს განმეგებელს ეველრებოდა, ღმერთო, გადა-არჩინე სიკვდილს და გამოაჯანმრთელე ბონდო, ჩემი სიცოცხლის ნა-წილია, ერთად ერთი სიყვარულია იგი, წუთისოფლის შვილია და გახარება უნდა. მისი სიხარული კი ჩემი გულის ფეთქვაა და ჩემი გზის გამნათებელი პირველი სხივია. პირველი მზეა, ჩემს სულში რომ გამოანათა. მისი სიკვდილი უპირველესად მზის დაბნე-ლება იქნება. გვევლები, ღვთისმშობელო, ნუ გამიხდი საქ-მეს მამაჩემის სასაყვედლუროდ. წუთისოფელი ხომ ჩემი და ჩემის-თანებისაა, ნუთუ ამ ქვეყნად თუნდაც ხანმოკლე ბეღნიერება და სი-ხარული არ გვეპუთვნის? რისთვის ჩამიდგი სული, რისთვის გამაჩინე, მხოლოდ იმისათვის, რომ მეხილა შენს მიერ შექმნლი წუთისოფელი? ეს უნაპირო სამყარო, რითაც ხალხი ტკბება? ნუთუ, მე და ბონდოს ქვეყნად სიყვარულის წილი არ გვიძევს? ყველა მიწიერი შენ მიერ მოვლენილია და ყოველივეს სული შენს ერთგულებაში იწვის, ხომ სიცოცხლე არ გვითხოვია, არც უშენოდ მოვსულვარ, შენ მოგვიყვა-ნე. რისთვის? მხოლოდ და მხოლოდ გულდასაწყვეტილ? სიკვდილი-სათვის? ნუ იზამ ამას, ღმერთო, გვევლები, გააცისკროვნე ჩვენი არსი, ჩვენი ბედის ვარსკვლავი, მართალია მიწიერი სამყაროდან წას-ვლას არავინ გვითხავს, მაგრამ ვიცით, რაკი გავჩნდით, უნდა მოვკვ-დეთ კიდევ. სიკვდილი ცოცხალი ადამიანისათვის თანდაყოლილი გარ-დუვალობაა. დღეს იქნება, თუ ხვალ, მოესწრები ჩვენ გამჭარებას, მაგრამ რაკი მოვსულვარ, ამა ქვეყნის სიკეთე ხომ უნდა დაგვამახ-სოვრდეს? სიმდიდრესა და ფუფუნების საგნებზე არ ვოცნებობთ, სულიერი სიმდიდრე ჩვენი მისწრაფებაა.

მანუელას ლოცვა ძილში ჩაესმა ბონდოს, გაეღვიძა და სიყვარუ-ლით მიმართა მეუღლეს:

— შენ კიდევ გღვიძავს? დაისვენე, მოეშვი ლოცვას. ვეღრება მა-შინ შველის ადამიანს, როდესაც იგი ღმერთს ეურჩება. თუ დაავადე-ბულის სული განწირულია, სანთლები ალარ ჭრის.

— გამოდის, სიკეთესა და სიყვარულს ქვეყნად ადგილი აღარ ჰქონია?

— არა, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო მანუელა. ამას ნუ ვიტყვით,



ღმერთს გავანაწყენებთ. სიკეთისა და სიყვარულის შედეგი ჩატარებულის  
ნაა, კაცობრიობა შენდება, ძლიერდება, ყოველივე ამაში ღვთის ხე-  
ლი ურევია. თითოეული ჩვენთაგანის არსიც ღვთითაა დაკანონე-  
ბული.

— თუ ღმერთმა დაგვივიწყა და არ ვახსენდებით, მაშინ?

— არა, ანგელოზო, ღმერთთან ქიშპობა არ გამოვვადგება. სული  
ღმერთმა გვიბოძა და ბოლოს და ბოლოს იგი მასვე ექუთვნის. სული  
უჩინარია, თვალთუხილავი და მისი შენარჩუნება მხოლოდ გულს  
შეუძლია, რომელსაც ხშირად არ ვაფასებთ. სიფაქიზე და სილამაზე,  
ისე როგორც სხეულს, უპირველესად სულს ახლავს. სულით და გუ-  
ლით მიყვარხართ, ალბათ, გსმენია ასეთი გამოთქმა. სამწუხაროდ,  
ხშირად არც ერთს და არც მეორეს არ ვუფრთხილდებით, განსაკუთ-  
რებით გულს ვივიწყებთ.

— ესე იგი, შენი თქმით გამოდის, რომ გულს უდიერად ვაქცე-  
ვით?

— კი, მანუელა, ჩემო სიყვარულო!

— რაში გამოიხატება ეს ყოველივე?

— ამის მაგალითი ბევრია, თუნდაც გადაჭარბებული დატვირთვა,  
უზომო ჭამა-სმა, ნერვიულობა, შრომა ხანგრძლივი, მომქანცველი,  
უსაქმურობაც კი დამღუპველია და ბუნების ცვალებადობაც. დაგვია-  
ნებით და არასწორად მკურნალობა გულს ვნებს ყოველთვის.

წელანდელ შენს ნათქვამზე ვერ გიპასუხე ამომწურავად. ღმერთს  
მხედველობიდან გამოვრჩით და მოულოდნელად ეშმავს შევეფეთეთ.  
ღმერთი უხილავია და, რადგან თვალით ვერ ვხედავთ, ჩვენი სიცოცხ-  
ლე ჩვენვე უნდა შევახსენოთ. ღმერთთან გულწრფელობა სიცოცხ-  
ლის ხანგრძლივობის საწინდარია, სიკეთეს, პირად ღირსებას ამკვიდ-  
რებს. მინახავს ბევრი ადამიანი, რომელიც სულგრძელობით გამოირ-  
ჩევა, უფალთანაც პირნათელია.

ცხრამეტი იანვარს — ნათლილება ღლეს, ზაირას ვაჟი შეეძინა და  
ბონდო დაარქვეს. მამის გარდაცვალების შემდეგ ბონდოს ასეთი სა-  
სიხარულო მოვლენა არ განუცდია. გულით ილხენდა და მოსწონდა  
ქვეყნად პირმშოს მოვლინება, თუმცა გამხელის უფლება არ ჰქონდა.

წვიმიანმა ამინდმა სევდა მოჰვერა. ქარი ქროდა, ციოდა კიდეც-  
განსაკუთრებით გრძელი, მომქანცავი ღამე სძაგდა. ოცნებით გადა-  
ღლილს, მხოლოდ გამთენისას ჩაეძინებოდა ხოლმე. გვიან ილვიძებ-

და დაღლილი, სევდიანი, შეშინებული, ჭირის ოფლში ერთანაცად დოკუმენტის საწყისი. დიდხანს ფიქრობდა, როგორ დაედწია თავი ამ საშინაო დოკუმენტის განვითარებისას. მეუღლეს გაანდო სულიერი ტკივილი, ყველაფერი გა-ანდო, პატარა ბონდოს საიდუმლოდ მოცული დაბადების გარდა.

მანუელამ ექიმის რჩევაც შეახსენა და აბასთუმნის საგზური აი-ღეს. აგერ უკვე ერთი კვირაა მარტოდ მარტოა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ისვენებს. გარინდებული გასცემის მწვანე საფარით შე-მოსილ მთათა მწვერვალებს, ლურჯზე უფრო ლურჯ სივრცეს, გაწა-მებულ ადამიანებს და ზღაპრული მშვენიერებით შემოსილ სამყაროს.

კალენდარს ფურცელი მოახია — აპრილის 15. გარეთ გამოვიდა და სკამზე ჩამოჰდა. ბაღში განმარტოებით მყოფს ვიღაც ახალგაზრდა ქალი მიუახლოვდა და ღიმილით მიესალმა. ნებართვა ითხოვა, თქვენს გვერდით ჩამოვჭდებით. თანხმობა მიიღო და მშვიდად დაეშვა სკამ-ზე. ნაწნავები შეისწორა, წამწამები მომხიბლავად ააფახულა და მო-რიდების გარეშე კითხა:

— თქვენ, ახალგაზრდავ, ამ მომხიბლავ წუთისოფელში სიცოცხ-ლის ასე მარტოობაში გატარებას აპირებთ?

— რას ვიზამ, როცა არავის მოვწონვარ?

— ვერ დამაჯერებთ. ეგ თქვენ არ შეგეფერებათ.

— ვითომ და რატომ არ შემეფერება?

— გარეგნული მშვენიერება არ გაყლიათ, მომხიბლავი იერ-სახე ვაჟაპური, მიხვრა-მოხვრა და საქციელიც ნამდვილი ქართველისა გაქვთ.

— თქვენ საიდან მიხვდით, რომ მე ქართველი ვარ?

გარეგნობით და სპეციფიკური მეტყველებით.

— ჭეშმარიტებას ბრძანებთ. კავკასიელებს დაახლოებით ერთ-ნაირი გარეგნობა გვაქვს.

— თქვენ მართალი ბრძანდებით, მაგრამ მე მჯერა ჩემს მიერ ნათ-ქვამის, ვფიქრობ არ ვცდები.

— მაპატიეთ და თქვენ რა ეროვნების ბრძანდებით?

— ამის გამოცნობა უკვე თქვენი ამოცანაა.

— შეიძლება გამიჭირდეს, მაგრამ ჩვენი ჭიშის რომ ხართ, ეს ვი-ცი, ალბათ, ქისტი იქნებით.

— ალბათ კი არ ვიქნები, ნამდვილად ქისტი ვარ.

— თქვენი სახელი?

— აიღა.

- სასიამოვნოა. მე ბონდო მქვია.
- ბატონო ბონდო, რად გიყვართ მარტოობაში ყოფნა?
- დაქორწინებული ვარ და ხომ გსმენიათ, დაბმულს გასაქანიარა აქვსო.

— არავინ მოგიტაცებს, ნუ გეშინია, — თავმოსაწონად ჩაიკისკისა აიდამ, — სიყვარულს უნდა დაეშურო, თუ არა, დღესა ხარ და ხვალ აღარ იქნები. სიცოცხლე ღმერთმა ერთხელ მოგვცა და უნდა გამოვიყენოთ. იჩქარეთ, იჩქარეთ, მატარებელზე დაგავვიანდებათ. წუთისოფელი მიპქრის შეუჩერებლივ, წარსული კი უკან აღარ ბრუნდება.

მართალი ბრძანდებით. ერთი სიცოცხლე აქვს აღამიანს და წუთისოფელი ერთია, სიყვარულიც ერთი მარგუნა განვებამ, მე მისი მსახური ვარ და სხვა სიყვარულის უფლება არა მაქვს, ცოდვაში ჩამეოთვლება.

ბონდოს მხედველობაში ის ცოდვა ჰქონდა, რომელიც მოსკოვში ჩაიდინა ქალიშვილ ზაირასთან და თავისი ჭამრთელობის დაქვეითება სულ იმას მიაწერა.

— რაკი ღმერთი გწამს მისი იმედი არ მოგეშალოს. მთავარია ახალი სიყვარული ახალმა უნდა გასულდგმულოს, ძველი სახლიც დასანგრევია.

— აიდა, ნუ გეწყინებათ, ერთი საათის წინ უფრო კარგი მეჩვენეთ.

— ბატონო ბონდო, თქვენ თვალთა არეში ფერთა სწრაფ ცვალებადობას ჰქონია აღვილი.

— არა, გნაცვალე, მე სულიერ სიღრმეზე მოგახსენებთ და არა ფიზიკურ მოძრაობაზე. ქალს თავშეკავება უფრო ამშვენებს, ვიღრეზომას გადაცილებული გულახდილობა. სული იყოს წმინდა თუ არა, გული ყოველთვის ჭუჭყიანია, ათასი დარღი და ბოლმა ბუდობს. სული როგორც ჩაგიდგა ღმერთმა, ისეთივე უნდა ჩააბარო. გული კი მოკვდება და მიწა დაეუფლება.

— ჭეშმარიტებას ბრძანებთ, მაგრამ უსიყვარულოდ შორს ვერ გაფრინდებით. წუთისოფელი სიყვარულისაა და თუ არ დაეწაფეთ წყაროს, არაფერს ფასი არა აქვს.

— აიდა, მე სიყვარულს არ უარვყოფ, მაგრამ ამყოლი გული მაქვს და ის ნაპერწყალი რომ ჩავარდება, უმალ იცის აგიზგიზება. მიჭირს მერე განელება, შეიძლება ამან ოჯახიც დამინგრიოს.



— იქნებ ფიქრობ, რომ მე თავი აგდებული მაქვს? ქმარი მყავს მაგრამ ჩემდა საზიანოდ ოჯახზე ფიქრებმა თავა მომაბეზრეს დარღვეულარ მომიცილებია. არადა, ამ ერთხელ მომეცა აქ წამოსვლის საშუალება.

ისინი ერთად წავიდნენ სასადილოში.

უკან დაბრუნებული ბონდო ორსაწოლიან ნომერში გულალმა მარტოლ-მარტო იწვა მოსასვენებლად, დარღისაგან შემოწოლილ ფიქრებს ძლივს იგერიებდა. ხან ეშმაკი ეჭდა გულში, ხან ანგელოზები დაფრინავდნენ მის სასთუმალთან. სხვა უბედურებასთან ერთად დღეს გაცნობილი ქალბატონიც დაემატა დანაღვლიანებულს და სევდამორეულს. რა თქმა უნდა, პირველობას ყველგან და ყოველთვის მანუელს ანიჭებდა, მაგრამ რატომლაც ამ წუთებში ზაირაზე ფიქრი აეკვიატა, პატარა ბონდოც მოსვენებას არ აძლევდა. კარგად გრძნობდა ქალის სულგრძელობას. ცხადია, სიყვარულის ცეცხლით მიუტევებლად იყო დასჭილი და ყურადღებას შვილზე გადაიტანდა. ამხნევებდა, ენატრებოდა. ერთი სული ჰქონდა ენახა ისინი. არც ის უნდოდა, ეს ამბავი გახმაურებულიყო და მანუელს ყურამდე მიეღწია. ყველა ფიქრი და დარღი რომ საგულეში დააბინავა, ღრუბლებიდან მხესავით გამოვიდა, აღგა, შუქი აანთო, ტელევიზორი ჩართო. ამ დროს კარები გაიღო და მანუელა შემოვიდა. თურმე აიდა გზად შეხვედრია და მოაცილა, ტვირთის შემოტანაში დაეხმარა. გადაეხვივნენ ერთმანეთს, სიყვარულით და სიხარულით აღსავსენი. ისეთი დიდი მგზნებარება დაეუფლათ, რომ სხვა არც ერთ ძალას არ შეეძლო მათი გათიშვა. აიდას სხეულში ურუანტელმა დაუარა. ტებილად შეგაბეროთ ერთმანეთსო, თქვა და წასვლა დააპირა. მანუელამ არ გაუშვა, ხილი მიართვა. აიდა ხილს შეექცეოდა და თან მანუელას ქანდაკებასავით აღნაგობას, მიხვრა-მოხვრას ისე ხარბად ათვალიერებდა, თითქოს დასანიშნად იყო მისული. თავი ვერ შეიკავა აღტაცებულმა:

— ბედი გქონიათ ორივეს, — თქვა გულწრფელად, — წუს რომ ვერაფერს იპოვის კაცი თქვენს გარეგნობაში და ღირსებაში. თქვენ, ბატონო, ბონდო, ღმერთივით კაცი ბრძანდებით, მანუელა ხომ მშვენიერებით აშკარად წმინდა ანგელოზია. იშვიათ წყვილს ღმერთმა ხელი მოგიმართოთ და თქვენ სიყვარულს ბზარი არადროს გაჩენოდეს. ეშმაკმა არასდროს დაიბუდოს თქვენს გულში.

— იცი, ბონდო, ქალბატონი აიდა როგორ მომეხმარა? სანატო-



რიუმის შემოსასვლელში ექსკავატორი მუშაობს, მიწას მოსახურდა  
ტაქსი ეზოში ვერ შემოვიდა. კიდევ კარგი, ეს მაღლიანი შემტკიცა.

— თქვენ სად ცხოვრობთ?

— აქვე, მაღლა ოთახში, მეორე სართულზე.

— კარგია, სასიამოვნოა, იქნებ გავახერხოთ როგორმე, ათი დღით  
დავეთხოვე სამსახურიდან, აქ თქვენთან დავრჩე, თანახმა ვარ, ფული  
გადამახდევინონ, სურსათი ჩამოტანილი მაქვს.

სანერვიულო არაფერია, ყველაფერი მოხერხდება, — დაამშვიდა  
აიდამ და ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

— მანუელა, დედა როგორ არის? — იყითხა ბონდომ.

— კარგად, ბონდო, ისე მოვუმარავე ყველაფერი და წამოვედი,  
რომ ათი დღე კარგი გასვლა არ დასჭირდება.

— მეზობლები?

— შენ შემოვევლე, ბონდო, ისინი კარგად იქნებიან, ჩვენ მივხე-  
დოთ ჩვენ თავს.

— მივხედავ, მანუელა, ჩემო ანგელოზო, სიკვდილის არ მეშინა,  
შენ მენანები, რომ ვერაფერი ბედნიერება მოგანიჭე, ბევრი კარგი  
ჩანაფიქრი შეუსრულებელი მჩჩება, რადგან წუთისოფელი თავის  
ნებაზე მატრიალებს. თუ ღმერთს არ უნდა, შემოვიჩნდება და დაგა-  
მარცხებს. ამბობენ, ღმერთს არც ეშმაკი სძლოსო. პირიქით, ჩვენ,  
კაცი, ეშმაკის გარეშე ავ-კარგს ვეღარ შევიცნობთ. ღმერთმაც სა-  
კუთრად სიკეთისა და სიყვარულის გზა აირჩია და ამიტომ სული: მა-  
რადიულ სიცოცხლეს ერგო. ეშმაკმა ბოროტების გზა ამჯობინა. გუ-  
ლი სიკვდილსაც აქვს. ეშმაკი სასტიკი წინააღმდეგი იყო აღამ და  
ევას შექმნისა. რამდენჯერაც არ გამოძერწა, ღმერთმა ისინი, ყოველ-  
თვის დაამსხვრია. სიკვდილ-სიცოცხლეც ამიტომ არსებობს, ადამიან-  
მა სიცოცხლეში მხოლოდ კეთილი საქმე უნდა აკეთო. ბოროტება  
ჩვენს გარეშე ისედაც ძლიერია და თავისას აღწევს. მხოლოდ სიყვა-  
რული და სიკეთე ამშვენიერებს წუთისოფელს. შენ, ჩემო მანუელა,  
იმიტომ ხარ ასე მომხიბლავი, ესოდენ წმინდა და თავანარა, რომ  
კეთილი ხარ. უფალმა ღმერთმა, რაც კი სიკეთე გააჩნდა, შენ დაგა-  
ბერტყა, შენთვის გამოიმეტა. თავისთავად მეც ბედნიერი ვარ შენით.  
ღმერთმა სიცოცხლეშივე დამაჯილდოვა. ჭეშმარიტი ქალწულის სვე-  
ბედნიერი გვირგვინი მარგუნა, გვირგვინი მეფური, ათასფრად მო-  
აჭვილი, გაცისკროვნებული.

ჯანმრთელობა შელახულსა და შეჭირვებულს სიკვდილი სულაც



არ მაშინებს. სიკვდილი თავისთავად დამარცხებულია, რაღაც ეჭყაფები სოფელში სიცოცხლე არსებობს. ესეიგი, გამოდის, რომ სიკურეტული სიყვარული იძარჯვებს, ასე რომ არ იყოს, წუთისოფელი აღარ იარ-სებებს. კარგი ექიმები ავადმყოფებს სიცოცხლეს უხანგრძლივებენ. ესეც ეშმაკის მარცხია, ეშმაკს დამხმარედ ჭინკები ჰყავს და ღმერთს—ანგელოზები. ამიტომ გახვეწები, მანუელა, ილოცო, ჩვენი ჯანმრთე-ლობა და მომავალი შეაველრო მამაზეციერს, შეაველრო ჩვენი სიყვა-რული, ჩვენი მომავალი.

— ჩემო ბონდო, ვფიქრობ ღმერთი არ გაგვშირავს. შენი სიცო-ცხლე ჩემი სიცოცხლეცაა და სანამ ვიცოცხლებ, არც სიყვარულს მოგაყლებ, და არც ჯანმრთელობას. ჰო, მართლა, იცი ბონდო, ამას წინათ ზაირა ვნახე, ისეთი კარგი ბავშვი ჰყავს, ცქერით ვერ გაძლე-ბი, ჩაპუტკუნებული, მოცინარი. უანეტა იქ იყო ბავშვი რომ ვნახე, სულ ბონდოსა ჰყავს, ბონდოს წინ ხომ არ ეძრა მუცელიო, ჩაიხით-ხითა უცნაურად.

— გულუბრყვილო ლაპარაკი იცის, არ უფიქრდება რას ამბობს.

— არა, მე მარტო ჩავიცინე.

— მერე?

— ბავშვის ჩასაცმელების მთლიანი კომპლექტი მივართვი.

— ზაირამ რა გითხრა?

— გაეხარდა, მაკოცა. რა კარგი გულისა ხარო, მითხრა, ვისაუბ-რეთ, ყავაზე მიმიპატიუ, რა თქმა უნდა, ზილიც იყო და ტკბილე-ულიც. გულით მორთმეული დიდი სიამოვნებით მივიღე.

— ქეთოთ თუ იყო იქ? მათი ხშირი სტუმარია.

— უჰ, როგორ მძაგს ეგ ქალი. კიდევ კარგი, იქ არ დამხვდა.

— არა, ცუდი ქალი როდია, შენ რად გეგავრება?

— არ ვიცი, მე მაგას სიკეთისა ვერაფერი შევატყვე, პირიქით, სადარბაზოში შემხვდა, მივესალმე და პასუხის ნაცვლად გამომლან-დლა.

— შეიძლება ვერ გიცნო.

მანუელამ საუბრის გაგრძელება აღარ ისურვა და მოკლედ მოუჭ-რა:

— არ ვიცი.

კვირა დღეს მშვიდი ცა დასცქეროდა ქვეყანას. სიოც არ ქროდა. ადამიანებიც განსაკუთრებული ხალისით მიაბიჭებდნენ, ხმამალლა. ბაასობდნენ, ათასგვარ საქმეებს არჩევდნენ.



სეირნობიდას დაბრუნებული ბონდო და მანუელა საწოლეჩევაშვილი მოწოლილები ტკბილად საუბრობდნენ. საწოლის თავისკენ უშაშეცემული ფანჯარა ლია იყო და გარედან დაცემულ სხივებს პირდაპირ ირექლავდა. მანუელა სწრაფად წამოხტა საწოლიდან. ვაიმეს თქმა მოასწრო და სროლის ხმა გაისმა. ბონდო მძიმედ დაიჭრა. კვლავ გაისმა სროლის ხმა. უმალ შეიკრიბდნენ წესრიგის დამცველები, მოინიშნეს სროლის ადგილები. ჩაიწერეს გვარები და დაჭრილები სა-ავალმყოფოში მოათავსეს. ოპერაციის შემდეგ ბონდო მესამე დღეს გარდაიცვალა. მამის სიკვდილიდან ერთი წლის თავზე სარალიძეების ოჯახში კვლავ შემოჰკრა გლოვის ზარმა. მეზობლებმა მწუხარება გაიაზრეს და ამ გლოვაში თითოეულმა გულის ნაწილი ჩადო. შავ ტან-საცმელში და ჩადრებში შესუდრული მზია და მანუელა ჯურმულში ჩაგდებულ ანგელოზებს წააგავდნენ. ზაირას შინაურებმა თალები ტანსაცმლის ჩატაზე უარი უთხრეს, მაგრამ არავის დაუჭერა. მეზობ-ლებმა ჩათვალეს, სკოლის ამხანავები არიან და უთანაგრძნობსო. გასვენების პროცესი დაიწყო, ძირს ეზოში დასვენეს ბონდო. მანუ-ელას შემდეგ ზაირამ ცრემლები უხვად დააფრქვია, გულწრფელად დაიტირა ბავშვობის მეგობარი. დიდია და პატარას განურჩევლად ყველას, თვალთაგან ცრემლის წვიმა სდიოდა. ქვა უნდა ყოფილიყო, მის ცრემლს არ მოელბო.

მიაცილეს სასაფლაომდე.

მანუელამ ლამაზი თმები ჩამოიშალა და ბონდოს ცრემლი აწვიმა.

— მოკლე წუთისოფელი გვქონიაო, ბონდო, მე და შენ, — დაატი-რა მან ცხედარს, — დედაშენს რა პასუხს აძლევ, დედისერთავ, ჩემი სიყვარულო, ამაო ყოფილა ყველაფერი, ბედდაჩაგრულებს ბედნი-ერება არ გველირს. ჩვენი სიყვარული წმინდა იყო, მაგრამ სიცოცხ-ლე ხანმოკლე გვქონია შენცა და მეც. გემუდარები, ხმა გამეცი. ვიცი, მე მოგვალი. ყველაფერი ჩემი ბრალია. წუთისოფლის სიავე გადავ-ლახე, რომ შენი თანმეცხედრე ვყოფილიყავ. რჩული უარვყავი და სიონში ქართულად მოვინათლე. უფრო გავცისკროვნდი და გავგედ-ნიერდი. ქართული ოჯახი შევქმენით. ქართველი გოგო-ბიჭების შე-ძენაზე ვოცნებობდი. ვაი, რომ მწარელ მოვტყუვდი, მიმუხთლა ბედ-მა. ახლა ისლა დამრჩენია, კვლავაც ერთგულება გამოგიცხადო. შენს გვერდით ვიყო აწ და მარადის მე შენი სატრფო და მეგობარი. მშვი-ლობით ბონდო, საყვარელო, შენ საფლავზე სიყვარულის ძეგლად აღვიმართები შენი მანუელა.

უკან არავინ დაბრუნებულა და გამონაკლისი არც შენ ჩენები. /  
ახლაც დამიჯერე, გენაცვალე, გაციებულ გულს იქ მიწა ვერ ვაჭრობოდები.  
ბობს. საიქიოში მიმავალმა ჩემი ცრემლებით გაითბე სხეული.

გოდება დაამთავრა, დაუკოცნა სახე, პეშვით მიწა მოაყარა და  
ვანერიდა.

ზაირა სულ შინ იყო და ორმოცი დღე შავები არ გაუხდია. ამის  
გამო ოჯახში უთანხმოება სუფევდა. ქეთი და უანეტა სახლიდან გა-  
აძევა. ნინო და ზაირა ბავშვები ზედ დაპკანქალებდნენ. ბავშვი ხორცს  
ისხამდა და იზრდებოდა, ჭეშმარიტად მამის სახიერებას იძენდა. ბონ-  
დოს დედა, მზია, ოთახში კარჩაკეტილი იჯდა და მისი ცრემლების  
ორთქლით ფანჯრები იბურებოდა. მანუელამ ძმის დახმარებით სასა-  
ფლაო მოაწყო. მარმარილოს ქვა დაადგა, სულის ახსნის სამზადისს  
შეუდგა და სასამართლოს უწყებაც მიიღო. ხუთშაბათს იწვევდნენ  
მართლმასჯულნი.

მოსამართლემ დამსწრეთ მანუელას სარჩელი გააცნო. მასში ნათ-  
ქვამი იყო: მანუელა მამედას ასული მამედოვა და მისი მეულლე აწ  
განსვენებული ბონდო თენგიზის ძე სარალიძე სეირნობიდან დაბრუ-  
ნებულები, საწოლზე წამოწოლილები საუბრობდნენ. დაახლოებით 5  
საათზე ღია ფანჯარაში მან შენიშნა ლანდი ნაგანით ხელში, რომელიც  
შენობის კედლის გასწვრივ მოიპარებოდა. ფანჯარაში გახედვას აპი-  
რებდა, გავარდა ტყვია, ვაიმეო, დაიყვირა, მივარდა ბონდოს. ყურის  
ძირიდან სისხლი ჩქეფით გამოსდიოდა.

- ტყუილია, — იყვირა ხიზირამ.
- თქვით, როგორ იყო, — მიმართა მოსამართლემ.
- ბატონო მოსამართლევ, იქ შენობის გვერდით, მივდიოდი.  
სროლის ხმა მომესმა და ამ დროს მოულოდნელად დავვარდი მძი-  
მედ დაჭრილი.
- ესეიგი, გამოდის, თქვენ ნაგანი არ გქონიათ, არა?
- არა, ბატონო მოსამართლევ!
- არც მეორედ სროლის ხმა გაგიგონიათ?
- ჭრილობა მაწუხებდა, ამაზე ყურადღებას როგორ გავამახვი-  
ლებდი.
- გამომძიებელს თქვენი დაკითხვის ოქმში უწერია, რომ ცხოვ-  
რობთ გლდანში, მაშ როგორ მოხვდით იქ, აბასთუმანში.
- ამხანაგი ისვენებდა და სანახავად ჩავედი.

- რომ დაიჭერი, ამხანაგები მაშინ შენთან იყვნენ?
- არა, ისინი დაახლოებით ათი წუთით ადრე წავიღნები ვაშტავს ლოში.
- შენ რატომ ჩამორჩი?
- მე არ მშიოდა და საუზმის შემდეგ ისინი უკანვე დაბრუნდებოდნენ.

— გიშერიათ, რომ 1975 წელს თქვენ ნასამართლევი ხართ, თქვენს მიერ დაჭრილ პიროვნებიდან ამოღებული ტყვია თქვენი იარაღისაა, რატომღაც მაშინ გაგჩხრიყეს და ვერ აღმოგიჩინეს, აღბათ, გადამალვა მოახერხე. ეს ის იარაღი ხომ არ არის?

— არა, პატივცემულო მოსამართლევ. დაჭრილი მე ვარ და ჩემ ხელში იარაღი არ ყოფილა. რომ ყოფილიყო კიდეც, რა დაგოშავე ისეთი, რომ საკუთარი თავი სასიკვდილოდ გამეწირა?

— ეგ შენ თავს კითხე.

— შემოვიდეს მოწმე, აიდა ზიადის ასული კიპაროვა. თქვენ აბას-თუმანში რომელ კორპუსში ცხოვრობდით?

იმავე კორპუსის მეჩვიდმეტე ოთახში, ანუ განსვენებული ბონ-დოს ოთახის თავზე.

— თქვით რა იცით მკვლელობის ირგვლივ?

— ბატონო მოსამართლევ, ჩემდაუნებურად გადმოვიხედე ფანჯრიდან. დავინახე, რომ ეს არამზადა კედლის ძირზე ფანჯარასთან ატუზულიყო და ოთახში ნაგანს ვიღაცას უმიზნებდა. მე შევყვირე, გოგოებო ჩქარა, აგური მომიტანეთ მეთქი. ამ დროს მოისმა გასროლის ხმა. ვიდრე აგურს შემოიტანდნენ, განმეორებით იქცხა ნაგანმა. ეს ვაუბატონი გულალმა ეგდო მიწაზე, მკერდის არეში სისხლი სდიოდა. ნაგანიც იქავე ეგდო.

— ესეიგი, გამოდის, რომ ხიზირ, შენ მოჰკალი ბონდო და მერე შენ თავს თვითონ გამოუტანე განახენი. ვაუკაცი ყოფილხარ, ცოცხალი გადარჩი, არ გცოდნია მიზანში ამოღება და ახლა დახვრეტის რომ მოგისჯი, იქ უკეთ გასწავლიან სროლას.

— სიმართლეს არ ლაპარაკობენ, მოსამართლევ.

— სიმართლე თქვი, თორემ შენ და მანუელას ორივეს დაგაპატი-მრებთ.

— ერთად, ბატონო მოსამართლევ? — უნებურად წამოსცდა ხიზირას.

თითქოსდა თვალებით უნდა შეჭამოსო, მოსამართლემ მჟაფრიადისა  
შეუტია:

— ხიზირ, შენ გეხუმრება და მეტი არაფერი. მე ყველაფერს  
თვალნათლივ ვხედავ, დამნაშავე ხარ, შენ მიიყვანე ოჯახი დაღუპვამ-  
დე. დაე, ამ საქმეს ნათელი ხელმეორე გამოძიებამ მოჰყონოს. იცო-  
დე, მართლმსაჯულებას ვერსად გაექცევი. ჩვენ ვვრდნობთ საკუთარ  
დანაშაულს, ჩვენს ლოიალობას, რომელმაც აქამდე მიიყვანა ეს მშვე-  
ნიერი ქალბატონი.

აბასთუმნიდან დაბრუნებულშა მანუელამ სასამართლოს ყოველი  
წვრილმანი მზიას სიტყვა-სიტყვით უამბო. იქ დაფარული სიმართლე  
ახლა პირველად გამხილა.

— დედა, ფანჯარაში რომ შევნიშნე ლანდი, ნაგანით ხელში, სა-  
წოლიდან წამოვტკი, ფანჯარაში შემოყოფილ ხელზე სწრაფად ხელი  
ავუკარი, ნაგანი გავაგდებინე, მაგრამ დამაგვიანდა, მან სროლა მოა-  
წრო. არ დავბნეულვარ, უმალ ავიღე ნაგანი და გაქცეულს ვესროლე.  
ალბათ, იმ დროს უკან მოიხედა, გულის არეში მოხვედრია, მაგრამ  
გადარჩა, ის ჩემი ცოდვით სავსე. დაკითხვისას ოქმში ეს არ იყო ნაჩ-  
ვენები და მოსამართლემ ხელმეორედ დაუბრუნა გამოძიებას.

ბონდოს სულის ახსნის დღეს მანუელა ძალზე განერვიულებული  
ჩანდა. სახე შეშლილივით ჰქონდა და რას აეკთებდა, არ იცოდა. ეს  
ბუდეაშლილი ანგელოზი მწყერჩიტასავით ბორიალობდა. სასაფლა-  
ოზე დატირებით კი დაიტირა, მაგრამ იქიდან შინ აღარ დაბრუნე-  
ბულა.

მოკითხეს, ეძებდნენ, ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ ვერ გაიგეს.  
რაც დრო გადიოდა, სხვადასხვა ამბები ისმოდა. ამბობდნენ, ალბათ  
მტკვარში დაიხრჩო თავი და სული ეშმაქს ჩააბარაო. იმ დღეებში  
დანით განგმირული ხიზირა ბალში იპოვეს. დღეები უღიმღამოდ მი-  
იქლაკნებოდა და მზიას მეხსიერებაში სიხარულის კვალიც არ ჩე-  
ბოდა. ერთი წლის განმავლობაში მისმა ოჯახმა სამი ადამიანის დანა-  
კლისი განიცადა. ძნელია შეეგუო ასეთ მდგომარეობას, მარტოდ  
დარჩენილ დედას მამედა და მისი ცოლი უწმაწურად შეურაცხვოფ-  
დნენ. ისედაც მგლოვიარე ქალს მოსვენებას არ აძლევდნენ, ხშირად  
საყვედურობდნენ, გოგო გაგვიუბედურეთ, საქმე ისე გაუხადეთ, თავი  
დაახრჩობინეთ. მამედამ აღმასკომში საქმე ჩააწყო და მზიას ერთ-  
ოთახიან ბინაში გადასვლა შესთავაზეს. უთხრეს, ფულსაც მოგცემს

და ავეჯის გადატანაშიც მოგეხმარებაო. მზია სარალიძისაგან ჭურჭელი მიიღეს, სასამართლოში უჩივლეს. ერთხელ მამედაშ გადაადებინა პროცესი, დამცველი არა მყავსო, მეორედ ითქვა, მოსამართლე ავად არისო, მესამედ კი მოსამართლემ საქმე განიხილა და მოსარჩელე მა- მედას თხოვნა დააკმაყოფილა. მზიას საკასაციო თოთხმეტი დღე მის- ცეს.

მზია გათხოვების დღიდან შინ დიასახლისობდა და ამ საქმეში მე- ტად გამოუცდელი იყო. ერთ დღეს ქალაქიდან დაბრუნებულმა კარე- ბი ჩაიკეტა. წინ სურათები დაიწყო, ტიროდა ქმარს, შვილს, რძალს. გულის სილრმიდან ამოსულ სიტყვებს მწარედ ამოაყოლებდა: შვი- ლებო, ბონდოვ და მანუელა, ერთი შვილი მაინც დამრჩენოდა თქვენ- გან, მის გაზრდაში სიცოცხლის დარჩენილ დღეებს შევიმსუბურებდი და ლირსეულ ოჯახს ლირსეულ მემკვიდრე ეყოლებოდა.

მზია კეთილშობილი ქალი იყო. ტირილითა და გოდებით თვალ- თაგან გადმოლვრილ ცრემლებს სამივეს თანაბრად უნაწილებდა.

ამ დროს ზარი აწერიალდა. გულში გაიფიქრა, ნეტავ მანუელა იყოსო და თვალში ზაირა შერჩა. ზაირა შეკრთა, მზიას ცრემლები შეამჩნია, გადაეხვია და კოცნით ამოუშრო. საამური სიტყვებით ნალ- ველი გამოურწყო და შიგ სიხარულის ნიაღვარი მიუშვა. ზაირამ უამ- ბო ბონდოსთან ურთიერთობაზე. აუწყა, რომ ჩემი შვილი თქვენი შვილიშვილიაო. აჩვენა საბუთი, სადაც ბავშვი იმათ გვარზეა; ბონდოს დაწერილი ხელწერილიც გადაუშალა ნოტარიუსით დამტკიცებული.

მზია ბინდიდან გამოვიდა, წელში გასწორდა და ზაირა გულში ჩაი- ხუტა. ამას სასამართლო აღარ დასჭირვებია. გაციებული კერა, ისევ გალვივდა ახალშობილით. იმავე წუთს სანთლები დაანთო და ლმერთს შვილიშვილი შეავედრა.

## მ ა ს ს ა რ ა

აღამიანმა ველურობის ხანა რომ განვლო და შრომის ჩვევებს დაეუფლა, აქედან მოყოლებული ლმერთმა კარმიდამოს მეთვალყუ- რედ ძალი მოუვლინა, იგი აღამიანის ბუნებას ზედმიწევნით კარგად შეეთვისა. საუკუნეების განმავლობაში აღამიანი და ძალი განუ-

უოფლად ცხოვრობდნენ და დღესაც ცხოვრობენ. ისე, რომ მათთვეში დამოუკიდებლად თავის რჩენა არ შეუძლია. ზოგჯერ ბალახს მოწიწკნის, კუჭის დასაკმაყოფილებლად კი არა, უფრო სამკურნალოდ. როცა მუცელი გვრემს, ყნოსევით დაექებს სწორედ იმ ბალახს, ტკივილს რომ დაუყუჩებს. იპოვის თუ არა, უმაღვე მიირთმევს, თუმცა საქონლის მსგავსად ბალახი მისი საკვები არ არის.

კავკასიური ნაგაზი მგელს ახრჩობს, მაგრამ თავისზე სუსტ ცხოველზე კბილს არ გაისვრის. ძალლები მხოლოდ კატებს ვერ იტანენ. ყველა ძალლი კატის მტერია, არ ვიცი, რატომ ეჭავრებათ ისინი. ოქმულება კი ასეთია: ვითომ კატას უბრძანებია, ნეტა სახლის პატრონები დაბრმავდებოდნენ, რომ მათი წილი კერძი მე დამრჩესო. ძალლს კი პირიქით უთქვამს, ნეტა გამიმრავლდნენ პატრონები, თუ-თო-ოროლა ლუკმას ყველა გაღმომიგდებს და ამითაც კმაყოფილი დავრჩებით.

ამბობენ, თურმე კატასა და ძალლს შორის მტრობა უხსოვარი ღროიდან ჩამოვარდნილა.

გლეხს ტყეში მგლის ლეკვი დაუჭერია, შინ მოუყვანია მოსათვინიერებლად. ლეკვი რომ გაზრდილა, გლეხს ბოროტი ზრახვები შეუმნიერებია, ეზოში თურმე ქათმის სახსენებელი გააქრო. ამის შემდეგ გლეხმა შემოსასვლელი კარიდან გასაღევარის ბოლომდე მავთული გაუბა და ზედ ჯაჭვით დააბა. დაუდგამდა საჭმელს გობით და ისიც მიირთმევდა. ერთხელ, გაზაფხულზე, მაისის თვეში, მცენარეები რომ გაიფოთლა და გაზაფხულის სუნი დატრიალდა, სამუშაოდან დაბრუნებულმა ვახშამი რომ მიართვა, იმას პირი არ დააკარა და პატრონი ისე დაგიგნა, ადგილზევე გარდაიცვალა. მგელს ხორცი არ დაკლებია, მაგრამ ველურმა სისხლმა მაინც თავისი გაიტანა.

ჩემდათავად ცხოვრებისეული დაკვირვებით დიდად არ გამოვირჩევი, მაგრამ მრავალი მოვლენა უშუალოდ ჩემ ცხოვრებისეულ გზაჯვარედინზე გაივლის ხოლმე. უფრო ნათლად რომ წარმოვაჩინოთ სათქმელი, ერთ პატარა ამბავს გიამბობთ, რომელიც ძალლს უკავშირდება.

იმ დილით, ქუჩაში რომ გამოვდიოდი, კარგა გვარიანად ციოდა. ღამის ნათოვარზე აბრდლვიალებული მზე გულის ძარღვებს ითბობდა. თოვლი ქვითინებდა, ცრემლად იღვრებოდა, სევდიან განწყობილებას ბადებდა.

საბურთალოზე, ზოოლოგიურ მაღაზიასთან შევნიშნე, რომ საპი-



რისპიროდ ერთი კულტურული გარეგნობის ხანდაზმული უმაღლესობის მოდიოდა, რომელსაც ტყავის თასმაზე გამობმული პატარი იაპონური ძალი მოჰყავდა. მე ხშირად მინახავს ასეთი ფინია და, ალბათ, თქვენც შეგხვედრიათ, აი ასეთი, ზოგიერთებს შინ ფანჯარაზე რომ უზით ხოლმე. როდესაც პატრონი და მისი ძალი მომიახლოვდნენ, ამ დროს იქვე მდგარმა ვიღაც გორელმა დარღიმანდმა, ცოტა ნასვამა თუ შეზარხოშებულმა ოფიცირის ჩექმიანი წილი მოიქნია და ძალს ფერდში დააძვერა. ძალლმა შესაბრალისად გაიწევუტუნა, გაიწელა და სადღაც შორს ტელევიზიის ეზოში დაეცა. პატრონი შეცდა, მეტისმეტად შეწუხდა. განრისხდა კიდეც. შე რევენო, უსაქმუროო, უყვირა თავდამსხმელს, რას გიშლიდა, საბრალო არსება.

— ვინაა უსაქმური? — კბილებში გაცრა უცნობმა, — უსაქმური რომ არ იყო, ძალს ასეირნებდი? ძლივს მოვიგერიე, ამ საზიზლარმა კინალამ დამგლიგა.

არა და, რისი ან ვისი დამგლეჭი იყო, ის უბედური, ცოცხალი წონა სულ დიდი-დიდი ორასი გრამი თუ გმოვიდოდა.

— სად დაცა, ის მაინც მითხარი, — ღელვედა ძალის პატრონი.

— რა ვიცი, ალბათ, იქ, ტელევიზიის ეზოში.

— სახედარი ხარ, სახედარი, რა უნდა გელაბარაკო, — თქვა ძალლის პატრონმა და იქით გაეშურა, სადაც მოსულიერების მიზნით მომაკვდავ ფინიას პატარა ბიჭუნა ხელში ატრიალებდა. მოხუცმა ძალი ტაქსში ჩასვა და საავალმყოფოში გააქანა. ექიმები ამაოდ ეცალნენ მის გადარჩენას, სიცოცხლისა უკვე არაფერი ეცხო. მე რომ არ მეთქვა, ვერც თქვენ გაიგებდით, რომ შინ იმ კაცს, იმ ძალლის მეტი გამრთობი სხვა არავინ ჰყავდა. უკანასკნელი მეგობარი და გულის იმედი სწორედ ის იყო. ვიღაც ჰქონათმყოფელმა კი წუთისოფელს ასე უაზროდ განარიდა და მოხუცებულს ცხოვრების მიზანი წაგლიგა.

ეს ერთი. ახლა მეორე ძალლის თაობაზე სხვა ამბავს გიამბობთ:

— გამარჯობა! — მიესალმა პეტრე გზაჯვარედინზე მდგომ გლეხს — დილას აქეთ აგერ ვტრიალებ და ვერავინ ვნახე, რომ ვკითხო. განაყველა საქმის რა ისეთი მოყვარულია, რომ ამხელა სოფელში კაცი ვერ ვიპოვე?

— რას იზამ, ახლა ისეთი დროა, თუ არაფერი გააკეთა კაცმა, ზამთარში ტაბლაზე შინ ვინ რას მიართმევს? მეც აქვე, ახლოს მაქვს ვენახი და პურის საჭმელად ამოვედი. მითხარი, რა გაინტერესებს?

— თუ დამაცდი, გეტუვი, — თქვა პეტრემ და დაიწყო, — კარგად

მოგეხსენება, რომ უძალლოდ მწყემსი ცხვარში არ ვარგა. ცხვარი კი/ მგლისთვის მუდამ სახელდახელო ლუკმაა. სამი ძალი გვყავლების მომავალში ზე რა მოგახსენო, მაგრამ იმ ერთს ხუთი მგელი ჰყავდა დახრჩობილი. მგელი იმისთვის ტურასავით უსუსური იყო. ხომ იცი, მგელმაც თავისი დრო იცის, მთაში ავალთ, იქ მოგვყვება, ბარად ჩამოვალთ, ჩამოგვყვება. ჰო, იმას ვყვებოდი, მთაში ასვლის პირველ დღეს მოიღრუბლა და ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა. კარგი ძალი რომ მყავდა, იმ ღამეს დათვებმა დაგვიგლიფეს და ერთი კვირის შემდეგ თქვენი ჭირიც წაიღო. საკუთარი მოვალეობის დიდებული შემსრულებელი იყო. ფარაში ხუთი მწყემსი ვართ და ხუთივე დიაცებივით ვტიროდით. გავუთხარეთ სამარე, დავისაფლავეთ, ისე როგორც მას ეკადრებოდა. დავუკალით ცხვარი და შენდობა ვუთხარით. დავთქვით, რომ რომელი მწყემსიც მოხვდება ჩვენგან მთაში, ყოველ გაზაფხულზე მივიღნენ და შენდობა უთხრან. ამის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ რაც არ უნდა დამიჯდეს, ერთი კარგი ძალი ვიყიდო, გინდაც ეზოსი იყოს და მივაჩვევ ცხვართან.

— არ ვიცი, ამ სოფელში მწყემსები ბევრნი არიან თუ არა, იმათთან უნდა იქითხო, მაგრამ, ჯერ ერთი, რომ შინ არ იქნებიან, მეორეც კარგი მწყემსი კარგ ძალს გასაყიდად ვერ გაიმეტებს.

ორი კვირის წინ მთაში მივდიოდით და ცხვარი იქ ამოვატარეთ. არ მახსოვს, ვგონებ, ამ ადგილებში იყო, ზევით თუ ქვევით, გამოვარდა ეზოს ქოფაკი, საქმაოდ ტანადი, რომ იტყვიან, გრძელებეწვიანი, სუფთა, მოსაწონი, ერთი სიტყვით, გამაოცა მისმა სისწრაფემ, გულიანობამ, გაბეღულობამ, დაუთმობელმა ხასიათმა. მითუმეტეს, სამნი ვიყავით, რომ მივარდა, ისე გაბეღულად დაერია, რომ კინაღამ ჩემს ძალებზე გული ამაყრევინა. ეს იყო წამის ამბავი. ჯერ სუსტებს გადაუარა, გადათელა, ისე სწრაფად მოუტრიალდა ბანდოს, რომ იმან ვერც კი მოასწრო მეგობრების მიშველება. ხან ერთი იყო ქვეშ, ხან მეორე. ერთი სიტყვით, თითქოს გულში ერთიმეორის მიმართ დიდი მტრობა ჰქონოდათ ჩადებული და ძველ ჯავრს ახლა იყრიდნენ. ატყდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. უნდა ითქვას, რომ ღონით ჩემი სჯობდა და მეგონა, როგორც მგლებთან გამოცდილს, ვერაფერს დააკლებდა, მაგრამ სისწრაფით იმან აჯობა. მოსცილდნენ თუ არა ერთმანეთს, შუაში ჩავდექით. თითქოს ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. მოვუტრიალდით ცხვარს და ეს ისევ საიდანლაც არ გამოძრა? ამ უკანასკნელმა ბანდოს დაასწრო და რო

ჩასჭიდა ყელში პირი, კისრის მობრუნების საშუალება არ მისცა. წყალიც მივასხით გზისპირზე, რუშიც ჩაცვივდნენ, მაგრა შეატარდნენ მიხრჩობს ძალლს. ერთი დარტყმა სამწყემსო ჭოხიც დავარტყი, ვერ მოვაშორეთ. ბოლოს, მე და ჩემმა ამხანაგებმა ფეხებში წავავლეთ ხელი და ასე დავაშორეთ ერთიმეორეს. საწყალმა ძლივს მოითქვა სული. იმ ძალლის პოვნა მინდა, იმას დავეძებ, თუ გაყიდის, ყველს, მატყლს, თუნდაც სამ ცხვარს მივცემ.

— რა ფერის ძალლი იყო? — იკითხა გლეხმა.

— თეთრი, კავკასიური ნაგაზი.

— შეიძლება მამუკა ძიას ძალლი იყო, წავიდეთ, ვნახოთ.

მივიდნენ, დაუძახეს, მამუკა შინ დაუხვდათ, გაუღო ჭიშკარი, შევიდნენ. მწყემსმა დაინახა თუ არა, მაშინვე თქვა: ეს იყო, მანამდე ძალლმა უცხო შენიშნა თუ არა, იმწამსვე აიფოფრა. მასპინძელმა კითხა:

— რა გნებავთ? რისთვის მობრძანებულხართ?

— ძია, ხვადია ხო ეს ძალლი? — კითხვას კითხვითვე უპასუხა პეტრებ.

— კიი, ბატონო!

— უნდა მოგვყიდო!

— არა, გენაცვალე, ამას ვერ შეველევი. თითქოს ძალლი გრძნობდა, რომ უცხო პირი სავაჭროდ იყვნენ მოსულები. სხეული დაეხაბა და თვალებიდან რისხვის ნაპერწკლებს ყრილა.

— ძია, კაცო, უნდა დამითომ, რასაც დააფასებ, მოგცემ!

— არა, ძალლი კი არაა, ოჯახია და შენ რა უნდა მოგცე?

ამ დროს საიდანლაც გამოცუნცულებული პატარა ლექვი მწყემსს ხან შარვალზე დაეკიდებოდა, ხან წინდაზე.

— ეს ლექვიც კარგი გაიზრდება, — ჩაილაპარაკა მწყემსმა.

— თუ მოგწონს, ლექვს გაგატან.

— ეს სანამ გაიზრდება, შემოჩეული მგელი ცხვარს სულ გაზიდავს და მერე ძალლი რად მინდა?

— იფიქრე, ძია კაცო, მე ზეგ ამოვივლი, მოგაკითხავ, პასუხს გავიგებ. თუ თანახმა იქნები, წავიყვან კიდეც.

— მერე, დაგემორჩილება? როგორ წაიყვან?

— მაგას მე მოვახერხებ, — თქვა და გამოსასვლელი კარი გააღო.

— მოიცა, ეზოში შემოსული სტუმარი ხარ, ისე როგორც გაგი-



შვებ, კაცს თავი გინდა მომჭრა? იტყვიან უპურმარილო კაცი და უკანონო ლაო, — ხელი წავლო და ორივე შინ შეიძატიჲა.

გავიდა რამდენიმე დღე და პატრონმა ძალი გაყიდა, არ უნდოდა, მაგრამ მწყემსმა აიძულა, გაეყიდა.

ძალის გაყიდვიდან ორი თვე არ იყო გასული, რომ ამ ოჯახზე მოულოდნელმა უამმა გადიგრიალა. გარდაიცვალა მარტო დარჩენილი ბიძა კაცი. გათხოვილმა ქალებმა გაინაშილეს მისი უძრავ-მოძრავი ქონება. მეზობელ სოფელში გათხოვილ უმცროს გოგოს დარჩა ეზობალჩა თავისი სახლით და იმანაც სხვაზე გაყიდა და ლეკვიც იმას დაუტოვა, მაგრამ საბრალო ოთხფეხს ახალი პატრონი კარ-მიდამოში არ აჩერებდა, ჰიშერის გარეთ გამოაგდებდა ხოლმე და ეტყოდა, მანდედან მიყარაულეო. პატივმოყვარე ლეკვა უდიერად მოპყრობა ვეღარ აიტანა და პატრონს განერიდა. იქვე ახლოს სასადილო იყო და იქ მიეკედლა.

ოჯახის სხვა წევრები კეთილად განწყობილები იყვნენ ძალის მიმართ და ქუჩაში მისი გაგდება არ სურდათ. მშობელი მამა ამ ძალის მიმართ ისეთი ზიზღით იყო შეპყრობილი, პატარები, წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ. მაგრამ, როგორც კი გარეთ გაიგულებდნენ, უმალ გაულებდნენ კარს ლეკვსა და ეზოში შეუშვებდნენ. გახარებული ძალიც გაეთამაშებოდა ბავშვებს, მაგრამ როგორც შემოვიდოდა სახლის პატრონი უმალვე ჭოხით დაედევნებოდა. ერთხელ, მოსაკლავად თოფიც შემართა. მეუღლემ ხელი აუკრა და ტყვიამ ჰაერში გაიწიგლა. ძალს შეიძლება არც უნდოდა ქუჩის მაწანწალა გამხდარიყო, მაგრამ დრო ყველაფერს გააძევინებს, არამც თუ ძალს, ადამიანსაც. ახლა იგი სხვის ხელში შემყურე იყო და შემსვლელის თუ გამომსვლელის ხასიათს უნდა აჰყოლოდა. ძალია, თორემ ზოგიერთ ადამიანზე უკეთესი მეგობარია და მგრძნობიარეო, ამბობდნენ გლეხები.

ზამთარი მოახლოვდა. ბუფეტში მომსახურემ უთხრა დამლაგებელს — ცოდოა, ლეკვს სცივა, ხვალ ჩვენთან გაგგზავნი, სახლიდან თექის ნაჭერს გამოგატანენ და გარეთ კიბის მოედანზე დავუფინოთ, დამით რომ თბილად იყოს.

დრო გადიოდა და ერთხელაც მთვრალები გამოდიოდნენ სასადილოდან, ის ავყია სახლის მეპატრონეც მათში ერია. ლეკვი რომ დაინახა, დაარტყა ლონივრალ წიხლი და კარგა მანძილზე გადააგდო. ბუფეტის მეპატრონე გასული იყო და ვერ დაინახა, ლეკვი კი წკმუტუ-



ნით ძლივს წამოდგა. მიტრიალდა და ავისმექნელს ცრემლიანი კულტურული ბი მიაპყრო, თითქოს გულში ამბობდა: რა უნდა, რას გადაშევისული ერთი პირობა, შებრძოლება უნდოდა, მაგრამ ჯერ პატარა იყო, კუნთ-გაუმაგრებელი და ვერ გაძედა. ლეკვი რაღან აქ ეგულებოდა, ხში-რად განგებ შემოივლიდა ხოლმე, რომ გაემწარებინა. რამდენჯერმე დამლაგებელმა გააფრთხილა, მებუფეტემაც გამოლანდა, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა. ერთხელ, გამწარებული ძალი სასადილოს სტუმარმა დარბაზში შეიყვანა, პილბილის გარეშე ერთი კილო ხორ-ცის გემრიელი ულუფა დაამზადებინა და სულ იმას აჭამა, რა ვქნა, წავიყვანდი, მაგრამ მეც არა ვარ სახლში და ვინ მოუვლისო. დანა-ყრებულმა ლეკვმა მასპინძელი მანქანამდე ალერსიანად მიაცილა და მისი თვალები ისე საბრალოდ იცქირებოდნენ, თითქოს ემუდარებო-და, წამიყვანეთ თქვენთან.

ამის შემდეგ უცხო სტუმარი სასადილოში აღარ უნახავს გამვლე-ლებს. მომდევნო დღეები სანთლებივით ქრებოდა. ავყია კაცი არ მო-ეშვა, ძალი აიძულა მიეტოვებინა სასადილო. ძალმაც სოფლის ბოლოში ავტობუსების გაჩერებაზე მგზავრების მოსაცდელი იდგა და იქ გადაინაცვლა, დღე და ღამეს იქ ატარებდა. სხვის ხელებში შემ-ყურე, ავტობუსში ამსვლელ-ჩამომსვლელთ თვალებით აცილებდა. თუ შეამჩნევდა ისეთ პიროვნებას, რომელიც ადრე პატივისცემით მოპყრობოდა, სიხარულით ივებოდა, გაეთამაშებოდა კუდის ქიცი-ნით და თათის შემოდებით აგრძნობინებდა, კარგად მახსოვს შენი გულებითილობაო. იმასაც თუ საიმისო რაიმე ჰქონდა, ამოილებდა ჩანთიდან და დიდი პატივისცემით მიართმევდა. მეზობელ სოფლიდან სკოლაში მიმავალი ბავშვები ხელჩანთებით იდგნენ და ნაყინს მი-ირთმევდნენ. ძალი კუდის ქიცინით შეჰყურებდა მათ. ბავშვმა ვერ აიტანა ძალის საცოდაობა, ჩაიყო ჯიბეში ხელი, ფული ამოილო და გაუწოდა ნაყინის გამყიდველს.

— მომეცი, ერთი კიდევ, — მიმართა მტკიცედ.

— რა არი, ბიჭო, ჯერ ეგ არ შეგიჭამია და მეორეს მთხოვ?

— კი არ გთხოვ, ვყიდულობ, შენ რა, გასაყიდად არ გინდა? რა მოხდება ერთი ნაყინი ძალს რომ შეაჭამო.

— სწორედ მაგის გულისათვის დავათრევ ამხელა ყუთს.

ბავშვს ჯერ ნაყინი გამორთმეული არა ჰქონდა, რომ მენაყინეს წინ მანქანა გაჩერდა და გადმოვიდა ქალი. იყიდა ორი ნაყინი. ძალმა ეს ქალი იცნო და მოფერება დაუწყო, მიჟყვა მანქანამდე. ნაყინი სა-



ჭერები მჯდომას რომ გადააწოდა, ძალლმა შეხედა, ეს კაციც იცნობოდა პირველად დაულრინა. გადმოვიდა მძღოლი მანქანიდან, გამოკიდება ვერ გაბედა, მაგრამ ქვა კი ესროლა.

— რა არის, ძია, მაგის ჭერისა ხარ? — ზიზღით მიაძახა ბავშვმა.  
— შენ აქ სასწავლებლად ხარ მოსული თუ სალაზღანდაროდ?  
— ეგ არ არის შენი საქმე, მე შეიძლება ჩემს თავს ვაკლებდე, მაგრამ სხვას არაფერს ვერჩი.

— ჰოდა, სწორია ბავშვი, ძალლს რას ერჩი, — უთხრა მძღოლს გვერდით მჯდომმა.

— იცანი, ეგ შენი და შენი შვილების სანაქებო ძალლია.  
ბიჭუნამ დაუძახა ძალლს და მთელი ნაყინი იმათ თვალშინ შეაჭამა ხელით მოეფერა და უთხრა:

— შეჭამე, ცუგა, ნაღვლიან გულს დაგილბობს, ის რა ცუდი ძია იყო, არა?

გაჩერებასთან საშუალო სქოლა ახლოს იყო და მეზობელი სოფლიდან მოსული ბავშვები გაკვეთილების შემდეგ შინ წასასვლელად იქ გამვლელ ავტობუსებს ელოდებოდნენ და წასვლამდე ძალლს ეთამაშებოდნენ ხოლმე. ისე გამოწვრთნეს, ხან ორ ფეხზე დადგებოდა, ხან კუდის ქიცინით და მიხვრა-მოხვრით გაეთამაშებოდა, ხან თითქოს იცინდა, მის თვალებში სიხარულსაც ამოიკითხავდით. ამის გამო ბავშვებმა მასხარა შეარქვეს. ეს ადგილი ისედაც ხალხის თავშეყრის ადგილი იყო და დილით, სამუშაოზე წასვლის წინ, უფრო სწორედ, საუზმემდე, გულის გადასაყოლებლად გამოსულებთან იდგა ყოველ დღე და უკანა თათებზე ჩამომჯდარი, ყურებდაცქვეტილი შესციცინებდა, თითქოს ყველა სიტყვის მნიშვნელობა ესმისო. დრო ინსტინქტით ქვენდა გამოზომილი, თუ რომელმა მასწავლებელმა როდის უნდა გაიაროს, ან რომელმა მძღოლმა, რა დროს უნდა გააჩეროს ავტობუსი აქ, ამ გაჩერებაზე.

ამ ამბავთან დაკავშირებით, ერთი მნიშვნელოვანი ამბავიც გამასხენდა:

მივლინებაში მყოფმა ნატანების რკინიგზის სადგურში ბილეთი ავილე თბილისში წამოსასვლელად და მოსაცდელში დაცხექი. მატარებლები ბათუმის მიმართულებით მიდი-მოღიოდნენ. იქ, იმ ადგილას მანამდე არც ერთი ძალლი არ ტრიალებდა. მოახლოვდა ბათუმი-მოსქოვის მატარებლის ჩამოდგომის დრო თუ არა, ერთი უცხო მგზავრი მომიახლოვდა და მეუბნება:



— შეხედე, რამდენმა რონოლდმა გაიარა, არც ერთი ძალა იყო, აი, ახლა ხედავთ რამდენი გროვდება? ეს იმიტომ, რომ ისეთი მატარებელი უნდა ჩამოღეს, რომელშიც ვაგონ-რესტორანია. მზა-რეული ძვლებს და ნარჩენებს გადმოუყრის. მერე ერთმანეთს და-რევიან. ისიც მათი ჩხუბით ერთობა. ხომ ხედავ, ზოგი კოჭლობს, ზოგს ყური აქვს მოგლეჭილი, ზოგიც ბრუციანია.

ეს ამბავი მოვისმინე თუ არა, უმალ დავრწმუნდი მის ჭეშმარი-ტებაში.

ახლა ისევ ჩვენს მასხარას დავუბრუნდები:

ივნისის შუადღის გული იყო და გაჩერებაზე ქალი მოვიდა ბავ-შვით. ბავშვი კევს ღეჭავდა, ძალი ალერსიანი თვალებით შესციცი-ცინებდა. ბავშვმა ბეწვზე ხელი გადაუსვა და სიყვარულით მიმართა:

— რაო, ცუგო, გშია? პურს არა ვჭამ, ეს კევია, თუ დაღეჭივ, მოგცემ.

— შვილო, ხელი გაუშვი, მაწანწალა ძალლია და არაფერი გადაგე-დოს, — თქვა დედამ და ძალლს ზიზლი შეაგება.

მასხარამ ვერ აიტანა ეს შეურაცხყოფა, თვალებში ცრემლები მოეძალა, განაწყენებული წავიდა, მოსაცდელის კუთხეში ღაწვა და ფიქრში წასულს ჩაეძინა. საღამოხანს გრილმა ნიავმა დაუბრერა. ბალ-ვენახებში შრომით დაღლილი ხალხი სახლისაკენ მიეშურებოდა. გზის ნაპირზე მდგარი მასხარა ამვლელ-ჩამომვლელს ისეთი თვალებით უცქერდა, თითქოს ვახშმისათვის ხელი აქვს გაშვერილიო. რამდენი-მემ თბილი სიტყვა უთხრა, პური კი არ მიაწოდა. მშეერი კუჭი ამით ხომ ვერ დანაყრდებოდა. მძღოლები კეთილი განწყობით იყვნენ ამ ძალლის მიმართ და მოსვლისთანავე გაჩერებაზე მგზავრებს კი არა, პირველ რიგში ამ ძალლს მოკითხავდენ. წინა დღეს მეზობლის ქ-ლების ნარჩენებზე ნაქეითარი მზეს დამალვია, მოთელილი მაყვლის ბარდის ქვეშ შემძვრალა და ტკბილად ჩასძინებია. ავტობუსი ჩამოდ-გა და ძალლმა შეხვედრა რო არ მოუწყო, მძღოლმა მოკითხა, სამი წუთი დაელოდა და დაუძახა, ძილში შესულს გამოეღვიძა და სალმის მაგივრად კუდის ქიცინით და მხიარული ყეფით შეეგება.

— მასხარავ, დღეს მე და შენ თელავში ქორწილში ვართ დაპატი-ჟებული. შენ ჩემს ავტობუსს უყარაულებ და საჭმელებს მე თავად შეგირჩევ. მოვრიგდით, ამოდი ახლა!

ავტობუსში მჯდომმა მგზავრმა მძღოლს დაუძახა:

— მოაცილე აქედან! ძალას რა უნდა ავტობუსში და დარჩენენ წადი!

- რა გინდა, ძალი ჩემთან არის, შენს გვერდით ხომ არა ზის?
- გაიგე, ამხანაგო, ავტობუსი ხალხის სამგზავროა და არა ძალაში.

ავტობუსი დაიძრა.

— გააჩერე, უნდა ჩავიდე, — აიჩემა მგზავრმა.

— კი, ბატონო, ახლავე.

ავტობუსი გაჩერდა.

— გთხოვთ, ჩასვლას დაუჩქაროთ, მე და ჩემს ძალას ქორწილში გვავიანდება.

— შენ ხომ არაფერი გეშლება? — გაცეცხლდა მგზავრი.

— მე მგონი, არაფერი შემშლია, — უფრო დამშვიდდა შოფერი.

— მაშ, ეს რა არის? ჩავიდე, ძალი კი წამოვიდეს ქორწილში?

— მასპინძლებისაგან დაპატიჟებულია, და რა ვქნა, არ წავიყვანო?

— მერე, მე რა, დაპატიჟებული არა ვარ?

— მე ხომ არ გაგდებთ, თქვენ თქვით, გააჩერე, უნდა ჩავიდეთ.

— თავხედი ყოფილხარ, მეტი არაფერი. გამომიჭირე ხომ, მანქანა რომ გაფუჭებული მაქვს.

მძლოლმა ჩაყლაპა ეს შეურაცხოფა და ავტობუსი კვლავ დასძრა. ამ საუბრის დროს მასხარა ხან მძლოლს შეხედავდა, ხან იმ კაცს. იცნო ის მოკამათე ვინც იყო, მაგრამ არ შეუმჩნევა. იჯდა, მძლოლის გვერდზე წინა თათებზე დაყრდნობილი, ამაყად ეჭირა თავი და იქით-აქეთ ისე ათვალიერებდა გარემოს, ავტობუსის მგზავრები განცვიფრებაში მოჰყავდა. დროდადრო მასხარა უკან, იმ ნაცნობ ღვარძლიან კაცს დანაღვლიანებული თვალებით გადმოხედავდა ხოლმე, მაგრამ მძლოლი გასამხნევებლად მალიმალ თავზე ხელს გადაუსვამდა და აგრძნობინებდა დაწყნარდი, გული არ მოგივიდესო.

გაზაფხულის თბილი ამინდი იყო, ხალხი მინდვრებს შესეოდა. ამის გამო, ავტობუსებზე მგზავრთა მიმოსვლა ნაკლები იყო. მარტო-ობას შეურიგებელი, კარგა გამოძინებული ძალი ხმის გამცემს ეძებდა. შენიშნა თუ არა ხელჩანთებიანი ორი გოგონა, გაჩერებასთან შეეგება და უკან გამოედევნა. გოგოებს ხმა არ გაუციათ ძალისათვის, წყნარად დასხდნენ სკამზე და ერთი-მეორესთან თავიანთ საჭირობოროტო საქმეებზე გააბეს საუბარი. ძალას ადამიანის მოფერება

უნდოდა და რომ ვერავინ ნახა, თავად ეახლა ამ გოგოებს, ქალთაში  
თავი ჩაუდო და მერე დაუწყეს მოფერება. ძაღლს თვალებზე უკარებენ  
ლები მოადგა. ეს ცრემლები გამგებთათვის მრავლისმეტყველი იყო.  
მე კი ასე გავიგე, თითქოს ეხვეწებოდა, წამიყვანეთ შინ, მიმსახურეთ  
და მიპატრონეთო. ამ დროს ავტობუსიც ჩამოდგა. ჩასხდნენ გოგო-  
ნები, ავტობუსი დაიძრა, ძაღლმა თვალები გააყოლა, იმედი გაუ-  
რუვდა, მაგრამ მოფერებით მაინც კმაყოფილი დარჩა.

შე ცის დასავალს უახლოვდებოდა, გარემო ფერს იცვლიდა.  
ადამიანის მოდგმას დროებით წუთისოფელში უღამდებოდა. ძაღლი  
გზაზე იდგა და გამგლელ-გამომვლელს თვალ-ყურს ადევნებდა. ერ-  
თმა გზის ნაპირზე მიიპატიუა და მუშების დარჩენილი ხორცანი  
კერძით გაუმასპინძლდა, მოეფერა, შენთვის წამოვილე, კეთილო  
და ერთგულო, ხო დამიჯერებო. დანაყრებულმა მასპინძელი რომ გა-  
აცილა, ველარ მოზომა და გადასარბენ გზაზე მანქანა გვერდიდან და-  
ეჭახა. დავარდნილი ძლიერს წამოდგა, საწყალობლად წკავწევებდა.  
მძლოლი გადმოვიდა, შეგროვილ ხალხთან ბოლიშს იხდიდა. ზოგი  
საყვედურობდა, შე დალოცვილო, აქელა ძაღლი რომ გადადიოდა  
ვერ დაინახეო? ზოგიც, არა უშავს რა, ძაღლია, გაიმართებაო.

მძლოლმა იკითხა:

- ალბათ, აქ ახლოს ცხოვრობს ამის პატრონი, არა?
- პატრონი საღა ჰყავს, მაწანწალა ძაღლიაო, — უპასუხეს.
- თუ პატრონი არა ჰყავს, მე წაიყვან. ექიმს ვანახებ, თუ არა-  
ფერი აქვს მოტეხილი, მაშინ ჩემთან იზეიმებს ახალმოსახლეობას.

ამის თქმა და დაედევნა დასაჭიროდ. პირველ ხანებში ძაღლი გარ-  
ბოდა. იცოდა, რომ ეს კაცი იმ მანქანიდან იყო გაღმოსული, რომე-  
ლიც დაეჭახა. მოფერებამ და ტკბილმა სიტყვამ თავისი გაიტანა.  
მძლოლი მიეწია, დაიჭირა კი არა, უფრო სწორად, დანებდა. ჩასვა  
მანქანაში და წაიყვანა. წაიყვანა და საღ? ამავე სოფელში. თურმე ამ  
უცხო კაცს ამ რაიონში უმუშავია და მოსწონებია ეს სოფელი,  
უყიდია განაპირა სამოსახლო და დასახლებულია. ძაღლმა პატრონის  
კარმიდამოს სუნი რომ იგრძნო, გაიხარა და დღითიდლე ფერს იცვ-  
ლიდა. ბავშვებიც ცხოველების მოყვარულები გამოდგნენ. ხშირად  
ეთამაშებოდნენ. ძაღლი გაიზარდა, ისეთი დადგა, რომ ცხენიან კაცს  
ძირს დასცემდა. ძაღლს დრომ მოუტანა დამცირება, აბუჩად აგდება,  
ქუჩა-ქუჩა წანწალი, ბედნიერებაც დრომ არგუნა.

... დადგა დღე, ჩამოსახლებულმა კაცმა ახალმოსახლეობა უნდა



იზეიმოს. ეზოში სამოც კაცზეა სუფრა გაშლილი და ორმოცდა უადგილობრივი ჰყავს დაბატიუებული. ეზოს კარი ღიაა და ძაღლური ურავივით დგას ჭიშკართან. შემოვიდა სასადილოს მებუფეტე თუ არა, ძალლი მის წინ თაოებზე დადგა და უკან-უკან სვლით შემოუძლვა. იცნო გამგემაც. თავზე ხელი გადაუსვა რამდენჯერმე. მოეფერა, შენ აქა ხარ, ჩემო ყურშა, რამხელა გაზრდილხარ. ახლა ხომ კარგი პატრონი გყავს, ხომ კარგად გივლის? ძალლმა პატრონისაკენ გადაინაცვლა, თითქოს უნდოდა ენიშნებინა, ეს არის ჩემი მეუფეო. იმანაც უამბო როგორ მოხვდა ეს ძალლი ამ ეზო-ყურეში. შემდეგ ძალლმა მეორე მომსვლელისკენ გაიხედა, მოულოდნელად მოსწყდა აღგილს, ფეხში ისე სწრაფად ეცა და დააგდო, რომ პატრონი არ ყოფილიყო, ისე დაგლევდა, კაცი ვეღარც აღგებოდა. სახლის პატრონმაც ჭოხი მოიხელთა, გამეტებით დასცხო და ძალლი წკაცწკავით განზე გააგდო. გამწარებულმა პატრონს უდიერად შეხედა, თითქოს და სურდა ეგრძნობინებინა, ამხელა სოფელში სხვა ვერავინ ნახე, ამის მაგიერ დაგეპატიუაო? ძალლის პირიდან გამოცლილი კაცი ფეხზე აღვა, ნაგანი დააძრო, უნდა მოვკლაო. იქ სხვებიც ჩაერივნენ. ერთმა ისიც კი უთხრა ხუმრობით, შენ არ დააცადე, ძალლი პატრონს ერთგულებას ეფიცებოდაო, დაზარალებულ სტუმარს ჯაგრისით გაუწმინდეს კოსტუმი, შარვალი და ცოტა არ იყოს, დაამშვიდეს. მოპატიუებული სტუმრები დასხეს და გვიან ღამემდე ტკბილად შეექცეოდნენ. ზოგი მეტად დათვრა, ზოგი ნაკლებად. რაც მთავარია, ამ ერთის გარდა უველამ მოახერხა შინ წასვლა. და მთვრალს გაახსენდა და დადაიყინა, ძალლი მომიყვანეთ, უნდა მოვკლაო. მასპინძელი არ ანებებს, სიტყვას სხვაგან მოუტრიალებს, რომ ჩაათვავებენ, მერე ისევ გაიხსნებს, არა, უნდა მოვკლაო. ხელში ისევ ნაგანს ატრიალებს.

მამამ ბავშვებს უთხრა:

— ძალლი გადამალეთ, მართლა არ მოკლას.

ბავშვებმა ბევრი ექებეს, მაგრამ ძალლი ვერ იპოვეს. ძლივს, მოფერებით, ხვევნა-კოცნით მოაცილა მაგიდას სტუმარი მასპინძელმა, უნდოდა სახლამდე მიეცილებინა, მაგრამ მან სასტიკად იუკადრისა: მე რა მთვრალი ვარ, ვერ წავალო? რა მოხდება, ერთხელ ფეხით ვიაროო. ასე დასცილდნენ ერთიმეორეს, ჩაკეტეს ჭიშკარი და სუფრა რომ მიალაგეს, დიდი და პატარა ძილი მიეცა. ჭერ კარგად არ იყო გათენებული, ეზოს გადაღმიღან დაიძახეს. გავიდა ოჯახის უფროსი. შენი ძალლი სად არისო, კითხეს. აქ იქნება, სხვაგან სად უნდა იყო-



სო. ახლა პატრონიც დაინტერესდა, რა არის, რა მოხდაო. რა ეფუძნების ქველის თქვენგან სტუმარი რომ წამოსულა, ძალლებს დაუხმობათ. მობრძანდით, ერთად ვნახოთ, რომ მერე რაიმე მიზეზად არ გახდეს. მივიღნენ, ბუდრუგანა დაათვალიერეს. ძალლი შიგ იწვა მოწყენილი. პატრონმა დაუძახა, მაგრამ კარში არ გამოუხდავს. ისეთი გულაყრილი თვალებით იყურებოდა, სადღაც რაღაც ჰქონდა ჩადენილი და ამ ჩადენილ ცოდვას თითქოსდა პატრონს აბრალებდა. ამბის მომტანმა ეს კარგად შეამჩნია და ერთი კი უთხრა:

— მოზრდილი ლეკვი იყო, მე რომ ვნახე, ახლა ეს ძალლი თავის ადრინდელ ხასიათზე არ არის.

პატრონმა უკეთ იცოდა მისი მოქმედება, მაგრამ ახლა ასე სჭირდება და მოსულს უმტკიცებს, არა, ეს ძალლი სულ ასეთი ჭკვიანიაო. მერე იმის მტკიცებაც დასჭირდა, ჩემს კარმიდამოს კარგად უვლის, შეხედე, რა მაღალი გალავანი აქვს ეზოს, საიდან უნდა გადამძვრალიყო.

— არა, ძალლი რო უხასიათოდ არის, რა მიზეზია? — იკითხა მოსულმა.

— რა ვიცი, შეიძლება ავადაა, — დაასკვნა მასპინძელმა.

მოსულმა ადგილიდანვე გალავანს თვალი მოავლო და ჩაილაპარაკა:

— არა, გალავანზე ვერ გადახტებოდა.

პატრონმა დაუინებით უთხრა:

— წამო, თუ არ გჯერა, გავიაროთ და დაათვალიერე, გადასაძრომს ვერსად ნახავ.

წავიდნენ, შემოიარეს, ნახეს გალავნის ერთ ჩავარდნილ კუთხეში მიწა გამოლებული ჩანდა. შორიდან შეუმჩნეველი იყო, მაგრამ ორი მეტრის დაშორებით, რომ მივიღნენ, ნახეს, ჩადაბლებულ ადგილზე ძალლს გაუკეთებია გასაძრომი. პატრონმა თავი გააქნია და თქვა:

— განა რა ჯავრი ჰქონდა ჩადებული გულში იმ კაცის, რომ გასაძრომად ასე თავგამოდებით უმუშავია?

ძალლმა კი იძულებით ჩადენილ თავის დანაშაულზე იდარდა და ერთი კვირის თავზე შიმშილობით სული განუტევა. იმ დაბალ ადგილზე გაუჭრეს სამარე და ბავშვებმა პატივით დაასაფლავეს.

შემოდგომის ბოლო თვე იყო. ყოველ ცისმარე დღეს ზამთრის ფერი ედებოდა, მზეს სითბო და სიცოცხლე უმოკლდებოდა. ორი წლის უნახავ ბებიახემზე კაცის-კაცით მომაწვდინეს ხმა, ავადაა და გნატრობსო. ავტოვაგზალში ბილეთი ავიდე და პარასკევს სამსახურის საქმეების დამთავრების მერე გასამგზავრებლად მოვემზადე.

ავტობუსში ხალხი ხმაურობდა. ყველა რალაცას ამბობდა, ამტკიცებდა. თავის მხრივ მძლოლსაც ჩართული ჰქონდა მაგნიტოფონი. ასე სიცილ-ხარხარით მიჰქონდა ავტობუსი. მხოლოდ მე ვდემდი უცნაური აზრებით გარემოცული, უსიამოვნო გრძნობის მოგერიებას ძლივს ვახერხებდი.

ბებიასადმი განსაკუთრებული პატივისცემა მამოძრავებდა. ასეთ თბილ განწყობილებას ძალზე შორეულ წარსულში აქვს ფესვი გამდგარი, რომელიც ბებიას მუდმივი თანამგზავრია და მის ხანდაზმულ კეთილ გულში ბუდობს. მე მიყვარს ბებია, მიყვარს იმისთვის, რომ მის ეზო-ყურეში, მის უბეში გავიზარდე, იქ, მის კერაში დაირწა ჩემი აკვანი. განუყოფელია ბებიას ნუგეში და მისდამი განსაკუთრებული სიყვარული. ღრმად ვარ დარწმუნებული, იგი სიკვდილამდე. არ გამონელდება.

დღევანდელ მიტოვებულ კერაში ადრე გატარებულ დღეების გახსნება, რაც არ უნდა კარგ ხსიათზე და გუნება-განწყობაზე ვიყო, ყოველთვის გულში ნაღველს ჩაწურავს ხოლმე.

როგორც უკვე ვთქვი, ბებიას კალთიდან ავიდგი ფეხი და საითაც წავედი, იმედიანი თვალები თან გამყვა. აფორიაქებული სიზმრები არ მასვენებდა, ვშფოთავდი, ვწვალობდი. მერე ისევ იმედით ვივსებოდი.

წინაპართაგან რაჭაში დარჩენილ ერთად-ერთ მოხუც ბებიას ბევრჯერ ვთხოვე თბილისში ჩვენთან დარჩენა, სანამ კეთილშობილ სულს ღმერთს მიაბარებდა და შრომით გადაღლილ გულს კი მიწას. ბებიახემი ოთხმოცდაათი წლის გახლდათ და ასეთი სოლიდური ასაკის მიუხედავად საქმისათვის თავს მაინც არ ზოგავდა. მისი მარჯვენის მაღლი კერას, ცხადია, ეტყობოდა და ამიტომ ვერ თმობდა იქაურობას.

ავტობუსიდან ჩამოვედი და ჩვენი სოფლისკენ მიმავალ ბილიკს შევუდექი. ხე, ბუჩქი, ქვა, ყველაფერი ჩემზე შემომწყრალი მეჩვენა,

არ გავდა იმ ნაცნობებს, წინათ გულიანად რომ მხედებოდნენ. მგრძნი მსაყვედურობენ კიდეც, ფოთოლი არ შრიალებს, ზაფხულია და ქვაც გაყინულია, ლელეში წყალიც დამშრალა, დადუმებულა. ღობემძვრალებიც არ მხედებიან ისე, როგორც მე მახსოვდა. ირგვლივ მიღამო ჩამკვდარიყო და ნაადრევ ძილს მისცემოდა.

უპატრონო სოფელს ნადირი დაეპატრონებაო, გამიგონია, მაგრამ, რომ არც ნადირია საღმე? გუბეც კი დამშრალა, სადღაც ჩემს ბავშვობაში ღორები ბანაობდნენ. აღარც ის ცივი წყაროა, პაპაჩემი ღვინით სავსე დოქებს რომ აწყობდა.

საათს დავხედე, მომეჩვენა, თითქოს ფიქრებმა ააჩქარა ეს ღროს განმსაზღვრელი ისრები, წუთები და წამები ნაჩქარევად მოძრაობდნენ. და სიცოცხლით სავსე დღეს წინ უბიძგებდნენ.

მივუახლოვდი სოფელს — დამუნჯებულს, ჩამკვდარს, დაყრუებულს, ერთ ღროს კერაგალვიძებულს, ოჯახების სიმრავლით მზესავით მოეღვარეს.

აი ჩემი სახლიც გამოჩნდა, ბავშვობის ღროინდელი გული რომ ასე ამიმღერა.

...შებინდებულია და არსაიდან შუქი არ გამოკრთის. მხოლოდ ძალი მომეგება, მიცნო და ფეხებზე მომელაქუცა, ბალახზე გადაკოტრიალდა. მე ხელი გადავუსვი, მოვეფერე, ძალლი კიბისკენ გამიძღვა მიბიძგებდა, მალე აღიო. მეც ავირბინე. კარები შევალე, ბებიას ეძინა, ბუხარში ცეცხლი მინავლებულიყო, ძლივს ბუჭტავდა. კარში გამოვედი, ვიფიქრე, ახალი ჩაძინებულია და არ გავალვიძო-მეთქი, ძროხა მეზობელს დაება ღობეზე. გადავედი მეზობელთან, გულთბილად მოვიკითხე. მითხრეს, ბებიაშენი ძალიან ავად იყო, ახლა არაუშავსო. ამ სოფელში ხუთ ბინაში ბუჭტავდა ჭრაქი. ორ ოჯახში მოხუცებული ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. სამ ბინაში კი მოხუცი ქალები დარჩენილიყვნენ. დანარჩენი, ოცდათორმეტამღე, სერაფიმებივით იდგნენ, დუმდნენ, მომავლისკენ პირქუშად იმზირებოდნენ.

ბებიას თორმეტი შვილი ჰყავდა. აქედან ათი ვაჟი იყო. ომი რომ არ ამტყდარიყო, ალბათ, პაპაჩემის მონაგარი ახლა ერთ სოფელს მოიცავდა. რვა წავიდა სამშობლოს დასაცავად, იქიდან ოთხი ღაბრუნდა. ორი ჭრილობებმა იმსხვერპლა, ორი რუსეთში წავიდა სამუშაოდ, ერთმა იქაური ქალი შეირთო, მზარეულად მუშაობდნენ, დაქორწინებულს დენმა დაარტყა და მკვდარი ჩამოსვენეს რაჭაში. მეორე დაუქორწინებელმა ბიძამ სამოცი წლისამ დაგვტოვა. მამაჩემი ინფარქ-



ტბა იმსხვერპლა. მე დავრჩი და ჩემი და, და გათხოვდა თბელი ქადაგი ერთ-ერთი ბიძა მამაჩემზე უფროსი, ჩვიდმეტი წლისა ყოფილს, როცა ხიდან ჩამოვარდნილს სული ძირს აღარ დაჰყოლია. ერთი გაუთხოვარი მამიდა თბილისში გარდაიცვალა, მეორე ბათუმში დაოჭახებული უშვილძირიდ წავიდა ამ ქვეყნიდან.

ამასობაში ბებიას გაუღვიძია, შინ შევედი, უმალ მიცნო, გადავეხვიე, დავკოცნეთ ერთმანეთი. წამლები ჩავუტანე. არ დალია. ჩემს დღეში წამლის გემო არ ვიციო, მოიმიზეზა. უნდა ითქვას, რომ საგაზაფხულო პირი არ უჩანდა, ისე მიხრწნილა სიბერით. ცხვირსახოცით ცრემლები შევუმშრალე. კი არ ტიროდა, სიხარულის ცრემლებს აფრქვევდა. სახეზე ნათელი გადაჰკვროლა. იმ საღამოს ვერაფერი შევაჭამე. მითხრა, შენი და შენი ბიჭების იმედი მაქვს, კერას ნუს ჩააქრიბთ, მოუარეთ. სისხლისმღვრელი წლები შეგვიხვდა, თორემ დღეს სვეძლიერი კერა გვექნებოდა-მეთქი, დავამშვიდე. შუალამემდე თვალია გავატარე, მისი ჯანმრთელობა შედარებით ცოტა უკეთესი მეჩვენა, მაგრამ ვერაფერი რომ ვერ შევაჭამე, იმედი გადამეწურა. ჭიშკართან ძალიც აწერტუნდა, თუმცა, კარგად დავაპურე. ცოტა ჩათვლიმა და ჩამოვლიმა მეც. ღამის ორ საათზე გამაღვიძა, ანდერძი ღამიბარა, თავისი მწირი ქონება გაგვინაწილა. დამარიგა, დიდხანს მეფერა დაკოურებული ხელებით და გამოთხინისას სული უდრტვინველად განუტევა. გავაღვიძე ის მეზობელი მოხუცები, გადმოვიყვანე. ახლო-მახლო სოფლებში მცხოვრებ ნათესავებსაც შევატყობინე, ძროხას მივხედე, ბოლოს ბუხარი გავახურე და განრიგი შევადგინე, დეპეშები დავაგზავნე. მეოთხე დღეს, შაბათს, წუთისოფლის წინაშე ვალმოხდილი მოხუცი მიწას მივაბარეთ.

საოცრად დამწყდა გული. ხელიდან გამომეცალა მშობელი ბებია. როგორც მოხუცებმა დაატირეს, ერთ დროს კოპწია, თავმომწონე, კეთილი და საქმიანი, კარგი ოჯახის დედაბოძი, მრავალი შვილისა და შვილთა შვილის გამზრდელი, ერთ დროს დალხინებული და ომის ქარცეცხლში ჩაფერთვლილი დედაკაცი. მეზობელი სოფლიდან მოწვეულმა გლეხებმა ცხედარი გულცივად ჩადეს სამუდამო განსასვენებელში, ისე რომ არც დანანებიათ ამდენი შვილის გამზრდელი, რომელსაც ბედმა არ აღირსა გულიანი დამტირებელი საკუთარი მრევლიდან. ასე ყოფილა თურმე საკუთარ კერას რომ მიატოვებ და სხვა გან გადასახლდები. მაშინ გული ცივდება, სიყვარული ნელდება, იმას რა სიყვარული უნდა მოსთხოვო, რომელსაც თავისი ძირძველი



მიწა-წყალი იქვე გვერდით სულ რამდენიმე ფეხის ნაბიჯზე უფლებულებები რა ხდება, არ იკითხავს. მითუმეტეს, საზღვრები ლიაა, მოისურვებს თუ არა, უფლებამოსილია მიბრძანდეს, ვინ უშლის, მაგრამ ამა თუ იმ ერმა უნდა იცოდეს თავისი გენისანი, სადაც ცხოვრობს, იქ უნდა ჰქონდეს სააქაო და საიქიო ბუდე ჩადგმული, რომ გაჭირვების თუ დალბინების უამს თავის ერს ფეხი აუწყოს. ქართველი ერი წინაპრის მხრებზე დგას, იმ წინაპრისა, რომლებმაც მახვილით შეგვინარჩუნეს სიცოცხლე და შთამომავლობას სასოებით გადმოგცეს, ეს კი დიდი და მძიმე ტვირთია, მაგრამ უნდა ვზიდოთ. სამშობლო ეს ერთ მთლიანობაში ერის ტაძარია. იგი ქართველისათვის სულზე უტქბესია და თვალის ჩინზე უფრო ძვირფასი.

მეორე დღეს წესისამებრ სასაფლაოზე გავედით და დაგვიანებით ჩამოსულმა ბებიაჩემის დისშვილმა, ქმრის სიკვდილით გამწარებულმა ისეთი გულით დაიტირა, მეც და უველა იქ დამსტრენიც ავჭვითინდით. მის გაზრდაშიც ამაგი მიუძღვდა მოხუცს. ერთი სიტყვით იმდენი ცრემლი დაიღვარა, უცრემლოდ დასაფლავებული ბებიაჩემით დაგროვილი ნაღველი გულიდან ამომეწურა. და მგონი იმ ცრემლებმა კუბოს ფიცრამდე ჩაატანა. ეტყობა მიცვალებულმაც იგრძნო, ისეთი კმაყოფილი დავბრუნდი. თამადაც ენამოქარგული დავნიშნეთ. ისიც დაგვიანებით მოსული გახლდათ მეზობელი სოფლიდან. რა თქმა უნდა, პირველ რიგში ბებიაჩემს საიქიოს ვრცელი სავალი გზა დაულოცა, სასუფეველში ყოფნა უსურვა, მეორე და მესამე სასმისით წინაპრებს და შვილებს ჩააბარა ბებიაჩემი, კარგად მოუარეთო. მაგრამ იქვე თავადვე განმარტა, ისე იყოს თქვენი მტერი, როგორც ის ჩაბარდაო. ჩვენმა წინაპრებმა ძნელ და როულ გზაზე გვატარეს, ჩვენ კი ლამაზ ტრადიციას ზურგი შევაქციეთ. ბევრმა დაკარგა ლირსება, პატიოსნება. რწმენა უარვყავით, ღმერთი გავანაწყენეთ. რა დააშავა სარწმუნოებამ? თუ არა სიკეთის ქმნის, განვითარების, განათლების, შენების მეტი? საუკუნეთა განმავლობაში ნაშრომ-ნაღვაწი რაც გაგვაჩნდა, ამდენი შრომა სიავის ქარს გავატანეთ. აյი განგებამაც არ დააყოვნა და დავისაჭენით. დიახ, დავისაჭენით, იმიტომ, რომ აღვილად ვიცით რეალური სინამდვილის, მისი კეთილი ფესვების მიმართ გაბოროტება. ბრმა ლოზუნგიც შემოგვახვიეს, ჩვენც ცამდე ავიტაცეთ: პროლეტარებო, უველა ქვეყნისა, შეერდით!

წავიდნენ, უველამ თავთავის ოჯახს მიაშურა. დარჩნენ: ერთი სოფლის ხუთი ადამიანი, მათ შორის მე ვიყავი. ჩვენ რომ მივალაგ-



მოვალაგეთ, მერე დავიწყეთ პურისჭამა. მეზობელმა სავლემ დაძირებული სიათა პაპაჩემი, რაღაც მე ვერ მოვესწარ. დიდი შრომისმუშავებული იყო, ჯანმრთელი და ჯან-ღონით სავსეო. საყანე ადგილები ჰქონდა და ტყეებიცო. ოჯახის საჩჩენს იქიდანაც შოულობდნენ, იმიტომ იყო, რომ ამბროლაურის რაიონში ერთ-ერთ შეძლებულ გლეხად ითვლებოდა. პაპაშენი ხელოსანი იყო და მორებს ამზადებდა, ხერხავდა და თავისი მასალით იატაკს აგებდა, ყველა მასთან გაამხანავებას ცდილობდა, რადგან საზრიანი და მოხერხებული კაცი იყო. ის რო ხეს შეხედავდა, სულ ზეპირად გამოიანგარიშებდა თუ იმ ხის დამუშავების შემდეგ რამდენ მოგებას ნახავდა. არა და არ მოტყუფდებოდა, არც ხის შერჩევაში და არც მის ფასში, ღმერთმა გაანათლოს მისი სულიც და მისი მახსენებელიც.

ახლა ერთად დაილია განსვენებული ბებია-პაპის, ესე იგი, არტე-მასი და მარგალიტას შესანდობარი. აქ სულ მრავალშვილიანი ოჯახები იყო, ვვიანობამდე ამ მინდოოზე მათი ერიამული არ წყდებოდა. არც ერთ ოჯახში აკვნის დარწევა არ შეწყვეტილა, ზოგჯერ ერთ ოჯახში სამი აკვანი ირწეოდა. წლისთვზე პატარძალი ერთს თუ თავის შვილის აკვანს არწევდა, ორი აკვანი კიდევ თავისი ტყუპი მაზლებისა იყო. უქმე დღეებში მორიგეობით ვმართავდით პურ-მარილს. ყველა ვმღეროდით გიტარა-ჩონგურზე. ახლა ვის ხედავ? ამ ცხოვრებამ სადამდე მიგვიყვანა. დაასამარა სოფელი, მიცვალებულისათვის სასაფლაოს გამჭრელი აღარავინ არის. ზოგი მთავრობის მოთხოვნით მუშად წავიდა, ზოგს გასქანი არ მისცეს, აიძულეს წასულიყო. ზოგ-მაც ტელევიზორის და გზის უქონლობის გამო გული აიცრუა და ქალაქს მიეძალნენ. იქ კიდევ ბინას მუქთად არავინ დაუხატავს. თუ ოცი-ოცდახუთი წლის დაუსვენებელი შრომით სულს არ ამოაძრობენ. ჩემი შვილიშვილი ტაგუ ოცდახუთი წელია ქარხანაში მუშაობს და დღემდე ბინა არ მიუღია. ახლა ორმოცდაშვიდი წლისა შესრულდება, და ცოლშვილზე არ ფიქრობს, როდესაც რომ მაგის ხისას ადრე სოფელში შვილები დაბინავებულები ჰყავდათ და შვილთ შვილების ალერსში იყვნენ გართულნი. რად უნდა ახლა ბინა, ძე ჰას არ ახარებს და ასული, მწიფობის დრო უქმად გაატარა. გინდა ჩიეცით ბინა, გინდა არა, საიქიოში ვერ წაიღებს და სიკვდილის შემდეგ ისევ სახელმწიფოს უნდა დარჩეს. ბიუროკრატული ხელმძღვანელია აკნინებდა ერსაც და მიწასაც. ამათ დიდი დრო არ უწერიათ, შვილო, მაგრამ ამ ცოტა ხანში ბევრი რამ მოასწრეს: გარეთ ტერიტორიები



გააჩუქეს, შიგნით ავტონომიებად და ოლქებად დაჰყვეს. სხვა გადამთიელებზე სამოსახლოები დაყიდეს. ერს მამოძრავებელი ჭრილებული მოარიდეს და შორეულში გადასახლეს, უმრავლესობა დახვრიტეს. ცხადლივ თუ მაღვით ერის განადგურებისაკენ იყვნენ მიმართულნი. ფულის გულისათვის გარეშე მტრებს ხელს უწყობლნენ. სოფლელები ამბობენ და მართალიც არის, საქართველო ტერიტორიულად გაანახევრეს და რაც დარჩა, ისიც გაცვეთილ ქალამანს დაამსგავსესო. ხალხში აღარ არის ღირსების, პატიოსნების, ერისაღმი პატივისცემის გრძნობა. კომუნისტებმა, სამწუხაროდ, მომხვეჭველობას მიჰყვეს ხელი და ვაჟას დაჭრილი არწივივით სამშობლო ყვავ-ყორნებს მიუგდეს საჯრებად.

მეზობელმა მოხუცმა პაპამ მაგრძნობინა, სოფელს მოხედეო. ისე-დაც ბებიახემის სიკვდილით ეკალნახსვლეტმა გულმა ბოლმა ვეღარ დაიტია და მამულის მტრების ზიზღმა სული ამიფორიაქა.

უკანასკნელი სადღეგრძელოთი დაგშორდით ერთმანეთს და მარტოდმყოფი კიბის საფეხურზე ჩამოვჭერი. ღიღხანს ვიყავი დაფიქრებული, ვიღრე ძროხის ბლავილმა და ძალლის ყეფამ არ მიიქცია ჩემი ყურადღება. ისე მიყურებდნენ, რომ ვგრძნობდი მეხვეწებოდნენ, მთხოვდნენ სიცოცხლე გაგვიხანგრძლივეო. მანამდე, მართალი გითხრათ, მექნელებოდა ქალაქის მიტოვება და სოფლად ცხოვრება.

დავძლიე დარდი და ბოლმა, მივატოვე ქალაქი. სახლის მეპატრონედ სტუდენტი ვაჟი დავტოვე და ცოლთან და ქალიშვილთან ერთად მიტოვებულ კერას დავუბრუნდი, რომელიც ჩემზე იყო დამოკიდებული. ბებიახემი სიზმრად მომელანდა და მითხრა, ღმერთმა დაგლოცოს და გაგამრავლოსო.

ერთი ღიღი უბედურება კიდევ დაატყდა ამ სოფელს. რაკი ახალწლის წინა დღეს ზოგიერთი ოჯახის წევრი მინდორში კოლექტივის საქონლის ფერმას მწყემსავდა და დღესასწაულს შინ ვერ ესწრებოდა, მთმა ცოლებმა საგზალი გაამზადეს და თავიანთ მეშვიდეკლასელ შვილებს გაატანეს. დაახლოებით დღის ორ საათზე ღრუბელმა მზეს თვალი დაუხუჭა. ბავშვები გზას დაადგნენ. აქეთ-იქით ხუთი კილომეტრი უნდა გაევლოთ. მშობლებმა დაარიგეს, იჩქარეთ, უკან დღის სინათლეზე მობრუნდითო. ერთი საათის წასულები არ იყვნენ, რომ თოვლი იმძლავრა. შეწუხდნენ დედები. ამ დროს გამოჩნდა სოფელში მომვალი მწყემსი, რომელმაც ამბავი მოიტანა, ბავშვები შემხვდნენ, საცილ-კისკისით მიღიოდნენ, ბინამდე მისვლას ბევრი არაფე-



რი უკლდათო. ერთი სიტყვით, დააიმედა მშობლები. უკვე მისულებრივია  
იქნებიან და მე მგონი უკანვე გამოუშვებენო. თუ მაინც ადგინდებიან  
დარჩენენ, იქ ნაბდები კიდევ ბევრია და თბილად იქნებიანო. სოფე-  
ლი მიწყნარდა, ყველა თავის კერაში მიიყუჟა, მხოლოდ დროდადრო  
ერთმანეთს გასძახებდნენ, ხომ არ მოსულანო, ამინდი კი ბობოქრობ-  
და, გლეხური გამოთქმით რომ იტყვიან, დაჩეჩილი მატყლებივით  
ფართე ფიფქებს ყრიდა. გავიდა სამი საათი, ბავშვები არ ჩანდნენ.  
არადა, თოვლის საფარმა მეტრამდე მიაღწია, ყინვამ იმძლავრა. ჩვენ  
გვინდოდა, რომ მივეგებებოდით, მაგრამ ერთმანეთი დააიმედეს, მამე-  
ბი არ გამოუშვებდნენო. სოფელი, ასე თუ ისე, დამშვიდებულ ძილს  
მიეცა. შუალამისას თოვა შეწყდა, ცა მოიწმინდა და მთვარეც მეფუ-  
რად გამოჩნდა ცაზე. დილით შევიტყვეთ, რომ ბავშვები იქ მამებთან  
არ დარჩენილან და უკან წამოსულან. რას ვიზამდით, საძებნელად  
წავედით. ვისაც ძალა შეგვწევდა, გზას გამოვყევით დაკვირვებით.  
კვალზე შევნიშნეთ, რომ სოფელთან მოახლოებამდე კარგად უვლი-  
ათ. მერე სხირტლაძის ბავშვს გაჭირვებია და ზურგით უტარებიათ.  
ბევრი უწვალიათ პატარებს, სტიქიასთან ბრძოლაში მოღლილან. და-  
ქანცულები წაქცეულან და ქარ-ბუქს ჩაუნთქავს მათი ნორჩი სიცო-  
ცხლე. ბევრი ვებრძოლეთ სიკვდილს, ვეღარ მოვაბრუნეთ ბავშვები  
საჩვენოში.

ისედაც დაღუპვის პირას მისულ სოფელს ახალი ჭრილობა დააჩნ-  
და გულზე.

სამივე ბავშვი ერთ უბედურ დღეს ხალხისა და ქრისტეს ტირი-  
ლით დავასაფლავეთ.

## შპილობის ზამალი

სექტემბრის ერთ თბილ საღამოს ღია აივანზე ვიწექი და უძილო-  
ბით დაქანცულს ფიქრები ხან სამოთხისაკენ მიმაჭროლებდა, ხან ჯო-  
ჯონეთის ჯურლმულებში.

პეპლებივით მოფარფატე აზრებს ამაოდ ვიგერიებდი. ვერა და  
ვერ შევძელი აკვიატებული ფიქრები ტყბილი სიზმრებით შემეცვა-  
ლა. ვარსკვლავები ბეღლურებივით ისხდნენ ცაზე და გასაფრენად გამ-



ზადებულები განთიადის მოახლოებას ციმციმით ელოდნენ. მეტებულები ნიერი, ვარსკვლავებს შორის საკუთარს ვეძებდი. თუმცა, ყველამისამართ განი თანაბრად მბეჭდავი მეჩვენებოდა. კარგად ვერ გავარჩიე. უფრო სწორად, ჩამთვლიმა და სიზმარმაც კვლავ უსიამოვნო სამყაროში და-მაბრუნა. ის იყო ბეჭვის ხიდზე შევდექი, ჩაიზნიქა, ჩაიშია, ვერ გა-მიძლო. შეშინებულმა დავიღრიალე, მიშველეთ-მეთქი და ამ დროს... გამომეღვიძია. შიშით გულამოვარდნილმა თვალები გავახილე და, რას ვხედავ, თურმე ბეჭვის ხიდზე გავლის დროს შეშინებულმა საწოლი-დან იატაკზე მოვადინე ბრაგვანი. მართალი გითხრათ, ერთი საოცრე-ბის ნახვა კი მოვასწარი: იქ, ჯოჯოხეთში, ცოდვილნი რარიგად იტან-ჯებოდნენ კუპრით სავსე აღულებულ ქვაბში, როგორ საბრალოდ ითხოვდნენ შველას, მაგრამ ამაღლ, ვინ წავიდოდა უფლის წინააღმ-დეგ. სამოთხე კი მართლაც სამოთხე იყო! სიმშვიდე, სიწყნარე, ბალე-ბი, ფერად-ფერადი ვარდები, ფრინველთა გალობა... .

აღმოსავლეთიდან ამოსული მთვარე დასავლეთის გზით მიცურავ-და სასწაულად მხიარული, ასე მეგონა, თითქოს ის ჩემს გვერდით იდგა და მთხოვდა მისი თანამგზავრი გავმხდარიყავი. რაც უფრო ყუ-რადღებით ვაკვირდებოდი, მით უფრო მიმსუბუქდებოდა მდგომარე-ობა. ტანთ ჩავიცვი, სამგზავრო ხარჯი ავიღე, თოფი მხარზე გადავი-კიდე და დედას დავუბარე, უძილობა დამჩემდა, ტყუილად წოლას ტყეში გავივლი, წაბლს ან სოკოს მოვიტან მეთქი. ერთი გამაფრთხი-ლა, მარტოკა არ წახვიდეო. გეგონებოდათ მე და მთვარე ერთად გა-მოვედით ეზოდან. ის გულის სევდიან ფიქრს მიქარწყლებდა. მე კი ჩემს გულისთქმას ვერ ვაწვდენდი. მივდიოდი მთვარის აჩრდილთან ერთად. ბინდით მოცულ დედამიწას მყუდროებას ვურღვევდი, მთვა-რის შეუმჩნევლად ნაბიჯებს კი ზეცა ითვლიდა.

ჩემი სოფელი ტყვიით განგმირული არწივიეთ რომ არის ფრთებ-გაპარჭყული, ყვარლის მახლობლადაა. ახალსოფელი ეწოდება. კავ-კასიონის მთების ძირიდან იწყება და ყვარელი-ლაგოდეხის გზატკე-ცილამდე გრძელდება. ამ გზას მიახლოვებული ერთიმეორეს სასა-ფლაოსთან დავცილდით. მე აღმოსავლეთით განვაგრძე გზა, ის კი დაგვიანებული სასიძოსავით დასავლეთით მიიჩქაროდა. უყურადღე-ბოდ არ დავუტოვებივარ, მისი ნათელი სახის შუქი დიდხანს მიმაცი-ლებდა, ვიდრე ტყის მოციმციმე შუქ-ჩრდილებს შევეთამაშებოდი.

შევეღი თუ არა სასაფლაოს სანახებში, წინაპრები გამახსენდნენ. უამგამოვლილნი სწორედ აქ განისვენებლნენ ქართველთა გენის და



ჯიშის სოფლის დაარსებიდან. ზოგი ბეღნიერი სიკვდილით, ჰერეტიკობის უკულმართობით, ტყვიითა და ხმლით აჩენილნი, ვისთვისაც სამშობლო იყო ცნება უპირველესი.

მეორე სიცოცხლით განახლებული ამჟამინდელი ახალსოფელი ძველი გავაზის ფესვებზეა აღმოცენებული. სასაფლაოს შესასვლელში დგას ძეგლი ამ სოფლის დამაარსებლის, კოხტა აფხაზისა. იგი იყო სიძე ილია ჭავჭავაძისა (დის ქმარი). ლეკიანობის დროს ძველი გავაზიდან აყრილი ხალხი მოუყვანია ალაზნის ტყეებიდან და ამ ადგილას დაუსახლებია. ჭირგამოვლილ მიწასაც გული გაუხსნია და გლეხის მადლიანი ხელიც დატყობია.

სასაფლაოს გავცდი და თვალშინ დამიდგა ბუმბერაზი მთები ზვიადი გულ-მკერდით. დილით რიურაუის მალემსრბოლმა სიომ წამოუქროლა, გული გამიგრილა და მაგრძნობინა ტყის ამონასუნთქი და გავფანტე ჭირვეული ლამით თავზე მოხვეული ფქრები. ეს იყო ლვთის-მშობლის მიერ მომადლებული მიწის ულამაზესი მთების ქანდაკებებიდან, რამაც გამახსენა გალაკტიონის მადლიანი კალმით ჩამოქნილი სტრიქონები. იგი ნამდვილად ჩვენ მთებსაც მიესადაგება.

მინდორზე გავედი—მდინარე ალაზნისხევში გავტოპე, და აღმოვჩნდი ბურუსგადავლილ, იავარქმნილ ნაბაზრალში, რომელიც ამჟამად ტყით არის დაფარული და ნაწილი სახნაგად გამოუყენებიათ. არ იფიქროთ, რომ ეს სახელწოდება შემთხვევით იყოს შერქმეული, არა, ზემოხსენებული სოფელი ძველი გავაზის ერთ-ერთი სავაჭრო, საბაზრო ადგილი ყოფილა, სოფლის ნიშნები ახლაც სახეზეა: ეზო-კარმიდამო, მოშლილი ყორები, ზოგან კვლავ არის აღმართული ციხის კედლები, ჩემს ბაგშვობაში ზოგიერთი ნასახლარიც იყო.

დიდი მინდორი გავიარე. ამას, აღბათ, იმ დროისათვის საძოვრად თუ იყენებდნენ. შევუდექი ტყით დაფარულ გორაქს. წაბლის ხეებს ვათვალიერებდი. დაღლილი სულის სიცარიელეს ტყე მივსებდა. თურმე ბუნების მიერ შემოთავაზებული სილამაზე, ჰაერი, ნათელი სიზმარივით გამოყოლილი სულიერი სიმდიდრეა, ძალის-ძალად აგაღებინებს ხელში კალამს, დაგაწერინებს და საქვეყნოდ გათქმევინებს ბუნების სიყვარულს, ჭადოთი შეპყრობილი და ცხოვრების სიღუბჭირით დატვირთული გულიდან იქ განვიტვირთები ხოლმე. თვეში ერთხელ რომ არ წავიდე, არ შემიძლია. განსაკუთრებით მასში — გაზაფხულზე, მიდამოს რომ ყვავილების განუმეორებელი სურნელი ეფინება. გახარებული, მზის ეშხით აღტყინებული ფრინველები ბუნების

მრავალფეროვნებას უგალობენ. მომხიბვლელია ჩხიკვის ქადაგი, გზგულის გამოძახილი, ქარის ქროლვა, ფოთლების შრიალი, უკანასკნელი ყივილი, ფსიტების სტვენა, ირმების ხტუნვა, ჭიხვების თქეში. ეს უცელაფერი ტყის სიმდიდრეა, ადამიანის სულიერი საზრდოა. მონა-დირემ სროლის დროს საკუთარ სულში უნდა ჩაიხედოს და მერე ტყვია სულიერზე ისე უნდა გაიმეტოს. მკვდარი ხე ლპება, მკვდარი წყალი შმორდება. სიცოცხლის თვისებები არ გააჩნია, ამიტომ არც დასალევად ვარგა, თუმცა თავისებური სილაზათე აქვს. ამ მოხიბლული გულით ჩავედი ორწოხში, ჩავიმუხლე, წყაროს წყალი დავლიე და ორი პეშვი სახეზეც შევისხი. გული გავიგრილე. შევუდექი ფერდობს და გადავიხედე ძირს, დავინახე რომ წაბლი ყრია. დაუყოვნებლივ აკრეფას შევუდექი. მომესმა ტოტის რევიკ ხმა და წაბლიც დაცვივდა. ავიხედე ზევით და წაბლის ტოტებში დათვი შევნიშნე. ჩემს მხარეზე გადმოსული, ტოტზე იდგა და გაოცებული მიყურებდა. ვიგრძენი, რომ დანაშაულში მდებდა ბრალს. მეც ვუყურე, არც მან დამითმო და განაგრძო ყურება. რამდენჯერმე გავითიქრე, თოფი მესროლა, მაგრამ გამახსენდა ტყვიის სროლით გამოწვეული გულის სიმწარე და ჩემდა უნებლიერ სროლის ვნებათაღელვა ჩავიკალ. სხვას თავი დავანებოთ, გილზები საფანტით მქონდა დატენილი და ამანაც უქან დამწია. დათვი თვალებს მაინც არ მარიდებდა. ვაპატიე ჭიუტი მზერა, თოფისთვის ხელი არ მიმიკარება. მოულოდნელად მისი სახიდან სიბრალულიც კი ამოვიკითხე. მეჩვენებოდა, თითქოს თვალებზე ცრემლები მოადგა. ბოლოს ისევ მე დავუთმე, თუმცა ორივეს შიშის გრძნობა დაგვეუფლა. შიშს პირველმა ვდლიე, გაბედულად დავიწყე წაბლის აკრეფა. მერე შიშმა კვლავ ამახედა მაღლა და აი, საკვირველებავ, ის პირვანდელ ადგილას მხარშეუცვლელად იჯდა და მიყურებდა. ბოლოს გაბედა მყუდროების დარღვევა და თათი დამიქნია, არ მესროლოო. რა თქმა უნდა, გზა განვაგრძე, მოშორებით მყუდრო ადგილი შევარჩიე, საიდანაც ბაჯბაჯა უკეთ გამოჩნდებოდა. წამოვწექი კარგად შერჩეულ ადგილზე, მზის არენაზე და დავიწყე თვალიერება. წაბლიც საკმარისი მქონდა თავის შესაქცევად. ყურადღებას ვაქცევდი მის მოქმედებას, მაგრამ ღამენათევს ტკბილად ჩამინებოდა. როდესაც გამომეღვიძა, საათს დავხედე. ორი საათი მძინებია. გავიხადე, ხეზე დათვი აღარ ჩანდა. მივედი იქვე ახლოს, ლეგენდად ქცეულ ნაკალოვარზე. არ შეიძლება, რომ ამ მხარეზე წამოსულმა კაცმა მას ზურგი შეაქციოს და არ მოინახულოს. გადმოცემის თანახმად,

ლეკები რომ თავს ესხმოდნენ კახეთის სოფლებს და აოხრებდნენ უწყებელი მოპყავდათ ბავშვები და კევრით თავთავის მსგავსად ლეწავდნენ. შე მახსოვს გვერდზე, ცარიელ აღგილას მეტყევები უწინ ხნავდნენ და ბოსტნეული მოპყავდათ. ახლა გატყევებულია და ზოგან ჩადუნაც ამოსულა. ამ ამბის გახსენებით ადამიანს იქ შიშის გრძნობა ეუფლება და მეც ასე დამემართა. განაწყენებული განვერიდე. მერე მტრისადმი ზიზღი მომერია, გული კი უძლეველობას მკარნახობდა. გამახსენდა, ჩემი ბიძაშვილი მეურნეობის საქონელს მწყემსავდა და ჯერ კიდევ მთაში იყო. იმ მთასთან ახლოს ვიყავი მისული და გადავწყვიტე გადავსულიყავ, ბიძაშვილი მენახა. მხეცოვან მზეს კუს ნაბიჯი შეეცვალა და ცის დასავლეთის დაღმართებზე მიეჩარებოდა. მეც დავეშვი დაღმართზე, სწრაფად გადავკვეთე ორწოხები, გოხიანას მთაც გავიარე და დალესტნისაკენ მიმავალ ბილიკზე დავადექი.

ამ დროს ზურგზე კასრმოკიდებული ლეკი მომიახლოვდა და მთხოვა, ამაღამ თქვენს ბინაზე გამათევინეთო. მე ავუხსენი, თუ ბინიდან აყრილები არ არიან, გავათენებთ-თქო. მონალირებისათვის ლამის სათევ გამოქვაბულ ტინამდის მივედით. იქ ორი მონალირე შემოგვხვდა. მე რომ თოფიანი მნახეს, მონალირე ვეგონე. ჩაცმულობით ჩამოყალიბებულ მონალრეს ვგავდი. მკითხეს, როდის ამოხველ, ვერაფერი ინალირეო? მეც ავუხსენი, ტყეში წაბლს შემოვყევი და ახლა გადმოვედი აქეთ-მეთქი. ამასობაში ერთ-ერთმა მოიხსნა ზურგჩანთა, ჩამოჭრეს ორ კილომდე ჭიხვის ხორცი და მომაწოდეს. მე ვიუარე, მაგრამ როგორ, იქნება ვერაფერი მოინალირე, ჭამა ხოვინდაო. მე ვთხოვე მონალირებს აქ ბინაზე გავათენოთ-მეთქი. ვიციო გზაზე ლამე წამოგვეწვა, მაგრამ ამაღამ რომ არ ჩავიდეთ, არ იქნებაო. ერთმა გაიხუმრა კიდეც, ჯერ ისედაც ცოლიდან აღებულ ნებართვის ერთი დღე გადავაჭარბე, ვიცი სიღედრს მომისევს და მის რისხვას ვერ ავცდებიო. სიღედრისა გეშინია? შეეპასუხა მეორე. კიო, ცხრა ძალლი რომ მიუსიო, ისეთია, ცხრავეს დააბამსო. ასე სიცილით დავშორდით ერთიმეორეს, ის იყო, მცირე ორწოხი კიდევ გავიარეთ და მუშაკის მთის ზურგს მოვექეცით.

მართალი გითხრათ, გამიხარდა ბინაში მწყემსების დახვედრა. საქონელი მოერეკათ, მოეწველათ კიდეც. მოვიყითხე ბიძაშვილი. მას ყველი ამოყავდა, მეორე ძალლებს ჯერს უმზადებდა. მე ცეცხლი დავანთე, ჭიხვის ხორცი დავჭერი და ქვაბით შემოვდგი კერიაზე. ამასობაში მოისაქმეს, ჩემს გვერდით ჩამოსხდნენ. ვისაუბრეთ და, ვახშ-



მობის თაღარიგს შევუდექით. არაყი წმინდა სამებამდე დავლეული შევხურდით, გავხალისდით, გამახსენდა და ლექს ვკითხე — რა გაქვს მეთქი მაგ კასრში? კალმახიო, მიპასუხა მახმადმა. მეც და მწყემსებ-მაც თითქმის ერთდროულად ვთხოვეთ არაყზე, ან ფქვილზე გაეცვა-ლა. თხოვნამ არ გაჭრა. დაიყინა, მაინც და მაინც ფული მჭირდებაო. რვა შვილი მყავს და ჭამა ხომ უნდათო.

— მერე, ლეკო, ფქვილს რომ გაძლევთ, განა ეს მუქთად გვიშოვ-ნია? — შეედავა დათა.

— არა, კაცო, მე თივში ვცხოვრობ და აქედან ფქვილი როგორ ვტარო?

მართალია თევზზე იუარა, მაგრამ მადიანად მიირთვა ყველი, პუ-რი, ჯიხვის ხორცი. არც ლობიო დაიწუნა და თანაც, სამი არაყი წინ წაუყმდვარა. მწყემსებმა ყველისაგან დამზადებული კვერი სათითა-ოდ შეახვიეს მთის ღოლოს ბრტყელ ფოთლებში, მეტ არომატს მის-ცემსო. ყველაფერი რომ მიაბინავეს, ჩაქრეს შუქი, დავწექით და დავიძინეთ.

ღამის სამი საათი იქნებოდა, რომ ატყდა ერთი ჭექა-ჭუხილი, ქა-რიშხალი ამოვარდა, თითქოს ცა გაიპოო, კოკისპირული წვიმა წამო-ვიდა. საქონელს მოუსვენრობა დაეტყო. იქვე მახლობლად მოურავის წყლის ხეობიდან მგლის ყმუილი მოგვესმა. არ გასულა დიდი ხანი, საქონელს შემოეჭრა, წამოიშალნენ, აბლავლდნენ ძროხები. დამფრ-თხალმა მგელმა ვერ მოზომა და ქოხში გადმოგვიხტა. ზედ შუა ბოძს შეასკდა და მთელი ნაგებობა კინალამ თავზე დაგვანგრია. მწყემსებ-მა სიბნელეში თოფი ვერ იპოვეს და ჩემი დააჭუხეს, ამაოდ. თავის მხრივ ძალლებს რაღაც აწუხებდათ და მთელი ღამე ზავზავი გაპქონ-დათ. წვიმა არა ცხრებოდა და ქოხი დაკისრებულ მოვალეობას ძლივსლა ასრულებდა. მთელი ღამე ცა გვბომბავდა. დალლილ ლექს კი არაფერი გაუგია. მერე გაირკვა, რომ აღგილიც შესამჩნევად უკე-თესი შეურჩევია, ეტყობოდა ქოხის საუკეთესო ხარისხის ჭერი იმაზე მოდიოდა.

გათენდა და, რა დილა გათენდა... პირდაბანილი ცა და დედამიწა საპატარძლო დედოფალივით გამოიყურებოდა. უმწეო და უბალახო აღგილები ნიაღვრისაგან დაღარულიყო. ოუ რამე მოხვედროდა ლო-დის გარედან, მოურავის წყალში ჩაუტანია. თითქოს მზეც აჩქარდა, აღარ დააყოვნა, მთელი ძალით გადმოხედა სამყაროს, გაანათა, გა-აცისქროვნა მიღამო. მაღლა, სულ მაღლა მიიწევდა მზე. სურდა, რომ



შეეცნო — მთებს, ბარს, ტყეება და მდელოს ოდნავ მაინც, თუ უტკიცავთ მართვის მიზანის გადას შეცნონას. სულიერი ბოდა წუხანდელი ავი ღრუბლების ჩადენილი უმსგავსობა. სულიერი თუ უსულო ენუგეშებინა, თვალები აეხილა დავრდომილთათვის. თურმე იმ ღამეს დათვებსაც ვეღარ მოუსვენიათ და გამთენისას საოფლის ძალლებს შებმიან. ერთი ძალლი კოჭლობდა კიდეც.

ლექმა მოგვიანებით გაიღვიძა და დაინახა, რომ კასრი თავის ადგილზე აღარაა. თურმე მგელი იმასაც დაეძერა, გადააბრუნა და დააგორა. გაცოფებული მოურავისწყალი ეჭვსგარეშეა ამ მშვენიერ ნობათს კასპიის ზღვას მიართმევდა. ეს წყალი მწყემსის ბინიდან ოცდაათი მეტრით იყო მოცილებული. იქამდე გაბნეული თევზი მოკრიფა, ჩაყარა კასრში, აიკიდა და გზა განაგრძო.

ჩემს ბიძაშვილს სამი კონი ჰადებული ამ წყალში. მოვსინჭეთ, ერთი მათგანი ადგილზე აღმოჩნდა. შიგ ორ კილომეტრი თევზი იყო. დიდი და პატარა, მურწა და კალმახი, მოვხარშეთ და დილით გემრიელად ვისაუზმეთ.

დავემშვიდობე ორივეს და უკანვე გამოვწიე. მოვდიოდი დატლილი, შთაბეჭდილებებით სავსე. გადავლახე მანძილი, უნარი წინ სვლისა აღვიდგინე და უძილობით გადაღლილი თვალები, გული და ნერვები დავიმშვიდე. დავწყნარდი.

უეცრად ფეხევეშ რალაც გამიგორდა და დავეცი. დავიხედე, წაბლის ჯღა იყო. წაბლი შიგნიდან ნახევრად გადმოცვივდა. მხართეძოზე მწოლიარემ დავიწყე ჭამა და მიდამოს თვალიერება. შევნიშნე ორი კარგი მსხმოიარე ძირი წაბლი და შესვენებისთანავე ზედ ავედი. ცოტა შევაქანე, ნაყოფი ხრიალით ჩამოცვივდა. ავკრიფე ათ-თორმეტ კილომეტრ, ზოგიც გზადაგზა დავუმატე და გულდაჭერებით გავწიე შინისაკენ.

დაბლა რომ ჩამოვედი, ერთი ჩემი სოფლელი კაცი შემომხვდა, ჩემსავით მოხეტიალე, ნამდვილ მონადირედ დაბალებული. ერთხელ თანატოლებს უთქვამთ ხუმრობით, მამაშენმა რა თვალი დაგაყოლა, რომ შენი ნასროლი ტყვია მიზანს არ სცდებაო. თვალი რა შუაშია, ჩემი გასროლილი ტყვია თავად ექებს მსხვერპლსო, უთქვამს სიცილით, ნაღირთა რისხვაა, თორემ ადამიანებს კი გაურბისო.

ბედიც უნდა, მაისის თვეში ტყეში გახლდით ფიჩხის მოსატანად. ურყიდან ცხენი გამოვუშვი, ელიადგორის ასასვლელთან დავბანაყდი, იქვე ახლოს წაქცეული ხეებიდან ფიჩხი ამოვკრიბე დავუდე ურიყაზე, ჩვენში „ტაჭკას“ რომ ეძახიან და აშ დროს სადღაც თოფის ხმა

გაისმა. ხუთი წუთის შემდეგ სასიკვდილო დაჭრილი შველები ჩემთან  
ახლოს დავარდა, მომაყვდავთან მივედი. ყელი გამოვლადრე და რეალურობა  
რედ იმ „ტაქქაზე“ შევაგდე, ზედ გადავაფარე ჩემი დაბამბული და შინ  
მისვლისთანავე დავამუშავე. მაშინ მოვიდა ჩემთან ქიტუს ბიჭი და  
მითხრა: თენგიზ, მაღლა ელიათგორაზე შველი დავჭერი. სისხლს რომ  
გამოვყევი, დაბლა ჩამომიყვანა. იქ ვიღაცა, ტაქქით ყოფილა და ყე-  
ლი გამოუჭრია. გზაზე მეტყევე წამომეტია და შენზე მითხრა, ახლა  
იმან გაიარაო. ხომ არ გინახავს. შველისთვის ყელი შენ ხომ არ გა-  
მოგიჭრია? მარნის კარი გავუხსენი და ვუთხარი, აგერ უკვე დავამუ-  
შავე და ახლა შენ იცი-ოქო. ჩამოჭრა ნახევარი, მეორე ნახევარი კი  
მე დამიტოვა. ჩემიც ვუამბე, ტყის ბინადარზე დათვი რო ვნახე. და-  
მიუინა, გინდა თუ არა წავიდეთო. ის შორს არ იქნება წასული, ვინ-  
ძლო ვნახოთო. დაღლილს მეორედ ასვლა მემნელებოდა, მაგრამ არ  
მომეშვა, დამიყოლია და ოღმართებს შევუდექით. მივედით ხესთან,  
რომელიც ორწოხის ნაპირზე იდგა. დაბლობში გადავიხედეთ, არაფე-  
რი ჩანდა. ჩავედით დაბლა, მიღამო დავათვალიერეთ. იქ, წყალთან,  
ახალი კვალი დავლანდეთ. კვალს ავედევნე და საჭმაოდ მოშორებით  
აშკარად შევნიშნე ბელიც და დათვიც, წაბლით დანაყრებულნი ხალა-  
სიანად თამაშობდნენ. ერთ პატარა ველზე დედა შვილს წვრითნიდა.  
ქიტუს ბიჭმა თოფი გაღმოილო, მოიმარჯვა და ნელ-ნელა მიეპარა  
მათ. არ მესიამოვნა, მაგრამ სხვა არაფერი შემეძლო. მხოლოდ ის  
ვუთხარი, ბელს არ ესროლო-მეთქი. ბელს რო ვესროლო, დათვი მო-  
მვარდება და დამჯიჯვნისო... ზან ერთი იყო ძირს, ზან მეორე. პირის-  
პირ შეფოფხდებოდნენ და გადაცივდებოდნენ, ერთსა და იმავე  
მოძრაობას იმეორებდნენ. პირველი ტყვია გავარდა. დედა დაიჭრა.  
გავარდა მეორე, ასცდა. მონადირე გაეკიდა, თან გეზს უცვლიდა. დათ-  
ვი მისკენ გამოიქცა. ამ დროს დაახალა. ასცდა. ორივე მხრიდან დაბ-  
ნეულობა აშკარა იყო. მონადირე და დათვი შეიბნენ. ბელი საღლაც  
მიიმალა, მე მომარჯვებული მაქვს თოფი, მაგრამ ვშიშობ ტყვია კაცს  
არ მოვარტყა. პირისპირ! შეფოფხებილ დათვს ამხანაგმა იღაყვი მისცა  
პირში, უნდოდა მარჯვენით ზანჯალო ამოელო, ვერ მოასწრო, ორივე-  
ნი ფერდობზე დაგორდნენ და გაცალებელნენ. დათვი სწრაფად წა-  
მოხტა. ხეს ამოფარებულმა საფანტი თვალებში მიგაყარე. დაიბნა.  
არ იცოდა საით გარბოდა, ვერც ვერაფერს ხედავდა, მეხუთეფერ  
ვესროლეთ და სულიც განუტევა. პირველი სროლით მარჯვენა მხარ-  
ში იყო დაჭრილი, თორემ ჩემი ამხანაგი ვერ გადაურჩებოდა მის



ბრჭყალებს. თუმცა, რა გადარჩენაზეა ლაპარაკი. მარცხენა შეჭრავის  
დაღრღნილი ჰქონდა და სისხლი შაღრევანივით ასხამდა. ბედად შე-  
სახვევი აღმომაჩნდა და დაღრღნილი მქლავის ზედა კუნთზე შემოვუ-  
ჭირე. ჩამოვიყვანე ვაკეზე. ბედად მანქანა გამოჩნდა. მოქეიფე ბი-  
ჭები სიმღერით მიღიოდნენ. ჩავსხედით მანქანაში და რაიონის სა-  
ავადმყოფოში მივიყვანე. ქირურგმა გისინჯა და თქვა, მოსაქვეთიაო.  
სხვა გზა არ იყო, მქლავი მოჰკვეთა. ის დათვი კი იმავ ღამეს მოქეიფე  
ბიჭებს ბარში ჩამოუტანიათ. ასე წარუმატებლად დამთავრდა ჩვენი  
რაინდობა.

იმ დღიდან ნადირობის სურვილი სულ მთლად დავკარგე.

## მსხალგორის აგარაძი

მამაჩემი ერთ-ერთი ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროში უფ-  
როს კონსტრუქტორად მუშაობდა და, როგორც მრავალი გამოგონე-  
ბისა და სიახლის დაწერვის ინიციატორს, ქარხნის მესვეურებმა  
მსხალგორის ყველაზე მაღალ ადგილზე სააგარაჟოდ ნაკვეთი გამო-  
უყვეს. ქარხნიდან სესხიც მივიღეთ და პატარა ორსართულიანი აგა-  
რაკი ავაშენეთ. სხვებისაგან გამორჩეულად ცასთან უფრო ახლოს  
ვიყავით და მზისაგან გამოტყორცნილი სხივების მაღლი უხვად გვე-  
ფინა. ჩვენს ვერანდაზე სხეულის გასაკაებლად მზის აბაზანების მი-  
ღება სულ ადვილად შეიძლებოდა. თუმცა, ზოგჯერ ისეთი სიძლი-  
ერის ქარი ამოვარდებოდა, რომ, თუ რამეს მოიხელთებდა, ვერის  
ხევში გადაყრიდა ხოლმე.

მე დედისერთა ვარ და საღაც უნდა წავიდე, დედის თვალები სულ  
თან დამდევს. ამიტომ ბავშვობაშიც ცოტა განებივრებული ვიყავი,  
თუმცა გოგონებთან უწმაწურ სიტყვებს მორიდებული, სხვა არა  
იყოს რა, ღვთის მორწმუნე ოჯახში ვიზრდებოდი და ბებიაც სულ  
სახარებას მიყითხავდა. ერთხელ თანაკლასელმა გოგომ დამიმარტოხე-  
ლა და მითხრა:

— შენ, იცი რომ ლელას უყვარხარ?

— არ ვიცი და არც მინდა, რომ ვიცოდე, — ვუპასუხე მე, — მო-  
მეშვით.

იმ დღიდან არც ერთისათვის ხმა არ გამიცია. რაღან ბალაშვილებისა და, იქ ყოფნა მეხალისებოდა, წავიყვანდი თანაკლასელებს, ცოტას წავიმუშავებდით და მერე აუზში ვპანობდით. საშუალო სკოლა და-ვამთავრეთ, ვისაც ვინ უყვარდა, ხელი მოაწერეს და იქორწინეს. ლე-ლა გათხოვდა, პარალელურმა ჭგუფელმა წაიყვანა და კვლავ მომი-გზავნა თანაკლასელი. შიკრიქმა დაბარებული გადმომცა: ახლა მაინც შემირიგდეს, ვთხოვდები და მეჯვარედ მინდა წავიყვანოო.

უარი ველარ შევკადრე და ბედს დავმორჩილდი. მე იმ წელიწადს არ ჩამიბარებია. მეორე წელს აპრილში წავილე წიგნები და ავედი აგარაკზე. ხან ვმუშაობდი, ხან ვმეცალინეობდი. ინსტიტუტში საბუ-თები რომ შევიტანე, მერე მეცადინეობით დღე-ღამეს ვასწორებდი. მამა უეცრად გარდაიცვალა. ლელამ და ბონდომ გვირგვინი მოიტა-ნეს და გულით დაიტირეს.

გამოცდები რომ მოახლოვდა, ერთ დღეს, ლელა და ბონდო აგა-რაკზე ამოვიდნენ, ბონდომ მითხრა:

— შვილი გვინდა და არ უჩნდებათ. ექიმმა მზის აბაზანები და-უნიშნა და მე სამსახური არ მიშვებს, რომ ზღვაზე წავიყვანო. აქა ვცდით, თქვენს ვერანდას აქებენ. აგარაკი ახლოს არის, ერთი საათით ამოვიყვან, მიიღებს და ისევ ქალაქში დავბრუნდებით.

მე დავთანხმდი, მეტი რა მეთქმოდა. ასე გადიოდა დღეები. ერთ მშვენიერ დღეს ამოიყვანა და მითხრა — ვიდრე ლელა სხივებს მოი-თავებს, წაგალ, უფროსმა სამსახურებრივ საქმეზე გამგზავნა, მოვი-თავებ და ამოვალო.

მე მეცადინეობა განვაგრძე. ცა ისეთი მოკრიალებული იყო, რომ დედამიწის გულ-მკერდზე მარგალიტებს აბნევდა, მაგრამ ისეთი ძა-ლით წამოუქროლა, დაბმულ ჯორს თოკს გააწყვეტინებდა და ვერის წყალში აბანავებდა. თბილისის თავზე ღრუბლები გაიფიცნენ და სე-ტყვის სისწრაფით წვიმა წამოაყარა. მეორე სართულიდან მომესმა ძახილი, მიშველეო. სწრაფად ავედი და რას ვხედავ. ჩემ წინ მსუბუ-ქი მოსაბურავის ამარა ლელა დგას გაძარცული ანგელოზივით. მზის სხივებს ისე უმძლავრია გარდისფერ ტანზე, რომ შემწვარი გოჭის ფერი დაპკრავდა. ძლივს ამოილულლულა, ქარმა კაბა გამომტაცა და არ ვიცი რა ჩავიცვაო. ჩამოვიყვანე დაბლა სართულზე, ბუხარი ავუნ-თე და ჩემი ძველი ტანსაცმელი ჩავაცვი. მერე გავედი და მისი კაბაც მოვძებნე. დღე მიიწურა, ბინდი ჩამოწვა ცაზე. აცივდა. მოლოდინმა დათქმულ დროს კი არა, დღის სიდიდესაც გადაჭარბა. ჩაი ავადუ-



ლეთ, თუ რაიმე მქონდა, მოვიტანე ბუხართან და ობლებივით ვთვალშე  
მეთ. სიცივემ იძალა და აბაზანამიღებულ ლელას კანკალი დაწყე-  
ბინა. ჩემი ერთი ხელი ლოგინიდან საბანი ავიღე და მხრებზეწამოვა-  
სხი. დრომ თავისი მოიტანა, ორივეს ძილი მოგვეძალა, ლოგინი იატაკ-  
ზე გავფინე და ვთხოვე დაესვენა.

— მერე შენ სად უნდა დაიძინო?

— მე, აგერ, ბუხართან...

— მერე, ცოდო არა ხარ? — ლეიბისკენ გადაინაცვლა. ფეხებთან  
გამთბარი აგური დავუდე, რომ არ გაციებულიყო. მე იქვე ბუხრის  
კედელზე მივეყუდე და ცოტა ჩავთვლიმე, რაღაც ხმაური შემომესმა  
და გამომეღვიძა, დავინახე: ლელა იყო და ბუხარს შეშას უკეთებდა:

— ლელა, დაწეჭი, შეშას მე შევუკეთებ, — ალერსიანად მივესათუთე.

— არა, ახლა შენ დაწეჭი, ცოდო ხარ, გაცივდები!

— არა, ლელა, ხომ იცი, ქალი მაინც სუსტია მამაკაცთან შედა-  
რებით.

— ოპოპო, რა მოიშველიე, ეგ თუ არა, ჩაიჭრებოდი, — და ორი-  
ვემ გულიანად გავიცინეთ.

— საინტერესოა, ბონდოს რა დაემართა, რომ აქამდე ვერ მოაღ-  
წია.

— არ ვიცი, იმის თავს რომ არაფერი იყოს, ასე ადვილად არ მი-  
მატოვებდა. ღმერთო, შენ დაიხსენი ბონდო გაჭირვებისაგან.

— კარგი, დაიძინე ლელა.

— დავიძინებ, მაგრამ მთელი ლამე ასე ხომ არ მიყარაულებ,  
ფეხთით მაინც დაწეჭი, თუ არა და ჩვენი ნება არაა, მთის ხალხმა  
როგორც იცოდა, სტუმარი რომ მოუვიდოდათ, მის პატივსაცემად  
გოგოს დაუწევენდნენ და შუაზე ხმალს ჩაუდებდნენ. ე. ი. ხმალი მე-  
გობრობის ნიშანად არის მიღებული.

— რადგან შენ მაინც ასე გინდა, ხმალი არა მაქვს და მუთაქა ჩავ-  
დოთ.

— არა, მთელ ადგილს მუთაქა დაიჭერს და რა მნიშვნელობა აქვს  
თუ ლეიბზე ვერ დავწები.

— კარგად გალესილი ნაჯახი მაქვს, იმას ხომ არ ჩავდებ.

— მერე რა უჭირს, გინდაც დანა იყოს.

მოვრიგდით, შუაზე ნაჯახი დავდეთ და ზურგშექცევით დავწე-  
ჭით. დილით გვიან გამოგველვიძა და რომ ავდექით, დავინახეთ, რომ  
ვიღაცას ლამე ნაჯახი აუღია.

სიწმინდის ნიშნად ერთმანეთს პირი დავაბანინეთ. გამოცხადებული კარები ჩავკეტეთ და თბილისში ჩამოვედით. ლელა სახლამდე მივაცილე, ბონდოს მოუსვლელობის მიზეზი მინდოდა გამეგო. მერე მითხრა ლელამ, რომ სახლში არავინ ყოლიათ. ობლად დაჩჩენილი ორი წლის ბონდო ბებიას გამოუზრდია. რომ ვკითხეთ, მეზობელმა გვითხრა: ავარიაში მოყვა და საავადმყოფოში წევსო.

უმაღ საავადმყოფოში წავედით.

ღმერთმა გაშოროთ, რაც ბონდოს დაემართა. მიყვანიდან ერთი საათის შემდეგ გარდაცვლილა. მეხუთე დღეს მოკლე წუთისოფლის ბატონ-პატრიონი საკუთარი ბინიდან გავასვენეთ და ჩვენ დავრჩით იმის საფლავის მომვლელად.

იმ დღიდან მოყოლებული საწოლში ხმლის ჩადება აღარ დაგვჭირებია, თუმცა ბრძოლით დაღლილი პაპისეული ხმალი ლელას კედელზე გაჯრულ ხალიჩას დიღხანს ამშვენებდა.

## ახალგადა მონაცირენი

1962 წლის 29 დეკემბერს ზამთრის ცივი, სუსხიანი დღე იდგა. მართალია მზე ცხოველმყოფლად ანათებდა, მაგრამ თოვლის ქათქათ სამოსი დედამიწას მაინც ვერ ათბობდა, პირიქით, ჭანსაღი სუსხით ავსებდა მიღამოს.

სკოლის ეზოში ბავშვებს შესვენებაზე გუნდაობა გაეჩაღებინათ. ზოგიერთები ჭიდაობდნენ, თოვლს თოვლზე აყრიდნენ, რომ წაქცეულს გვერდები არ ტკენოდა.

მოწყინდათ ჭიდაობა და გუნდაობა. გაკვეთილები ის იყო დამთვრდა და არ იცოდენ რა ეკეთებინათ. საგონებელში მყოფი მეგობრები დათომ გაახალისა: მოდით, ვინადიროთო, თქვა. თოვლზე კურდღლი კვალს ვერ აგვიბნევსო.

— თუ ვინდათ, ხვალ წავიდეთ, — შესთავაზა მეგობრებს გიგამ.

— წავიდეთ, დაბლა ნაბაღრებში გავიაროთ, გაღმა რიყის ღიჭნარებში ჩავიდეთ.

— არა, ვერ ნაბაღრებს დაუუკვეთ, მერე რიყეში გადავიდეთ და იქიდან ამოუყვეთ.

— წამო, ლევან, არღევანს ვუთხრათ, ის ამ საქმეში უფრო გა-

მოცდილია. თუ ესროლა, კურდღელს რო ააცდინოს, რაღაცას გაამწარებს.

— დათო, შენ ხუმრობ, თუ მართლა ამბობ?

— არა, მართალს გეუბნები.

— მოუკლავს რამე?

— რა ვიცი, ტრაბახი სართულებიანი იცის, სინამდვილეში მისი მოკლული არაფერი მინახავს.

მეათე კლასის მოსწავლეები არიან და ცალ-ცალკე რო ჰკითხო, თითოეულს ამირანად მოაქვს თავი. არდევანასთან მოილაპარაკეს, რომ დილით ექვს საათზე შეიკრიბებოდნენ სასაფლაოს გზაჯვარე-დინზე. მზით ანთებული ის დღე ლოდინით ჩაინავლა და ზედ ბინდმა ვადაუარა. განსაზღვრულ საათზე დათქმულ ადგილზე შეიკრიბნენ. არდევანა არ მივიდა და შინ მიაკითხეს. ერთ დაძახებაზე გამოვიდა, მაგრამ სანადიროდ წამოსვლაზე უარი თქვა.

— გუშინ ხო მოვილაპარაკეთ, თანახმა იყავი და დღეს რა მოხდა?

— თოფი არა მაქვს და როგორ წამოვიდე?

— რა ვიცი, შენზე ამბობენ განთქმული მონადირეაო და თოფი თუ არა გაქვს, აბა დათვს რით კლავ, შურდულით?

— შენ დაცინვას მოეშვი, თოფი კი არა, თუ დამჭირდა ზარბაზანსაც ვიშოვი.

— ბრძოლის ველად რომელი ადგილი შეარჩიე? — კვლავ გაესუმრა ლევანი.

— გეყოფათ, აქ საკამათოდ კი არ მოვსულვართ, არდევან, შენგან მსმენია, რომ კარგი სანადირო თოფი მაქვსო!

— დათო, განა თოფი არა მაქვს, მაგრამ ჩვენი კლასელი ნინო მოსულა ჩვენთან და დედაქემი გაუფრთხილებია, ხვალ ბიჭები სანადიროდ მიდიან და არდევანა არ გაუშვაო. გამზადებული თოფი დედაქემს დაუმალავს.

ლევანმა ცინიკურად წამოიძახა:

— უყურე მაგ ამბისტანიას!

იქვე დათომ წაუჩურჩულა, არაფერი წამოგცდეს, ნინო მაგის საცოლეა და იმიტომ მიუტანია ამბავიო.

— ვაჲ, ნინო, შენი შეყვარებულია?

— მერე, რა გინდა?

— ხომ უნდა ვიცოდე, რომელიმე ბიჭმა შეუფერებელი სიტყვა

რომ აკადროს, პასუხი უნდა გავცე.

— მაგას არავინ გავალებს, პასუხს უშენოდაც გავცემ, მაგრამ, მე მგონი, ნინოს გულის მოსაფხანად სიტყვას ვერავინ გაუბედავს.

დათომ შეაწყვეტინა:

— ეს სალაპარაკო თემა არ არის. არდევანასი თუ შეყვარებულია ნინო, ჩვენი დაა. შევწყვიტოთ ამ თემაზე ლაპარაკი, თუ მივდივართ, წავიდეთ სანადიროდ, თუ არა და შინ დავბრუნდეთ.

— შინ რატომ უნდა დაბრუნდეთ, გზაზე დამდგარნი ხართ, ბარემ წალით.

ბიჭებმა გზის გაგრძელება აღარ ისურვეს, შინ დაბრუნება არჩიეს. მიმავალი ბიჭები არდევანამ შეაჩერა.

— მოიცადეთ, მე გამზადებული ვარ, თოფს მოვძებნი. დედაჩემმა შეიძლება თავის საძინებელ ოთახში შეიტანა. შევიპარები და თუ ვერ გამიგო, ხო წამოვალ, თუ გაიგო, არ გამომიშვებს და მერე თქვენი საქმისა თქვენ იცით.

შევიპარა ოთახში, თოფი აიღო, ზურგჩანთა გადაიკიდა, თან ნაგაზი გაიყოლა და დაადგნენ გზას. სოფელს ჭერ კიდევ შვიდად ეძინა, მთვარე ძირს დაფენილ ჩრდილებს ნელ-ნელა კრეფდა, თოვლიან-სუს-ხიანი ნიავი ხან რას მიაწყდებოდა და ხან რას, ერთი სიტყვით, ბრძა-სავით დაეხეტებოდა. ამ უდიერის შეხლა-შემოხლით ახალბედა მონადირეებს ცხვირი, და ყურები სიცივით გაბუჟებული ჰქონდათ.

ირიურავა.

ნაბალრების დასაწყისში ძალმა ყეფა ატეხა და ყეფას თან მიჰყა თოფის ხმა. მიხვდნენ, ეს არდევანას თოფის ხმა იყო. მივიდნენ და რას ხედავენ: ეტყობა, ვიღაცას მობეზრებული კატა ცოცხლად გა-უხვევია ნაჭერში და გადაუგდია. საცოდავი გამომძრალა ფუთადან, ძალლს შეუნიშნავს და გამოკიდებია. არდევანას კურდლელი ჰგონებია და უსვრია. მივიდნენ, ნახეს, კატა იყო მოკლული. გვერდით მგლოვიარე არდევანა იდგა.

— რა არის არდევან? — ჰქითხა დათომ.

— რა ვიცი, რას მოვიფიქრებდი თუ ამ ზამთარში ამ ვენახებში კატა იქნებოდა. მე მეგონა კურდლელი გარბოდა და ტყვია მივაყოლე. მიზანში ამოვიდე და აი, რასაც ხედავთ, ეს არი.

— რაღას უყურებ, ჩააბი თოკი და დაიკიდე ქამარზე. როგორც შენ გეგონა კურდლელი, ისე სხვას ეგონება! — თქვა ლევანმა.



— არა უშავს რა, ეგ ერთი და სხვა მრავალი. გვეყოფა ხუმრისტკების ახლა ნამდვილი ნადირის მოკვლაზე ვიფიქროთ. ასე ხევ-ხევ შევუ-შვერ და ავალთ მთაში, — თქვა არდევანმა.

წავიდეთ, თორემ დაგვაგვიანდებაო, დათომ მოიმიზეზა, ფეხზე წრიაპები არ მიკეთია და როგორ წამოვიდეო. არდევანმა წრიაპები მოისხსნა და მიაწოდა, თავად კი რეზინის ფეხსაცმელის ამარა დარჩა. დათო არ ართმევდა წრიაპებს, შენთვისაც ძნელია ასე სიარულიო, მაგრამ არდევანმ არ ისურვა, მე გამოცდილი ვარ და შენ ხამადა ხარო. შეუღგნენ მდინარის ორივე ნაპირს. მიუყვებიან. დაწინაურებული ნაგაზი ხან ერთ ჯაგში ძვრებოდა, ხან მეორეში. სანამ ტყიანში შევიდოდნენ. ნაგაზმა იმარჯვა და მოულოდნებელად ორჯერ შეუყეფა და საიდანლაც ხოხობი ააფრინა. ესროლა ერთმა, ესროლა მეორემ, ესროლა მესამემ. ვერ მიხვდნენ, რომლის ტყვია მოხვდა. დავარდა მიწაზე ფრინველი. ლამაზი ბუმბული სისხლით პქონდა შეღებილი. პირდაპირ ბილიკზე დაცემულიყო. ამ დროს ტყიდან გამოვიდა დედა-შვილი ცხენიანი დროგით, დაინახეს არდევანს ხელში მოკლული ხოხობი. დედამ შვილს უთხრა, მგონი დილას რომ ხოხბის სილამაზით დავტკბით, ის მოუკლავს ამ ხელებგასახმობსო. რომ მიუახლოვდნენ არდევანს, ქალმა წყევლა დაუწყო ბიჭის: შე მარცხიანო, შე უსინდისო, შე ცოდვებიანო, სანამ მოკლავდი, რატომ ხელები არ დაგემტვრა, როცა უმიზნებდი, რატომ თვალები მიწით არ დაგევსო. შენ გამოაკლდი დედაშენს, შე არგასამრავლებელო! რა დაგიშავა, თავის-თვის იყო, ბუნებას ამშვენებდა, საჭმელს არ გთხოვდა და არაფერს. შხამად შეგერგოს, არ დაგცალდეს მაგის ჭამა. უნამუსო სიცოცხლეს ნატრულობ და სხვას კიდევ დღეს უსწრაფებ. გეთქვა, შე ნადირო და შენს საცეცხლ ხორცს მე გიყიდდი, თუ ასე დამშეული იყავ. ღმერთი არ გწამს, შე ურწმუნოვ, ქალი დავგერდი და ჩემი დღენი ხორცი არ მიჰსმია.

— დედა, გაჩერდი, არ იცი ეგ ბიჭი ვინ არი? — წაუჩურჩულა ვაუმა.

— ვისიც გინდა იყოს, შვილო, დილას თავზე რო გადაგვიფრინა ჭყივილით და შენ რომ მითხარი, ხოხობიაო, მაშინ გავიფიქრე, ამას ტყვია როგორ უნდა მიეკაროს-მეთქი და არ აუსრულა, მაგ ტყვიამოსახვედრმა, მაგან?

ეს წყევლა უფრო არდევანს მისამართით იყო თქმული, რადგან ის იმათთან შედარებით სრული აღნაგობის ჩანდა და თან ხოხობიც იმას ეჭირა ხელში. ვიღრე ის ქალი თვალს მიეფარებოდა, სულ



წყევლიდა და თან უკან იყურებოდა. დამაცადე, ინსპექტორს უკუნდა  
ვუთხრა, რომ მაგათ თოფები ჩამოართვის.

ახალბედა მონადირეებმა ხოხობი ნაჭრის ფუთაში ჩადეს და ტყი-  
ანში შევიღნენ. გადავიდნენ ერთი გორიდან მეორეზე, მეორედან  
მესამეზე.

მზე ჯერ არ ჩასულიყო, მაგრამ ტყეს ბინდი სწრაფად ედებოდა  
თოვლიანზე, კვალი ჯერ კიდევ ჩანდა. საშური დროის გამო კვალს  
ფრთხილად, მაგრამ აჩქარებით მიჰყვებოდნენ. არდევანა პირდაპირ  
კვალზე იდგა, დათო და ლევანა აქეთ-იქიდან მისღევდნენ. გვერდით  
ფერდობიდან რალაც ფაჩი-ფუჩი მოისმა. ვერ ხელავდა არდევანა ვე-  
რაფერს, მაგრამ, ყოველი შემთხვევისათვის, მოემზადა. ფაჩუნი თან-  
დათან უფრო ახლოვდებოდა, ცოტაც გაიარეს და დათვიც გამოიჩნდა,  
ესროლა არდევანამ, დათვი თურმე კლდის ნაპირზე მდგარა და სასი-  
კვდილოდ დაჭრილი ბრდღვინვით კლდიდან გადაეშვა. თოფის ხმაზე  
ბიჭები გამოიჩნდნენ. არდევანა მივიდა იმ აღგილზე, სადაც დათვი  
იდგა, მაგრამ მოხდა უცაბედი რამ, დაუცურდა ფეხი და ისიც იმ  
კლდიდან დათვს დაედევნა. შედგნენ ბიჭები, ტანში შიშის გრძნობამ  
დაუარათ.

ბავშვები გაუაზრებელმა და იჭვნეულმა წინათგრძნობაშ შეიძყრო.  
ცდილობდნენ ბიჭის გზა-კვალისთვის მიეგნოთ და ვერ პოულობდნენ,  
ბოლოს მიაგნეს. მოთმინებადყარგული დღე კი მზეს ბოლო გზაზე  
აცილებდა. სინათლე ბინდით იცვლებოდა. აქამდე ფრინველი და ნა-  
დირი თუ საკვების საშოვნელად დაძრწოდა, ახლა ყველამ თავის ბუ-  
დეს მიაშურა. მთაც მდუმარებამ მოიცვა. ღლევანდელ ავბედით დღეს  
სული ელეოდა. ბინდი რაც უფრო იმკვიდრებდა ადგილს, ორლობე-  
ებსა და ხევებში მჩქეფარე წყლებს ხმაური ემატებოდა. ახალბედა  
მონადირეები ორ წყალს შუა იდგნენ. ერთი რომ, ეს საშინელი  
ტრაგედია თავს დაატყდათ, მეორე ის, რომ დაულამდათ და სიბნელის  
კლანჭებს თავს ვეღარ აღწევდნენ. ერთისთვის წამოსვლა შეუძლებე-  
ლი იყო, მეორისთვის იქ მარტო დარჩენა, ამიტომ ორივემ მიცვალე-  
ბულს ღამე გაუთენა. მართალია, გაუნელებელი ცეცხლი ენთოთ  
გულში — იქვე, ახლოს სადღაც ერთიმეორის მსხვერპლი შორიახლო  
ეწყო უსულოდ. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავთ საწყლებს, ხან  
არდევანას ტიროდნენ, ხან საკუთარ თავს.

მართალია, ცეცხლი ენთოთ, მაგრამ შეურიგებელი ზამთარი გათე-



ნებისას მოძალებული სუსტით მაინც წკეპლავდა პირზე რქეშეუმშრალებელი ბიჭებს. გულდარდიანი ბიჭები ფიქრით ხან საიქოში იყვნენ, ხან მას აქაოს მობრუნებულნი. შიშის გრძნობას აყოლილი დროდადრო თუ ჩათვლემდნენ, სიზმრადაც ჭოჭოხეთში მოექცეოდნენ თავიანთი ამ-ლვრეული ფიქრებით. ვერც დათვს ამტყუნებლნენ და ვერც არდევანას-ცხადია, თითოეულ მათგანს მზისქვეშეთში ყოფნა უნდოდა, მაგრამ წუთისოფელმა ორივეს ფეხი მოკვეთა და უიღბლო ბედმაც საბოლოო წერტილი ნაადრევად დაუსვა. ბიჭების მოუსვლელობით სოფელიც მოუსვენრობაში იყო ჩაგარდნილი. საძებრად გამოსულნი ზოგნი იულდის მიმართულებით იყვნენ წასულები, ზოგნიც ქვაწერის გზით. შინ დარჩენილი დედა და დედმამიშვილები იცრემლებოდნენ.

ლევანს ხვდა წილად საზარელი ამბის სოფლად მოტანა. გზად შემოხვდნენ მძებნელები. ბიჭს მოთმინება აღარ ეყო და პირდაპირ მოუყვა, რაც კი შეემთხვათ. მამა იქვე ჩაიკეცა და ღიაცივით აქვითინდა, ასე ცრემლისფრჩვევით მიიყვანეს მიცვალებულადე. დათვი ორნაწილად გაჭრეს, ტომარაში ჩააწყეს, ცხენს აჰკიდეს და ისე ჩამოიტანეს მიცვალებულთან ერთად. საცოდავი დედა ახალწლის სამზაღისის ნაცვლად შავებში გაეხვია და თავად მიცვალებული მუხის კუბოთი ახალწლის მესამე დღეს გაასვენეს.

ყველა ტიროდა, ყველა იცრემლებოდა. ამათგან გამორჩეულად ერთი გოგო მოთქვამდა:

— ვაიმე, ჩემო არდევან, ჩემო სიცოცხლევ. გაუშლელი ყვავილი-ვით უდროოდ დამაჭენე. ეს იყო ჩვენი ოცნება? ბიჭო, დედაშენი მე გავაფრთხილე, არ გაუშვა მეთქი, სიზმარი ვნახე ცუდი და შენამდე ვერ მოვაღწიე. სხვამ თუ არა, ღმერთმა ხო იცის, გულწრფელად მიყვარდი. პირველი სიყვარული მწიმდა, მაგრამ მზე მალე ჩაესვენა. ალალი იყოს შენთვის ჩემი ცრემლები, მშვიდობით, მეგობარო!!

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ქვეყნად ბევრი რამ შეიცვალა, გადახალისდა. არდევანაც დავიწყებას მიეცა. ნადირობაზე კი ყველამ უარი თქვა — ღიღმა და პატარამ.

ბუნება ლოცავდა ადამიანებს, რომლებსაც სიკეთის ქმნა შეძლეს, ნადირ-ფრინველი დაინდეს. მომავალ თაობას მშობლიური მიწის სითბო და სურნელი შემოუნახეს.

იდიდოს მათმა სახელმაო, გუგუნებლნენ მთები.

ირგვლივ სიკეთე და სათნოება ზეიმობდა.

შანუელა	3
მასხარა	72
სოფლის ჭირისუფალნი	85
უძილობის წამალი	91
მსხალგორის აგარაჟი	99
ახალგაზრდა მონალირენი	102

გადაეცა წარმოებას 7.07.94. სელმოწერილია დასაბეჭდად 28.08.94.  
ქაღალდის ფორმატი  $60 \times 84^{1/16}$ . ტირაჟი 1000. შეკვ. № 105.

### ფასი სახელშექრულებო :

გამომცემლობა „გეგა“

საქართველოს რესპუბლიკის პოლიგრაფიისა და საგამომცემლო  
საქმიანობის სახელმწიფო კორპორაციის ბეჭდვითი სიტყვის  
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

